

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფონდები «ეკლიტფონი»

საუბრები ლიტერატურაზე

წერილი საყვარელ მწერალს

თბილისი - 2013

უაკ 821(082)

კრებულში შესულია თამარ ბაზღაძის ბლოგზე დაწვებული და ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ებლიტფოზე“ დასრულებული პროექტის „წერილი საყვარელ მწერალს“ განხორციელებული ელექტრონული ლიტერატურული პროექტების ბეჭდური ვერსია.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა და აინტერესებს ლიტერატურული სივრცის ძველი და ახალი ამბები.

ISBN 978-9941-0-0815-3

სამკვარელო მწერალს ანუ Великий Лев Николаевич. 5

ჯაკ ღონღონს 8

არტურო პერეს-რემპრტის 10

ნიკოლოზ ბარათაშვილს 12

ორჰან შაჰუხს 15

ვირჯინია ვულფს 17

ტირენტონ უაილდერს 19

ბალაკტიონს 22

მიხეილ დე უნაჰუნოს 24

ჭადარა მოხუცებულსა და მის გმირებს 25

ფილიპ რიტს 27

ასტრიდს 29

მკვლავი «ჩემიან მწერალს» 31

ჯორჯ ორუელს 33

შარლოტა ბრონტეს 35

ნოდარ დუმბაძეს 37

ასტრიდ ლინდგრენს 40

ბურამ ოდიშარიას 41

ანტუან დე-სენტ ეგზიუპერის 46

ჯერომ სელინჯერს 48

შეპერტო ეკოს 50

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის 53

ვლადიმერ ნაბოკოვს 57

ოტია იოსელიანს 59

ბორის ვიანს 61

ვაჟა-ფშაველას 63

ბალაკტიონ ტაბიძეს 64

ბურამ რჩეულიშვილს 66

კურტ ვონეგუტს 68

ფრანც კაფკას 70

ჰომეროსს 71

რა ჩვენი ბრალია, ჩვენი საყვარელი მწერლები სულ სხვა ეპოქაში თუ ცხოვრობდნენ? ჰოდა, ვთავაზობ ბლოგერებს, რომელთა პოსტებიც ამ თემაზე ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა: ბლოგერთა შორის უდიდეს ბიბლიოფილ „მოლის“ (იმედია, უარს არ მეტყვის), ლიტერატურის მოყვარულ „ვახანის“, არაორდინალურ „ფსიქს“, მეისტორიე „ქეგანას“, უშუალო „არიეფილდე-ს“ და საყვარელ „დიანას“. ჰო, ძალიან მწყდება გული, „მერი პოპინსი“ დღემდე მკითხველის როლს რომ სჯერდება.

თამარ ბაზღაძე

ლიტერატურის მოყვარულთა უმრავლესობას საყვარელი მწერლის ვინაობა რომ ჰკითხოთ, ვასილ კეჟერაძესავით გაუჭირდებოთ ასეთის დახასხელება, ან თავს შეიკავებენ. მართლაც, ვასილის მსგავსად ნაკითხი ადამიანისათვის რთულია ერთის გამორჩევა, მაგრამ რადგანაც მე ვასილმდე ბევრი მიკლია, ჯერჯერობით შემიძლია დავასახელო მწერალი, რომლის გაცნობამაც ყველაზე დიდ ჩემზე. სწორედ მისი ნაწარმოებების კითხვისას აგვიდა ახალ სიმაღლეზე, როგორც მკითხველი და ასეთი მძაფრი შეგრძობა მას შემდეგ აღარასოდეს განმიცდია.

მკითხვასო ლევ ნიკოლაევი,

თქვენს წიგნებს ზაფხულობით ვკითხულობდი, ქალაქის სმაურსა და ყოველგვარ ტექნიკურ პროგრესს მოწყვეტილი, ლამპის შუქზე. სშირად ღამეებიც გამითენებია იმიტომ, რომ ვგრძნობდი, რაღაც სრულიად ახალს ვეცნობოდი, რაღაცას ვსვდებოდი და ვერც ვსვდებოდი. მინდოდა, ბოლომდე ჩავწვდომოდი ამ რაღაცას და მეგონა, რაც მეტად გაგიცნობდით, მით უფრო გამიადვილდებოდა. პირიქით კი მოხდა, რაც უფრო მატულობდა თქვენდამი აღფრთოვანება, მით რთულდებოდა თავსატეხი. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, თუ რა პატარა ვყოფილვარ მაშინ და რომ თქვენი გენიალურობის გასიგრძეგანება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დავიწყე.

ალბათ რუსული ლიტერატურის ყველა მოყვარულს გასჩენია კითხვა: მაინც, რომელი – ტოლსტოი თუ დოსტოევსკი? მართალია, რუსულ ლიტერატურას ბევრი თვალსაჩინო და საინტერესო წარმომადგენელი ჰყავს, მაგრამ ბუნებრივია, რომ მკითხველისათვის თითოეულ მათგანს თავისი როლი და მნიშვნელობა აქვს. აი, თქვენ და ფიოდორ მიხაილოვიჩი კი თითქოს გაქვთ

რადაც საერთო და არც გაქვთ. ფაქტია, რომ სწორად გადარებენ ერთმანეთს და თითოეული თქვენგანის უპირატესობაზე მსჯელობენ.

ფიოდორ მინაილოვიჩი დოსტოევსკი აგრეთვე მიეკუთვნება ჩემი პატივსაცემი მწერლების რიცხვს, მაგრამ თქვენ ყოველთვის სხვა სიმაღლეზე იყავით ჩემთვის, თუმცა, ცოტა ხნის წინ რომ ეკითხათ, რატომო, ვერ ავხსნიდი. სულ ცოტა ხნის წინ კი ერთმა ადამიანმა თავისდაუნებურად მიკარნახა პასუხი, როდესაც მითხრა, რომ დოსტოევსკიმ მიშკინის სახით უმანკო კრავის სახე დაგვინათა, ხოლო მისი შემოქმედების მთავარი ნაწი ქრისტიანული სათნოების აბოლოგიაა.

აი, სწორედ ამაში მდგომარეობს განსხვავება თქვენსა და ფიოდორ მინაილოვიჩის შორის, რაც ჩემს თვალში სწორედ თქვენ განიჭებთ უპირატესობას, ლევ ნიკოლაევიჩ! თქვენი სიდიადის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ არასოდეს მოქცეულხართ ჩარჩოებში – რელიგიური, სოციალური თუ იდეოლოგიური თვალსაზრისით.

თქვენ, რუსი თავადის ვაჟი, გაცილებით სხვაგვარად უყურებდით ცხოვრებას, ვიდრე ბევრი თქვენი თანამემამულე. თქვენთვის არაფერს ნიშნავდა ბალები, მაღალი საზოგადოება თუ თფიცრის მუნღირი.

თქვენ არ ცნობდით იდეალებს. სწორედ ამიტომ თქვენი გმირების უმრავლესობა სულაც არაა უნაკლო, არამედ ყოვლად მიწიერი თვისებებით აღჭურვილი ადამიანები არიან: ზოგი ეჭვიანობით გააოქებული ქმარია, ზოგიც – სიყვარულისათვის ყველაფრის დამთმობი, საზოგადოების წინააღმდეგ წამსვლელი ქალი, ზოგი – ქარაფშუტა რუსი თავადი, როგორიც ალბათ ბევრი იყო თქვენს ირგვლივ, ზოგი – კეთილშობილი, თუმცა, დაბნეული ადამიანი, რომელიც კარგად ხედავს, რომ ჭაობში იძირება, მაგრამ ვერაფერს აკეთებს ამ ჭაობიდან თავის დასაღწევად, ზოგიც – მებრძოლი და თავისუფალი სულის კავკასიელი, ღირსეულ სიკვდილს რომ ამჯობინებს ამ თავისუფლების დაკარგვას.

თქვენ ღმერთთან მისასვლელი გზის ძიება დაიწყეთ, თუმცა, მხოლოდ ისე, როგორც თქვენ გესმოდათ და ამის გამო ეკლესიამ შეგრისხათ – თქვენთვის რომ არაფერს ნიშნავდა დოგმატები. თქვენ „მამა სერგი“ დაწერეთ და სარკეში ჩახედეთ მთელი რუსული სამღვდელთა, რომელთაც პირდაპირ მიახალეთ, რომ ცოდვილი ადამიანის უანგარო ღვაწლი გაცილებით მეტია, ვიდრე ლოცვა-კურთხევა. გულუბრყვილო, სუფთა სულის პიერ ბეზუხოვი სწორედ ამას ეძებდა – ჭეშმარიტებას, ცხოვრების აზრს, მის დანიშნულებას, რის გამოც იქ აღმოჩნდა, სადაც მისი ადგილი არ იყო და არც არაფერი ესმოდა. ეჰ, პიერი და მასონი? მგონი, მის არეულ თავში აზრები მხოლოდ მაშინ დაღაგდა და ყოველივე ამას სწორედ მაშინ ჩასწვდა, როცა

უკიდევანო, დათოვლილ ტრამპალზე ნაბიჯების თვლით მიიწევდა წინ და არ იცოდა, მომდევნო ნაბიჯის გადასადგმელად ძალა ეყოფოდა თუ არა.

თქვენგან შორს იყო ყოველგვარი შოუინიზმი და სწორედ ამიტომ აფასებდით კავკასიელებს, განსაკუთრებით, თავისუფლების მოყვარულ და მეტროპოლი ჩეჩნებს. „ჰაჯი-მურატი“ ერთ-ერთ გამორჩეულ ნაწარმოებად რჩება ჩემთვის დღემდე. თქვენ წერდით ხალხზე, რომელთაც თქვენი თანამემამულეები მუსრს ავლებდნენ, თუმცა, თქვენ აღფრთოვანებაში მოჰყავდით მათ სულიერ სიმტკიცეს, რომელიც აძლევდათ, გაქცევის ცდუნების თავიდან ასაცილებლად ერთმანეთს თოკით გადაბმოდნენ და ბრძოლაშივე დახოცილიყვნენ.

ბევრნი არიან თქვენი გმირები, ლევ ნიკოლაევიჩი! ბევრნი და მრავალფეროვანნი, იმდენად, რომ მათგან მთავარი მოქმედი გმირის გამორჩევა ძნელი და ხანდახან შეუძლებელიც კია.

სიცოცხლის ბოლო წლებში ძალიან ჩაუღრმავდით ცხოვრების არსზე ფიქრს. ალბათ, არ ვაკმაყოფილებდათ თქვენი განვლილი ცხოვრება, თუმცა, ადამიანთა უმრავლესობა ამის ნახევარსაც კი ვერ ასწრებს, რისი ვაკეთებაც თქვენ შექელით. სიცოცხლის ბოლო წლებში განსაკუთრებით მწვავედ იგრძენით სოციალური უთანასწორობის უსამართლობა, ყმების გათავისუფლებაც კი მონინდომეთ, რადგან მიგაჩნდათ, რომ ისინიც ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორიც თქვენ. ლამის ვიჟად შეგრაცხეს, თვით სოფია ანდრეევიჩამაც ვერ გაგიგოთ. რას ვიზამთ, ლევ ნიკოლაევიჩი, გენიალური ადამიანები ყოველთვის უსწრებენ დროს. თუმცა, თქვენთვის სწორედ ეს გაუგებრობა აღმოჩნდა საბედისწერო. სწორედ ამის გამო იყო, რომ თქვენ, რუსმა თავადმა სიცოცხლე სრულიად მარტომ, უსახელოდ, ასტაპოვოს რეინიგზის სადგურზე დაასრულეთ.

თქვენ მწვერვალად გაღიარეს მსოფლიო ლიტერატურაში. თქვენს წინაშე ქედი მოინარეს ფლობერმა, ზოლამ, თომას მანმა, ჯოისმა, ვირჯინია ვულფმა და კიდევ მრავალმა. თქვენი მეშვეობით თაობები სწავლობენ და კიდევ ისწავლიან აზროვნებას, ცხოვრებასა და ბრძოლას.

მე კი ჩემი თაობის სახელით გისდით მადლობას!

თამარ ბაზღაძე

18.11.2011

გუშინწინ, სრულიად შექმთვრებით ვნახე თამარას ბლოგზე ეს პოსტი – წერილი საყვარელ მწერალს ანუ "Великий Лев Николаевич" და ვინაიდან და რადგანაც იდეა ძალიან მომეწონა, გადავწყვიტე, რომ მეც დამეწერა. კომენტარებში ვითხოვე ნებართვა და საქმეს შევუდექი.

საყვარელო ჯონ კი არა და ჯეკ!

ვიცი, არ გეწყინება, რომ ჯონი დაგიძახო. ალბათ, შენ თვითონაც გინდოდა, რომ შენთვის ჯონი დაეძახათ, მაგრამ ცნოვრება ასეთია (მეტად ბანალური ფრაზაა შენნაირი მწერლისთვის).

ალბათ, რაღაცას ნიშნავს, რომ მე და შენ ერთ დღეს ვართ დაბადებულნი. ეს დღე 12 იანვარია. უნდა ვამაყობდე ამით, მაგრამ ჩვენს შორის კავშირი ამით არ დამთავრებულა. შენ 22 ნოემბერს გადაწყვიტე ან უბრალოდ გადაგეწყვიტა, რომ უნდა დაგეტოვებინა ცნოვრება. ეს მოხდა დედაჩემის დაბადების დღეს. არა, სულელად არ ჩამთვალაო, მსგავსი დამთხვევების ნაკლებად მჯერა. თუმცა არა, გატყუებ, ბებიანა ჩემი ფრედი მერკურის გარდაცვალების დღესაა (მანდა ალბათ გაიცნობთ, შავთმიანი, ულვაშებიანი ტიპია, არაჩვეულებრივი სმით) დაბადებული და ერთი პერიოდი დაბნეული ვიყავი, სულ ალმაცერად ვუყურებდი და როდესაც ჩემს ოთახში შემოდით, ვცდილობდი „We Are The Champions“ შემღერა და გამომეტყუა, რომ იყო მასში რაღაც ფრედისი ან თუნდაც ფრედი იყო.

ეს ლირიული გადახვევა. ისე, ძვირფასო ჯეკ, სანამ წერილს მოგწერდი, თავში მსოლოდ ის მიტრიალებდა, რომ იქნებ გამოგვეზავნა ჩემთვის ერთი ხამანწკა, დაკონსერვებული პირდაპირ შენი ქარხნიდან.

ამჟამად ვცდილობ, კიდევ ერთი შენი წიგნი მოვიძიო, მაგრამ ნაკლებად მგონია ჩემზე იმდენი შთაბეჭდილება რამემ მოახდინოს, რამდენიც „მარტინ იდენმა“ ქნა. შენი დაწერილი ეს წიგნი ჩემთვის ნამდვილ შთაგონე-

ბად იქცა და მეტიც – მე მარტინის რამდენიმე საქციელის რეალობაში განსორციელებაც მომინდა, მაგრამ ყველაზე დიდ ტკივილს ის მაყენებს, რომ ეს უკვე რეალობაა, შენი რეალობაა, ჯეკ.

შენი მიზანი ხომ ის იყო, მწერალი გამხდარიყავი და მე ბედნიერი ვარ, რომ შენი წიგნების მკითხველის სტატუსი მომიწია და რომ მე მაქვს ამის უფლება, ჯეკ.

ჯეკ, შენ ჩემი შთაგონების წყარო რომ ხარ, ჩემს პოსტებსაც ეტყობა. მართალია, კაგაკასუსმა იქ კარგა ხანია ოფისი დახურა, სადაც ახლა შენ ხარ, მაგრამ იქნებ ერთი წამით მაინც შემოგეჭყიტა ჩემს ბლოგზე და გენახა ჩემი ჩანახატისებური პოსტები, სადაც მთავარი გმირები გენიოსები არიან, რომლებიც საზოგადოებამ გარიყა. ამის დაწერისას შენზეც ვფიქრობდი, ჯეკ.

ვიცი, რომ თავი მოიკალი და ვეღარ გაუძელი, მაგრამ არ გადანაშაულე. აქედანვე წარმომიდგენია, როგორ კოშმარად იქცა შენთვის ეს ყველაფერი: შენ სიყვარული გინდოდა, არა ფული.

ჯეკ, შენ არც ისე დაუფასებელი ხარ. შენ მე გაფასებ და ჩემს უკან კიდევ მილიონობით ადამიანი დგას, ან პირიქით, მე ვდგავარ კუნჭულში მათ უკან, მაგრამ ამას არავითარი აზრი არ აქვს...

მშვიდობით ბრძანდებოდე, ჯეკ და იცოდე, რომ ახლაც მივდივარ, დროს არ დაუკარგავ, გადაუკითხავ, როგორ შეცურავს მარტინ იდენი ლურჯ ზღვაში და როგორ დაკარგავს გონს.

სიყვარულით, ანი.

19 ივნისი 2011



სენიორ არტურო!

ოდესმე ამ წერილს ესპანურად ვთარგმნი და გამოვიგზავნით. სადღაც წაგიკითხე, ოცდამეერთე საუკუნემ ხელოვნებას იდუმალების საფარველი ჩამოაშორა. სულ რაღაც ასი წლის წინ საყვარელ მწერართან შეხვედრა და საუბარი უვიდურესად რთული იყო, ახლა კი ციფრულმა ტექნოლოგიებმა ყველა და ყველაფერი ხელმისაწვდომი გახადაო. კარგია ეს თუ ცუდი, ცალკე საუბრის თემაა, ფაქტი ერთია — თქვენი მისამართის მოსაძიებლად მხოლოდ ნახევარი საათი დამჭირდა.

დიდი ხანია, ბარათი არაგისთვის გამიგზავნია. ბუთქუნა კონკერტები იქით იყოს, ელექტრონული ფოსტის აქტიური მომხმარებელიც არ გახლავართ, მაგრამ ორიოდე დღის წინ, აქვე, მეზობელ ბლოგზე, მშვენიერი იდეა მიკარნახეს. ჰოდა, მეც გვწერთ.

თქვენი „სადღაც ტყავი ანუ სევილიური ზიარება“ მეგობარმა ვაკის „პარნასის“ თაროების ქექვისას იპოვნა და მაჩვენა, ნახე, თუ მოგეწონებაო. სათაური მაცდურებლად ჟღერდა, ანოტაცია კიდევ უფრო დამაინტრიგებელი აღმოჩნდა - იდუმალებით მოცული ვატიკანი, ესპანელი ჰერცოგები და ბანკირები, თანამედროვე მეგობრები და აფერისტები, დიდი საყვარული დანატრული უღამაზესი სევილია — ერთი წიგნის წაკითხვამაც იკმარა, აბსოლუტურად თვითმყოფადი, ვინმეს მსგავსი სტილი რომ აღმომიჩინა.

ამის შემდეგ თქვენს გვარს უკვე ყველგან დავეძებდი. ჩემთვის ბოლომდე ამოუხსნელი მიზეზების გამო თბილისში ლიტერატურული სნობების საყვარელ მწერლად ითვლებით, მაგრამ წიგნის მალაჩიებში მხოლოდ რამდენიმე რომანს მივაგენი და იძულებული გახდით, მეგობრის მოსკოველი ნათესავები შემიწუხებინა.

ჩემი ბიბლიოთეკის ერთი თარო მთლიანად თქვენი წიგნებით მაქვს შევსებული. თითოეულზე საუბარი დაუსრულებლად შემიძლია. ყველაზე წუნია კრიტიკოსებიც დამეთანხმებიან — იშვიათია მწერალი, რომლის ცნობაც წიგნიდან ამოხეული ერთი ფურცლით შეიძლება. თქვენს რომანს, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე აბზაციითაც კი ვიცნობ.

ძნელია, სიტყვები შეარჩიო „ფლამანდიური დაფის“ შესამკობად, რომელსაც ერთდროულად ანახიათებს პიტერ ბრეიველის ტილოების სინატიფიც, დედამიწის ზურგზე ყველაზე ინტელექტუალური თამაშის — ჭადრაკის სიდრამეც და მსოფლიოს საუკეთესო დეტექტივთა სიაში უპირობო ადგილს იმსახურებს. თუმცა, სენიორ არტურო, მთავარი დეტექტიური ინტრიგა როდია. მკითხველს თქვენი ფილიგრანული დეტალიზაცია და თითოეული პერსონაჟის შესაშური ოსტატობით გამოიქრწილი ფიგურა აჯადოებს.

ძნელია, მშვიდად ისაუბროთ „დიუმას კლუბზე“, რომლის წაკითხვამ დამარწმუნა, რომ ბიბლიოფილია განუკურნებელი დაავადებაა და ამ სენით შეპყრობილი ადამიანი წანდაწან შეიძლება სსკვებისთვის საშიშიც კი აღმოჩნდეს.

თქვენ, სენიორ არტურო, ერთ-ერთ ლიტერატურულ ფორუმზე „ალექსანდრე დიუმა – შვილიშვილი“ გიწოდეს. „სამი მუშაკეტერი“, „გრაფინია დე მონსორი“ და „თრმოცდასუთი“ ჩემი ბავშვობის სიყვარულია და ნამდვილად არ მეგონა, სიბერის უამს, ცინიზმამდე პრაგმატულ ოცდამეერთე საუკუნეში კაპიტან ალატრისტეს მსგავს კეთილშობილ გმირს თუ გადავაწყდებოდი... ვერც იმას ვიფიქრებდი, რომ რომელიმე თანამედროვე ავტორი მთავარ პერსონაჟად ხაიმე ასტრალთას მსგავს რაინდს აირჩევდა, ვისთვისაც ღირსება მართლაც ყველაზე დიდი ფასეულობაა და არა მხოლოდ ლიტონი სიტყვა...

პოლიტიკარექტული მკითხველები ნაპოლეონისადმი, ცოტა არ იყოს, უბატოვცემულო დამოკიდებულებას ვსაყვედურობენ, მაგრამ თქვენ ზომესპანელი ბრძანდებით, სენიორ არტურო, და ესპანელი ერის გენეტიკურ ტკივილს თუ გავითვალისწინებთ, „პატარა კაპრალს“ იბერიული ტემპერამენტისათვის უჩვეულო შემწყნარებლობითაც კი ეპყრობით.

ერთსაც გეტყვით – თქვენს წიგნებს ეკრანიზაცია არ უკარგა, სენიორ არტურო. დღემდე „მეცნე კარიბჭეს“ ვიწუნებდი (ლიტერატურულ პირველწყაროს ბევრად ჩამორჩება, რომანი-შედევი რიგით თრიღერამდეა დაყვანილი). მაგრამ ის რომ გავიგე, ყველაზე უგემოვნო ქართული ტელეკომპანია „სამხრეთის დედოფალს“ მექსიკურ ტელესერიალად გვთავაზობსო, რომან პოლანსკის ფილმზე აუგის სათქმელად ენა აღარ მომიბრუნდა...

სიტყვა გამიგრძელდა... „ტრაფალგარის კონცეს“, „ღირსების საქმეს“, „მრისხანების დღეს“ და სხვა შედეგებს დამფასებელი მთელს მსოფლიოში არ აკლია, თუმცა, ჩემს რჩეულად მაინც სხვა წიგნს მივინჯე და თუ ოდესმე შეგნვდით, ავტოგრაფისთვის სწორედ იმ, თბილისში ნაკლებად ცნობილ რომანს მოგაწვდით. ბიელო პოლეში, ასაფეთქებლად განწირულ სორვატულ ხიდთან გატარებული რამდენიმე საათის აღწერით იმის თქმა შეიძლება, რასაც სხვა ტომეულებით ვერ ახერხებ – ომი საშინელებაა და ომში კარგი და ცუდი ბიჭები არ არსებობენ. არც გამკვირვებია – იმდენ ხანს იყავით სამხედრო კორესპონდენტი, ამდაგვარი ჭეშმარიტებანი სხვისგან არ გესწავლებათ, „რეპორტიორის მენსიერება კი ყოველთვის საკუთარი და სხვისი მოგონებებითაა სავსე“, საიდანაც ბოლოს – „კომანჩების ტერიტორიის“ მსგავსი ალაღმართალი წიგნები იბადება.

მოლი ბლუმი

რამდენი მწერალია, ვისაც მე სიამოვნებით მივწერდი წერილს, მათ შორის უმბერტო ეკოსა და რაფაელ საბათინის. — აჰ, ღმერთო, ყველანი მოველოდით (გაგიკვირდებოთ და მეც), რომ ამ ორიდან ერთ-ერთს მაინც მივწერდი... მაგრამ გადავიფიქრე. გადავიფიქრე კი მხოლოდ ლიფეჰოუსე-ის გამო და მხოლოდ მაშინ, როდესაც გზაში ვუსმენდი „verything“-ს და მხოლოდ ერთ წერილზე ვფიქრობდი, მხოლოდ ერთ ეპოქაზე ვფიქრობდი, ვინებაში მხოლოდ ის სიტყვები უღერდა, რომლებიც ასოციაციით მუსიკამ გამახსენა...

ამაზე მეტი პრეამბულა აღარ არის საჭირო.. როდის ჰქონია წერილებს წინასიტყვაობა?

ნ. ბ.-სადმი

არ ვიცი კი, როგორ უნდა მოვმართოთ, არ ვიცი, ჩაიკითხავთ კი ჩემს წერილს თუ არა. ალბათ, გაგელმეებათ. ეს კარგია, რადგან მე თქვენს დიმილის მეტი არაფერი მინდა, რადგან არ ვიცი, რამდენჯერ გაგიღიმიათ ცხოვრებაში. ალბათ, ცოტა... მე კი მინდა, რომ სწორად გაიცინოთ. მინდა, კარგ განწყობაზე დადგეთ და იმედი გქონდეთ.

ვიცი, რა ძნელია ობლობა სულისთვის.

მესმის, რა მტკივნეულია დადიოდე ხალხს შორის და მარტო იყო. მომენტებში მე თავად ვარ ასეთი.

მესმის, რაოდენ ძნელია ორიოდ სიტყვისთვის თავის მოყრა და გულში დაგროვილი განცდის ფურცელზე გადმოტანა. თქვენ ამას ახერხებდით. აი, მე კი მიჭირს ეს.

ბავშვობიდანვე განწირული მარტოობისა და ახლობელთა უგულისყურობისათვის, მაინც ახერხებდით ყოფილიყავით ძლიერი.

„ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამოდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება სოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინგალიდის კომანდაში, სსვგან არ მიგიღებენო... და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა; თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ სოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება...“

თქვენ ახერხებდით დაგეძლიათ საკუთარ თავში ის ტკივილი, რაც გარშემომყოფთა გულგრილობით იყო გამოწვეული, ახერხებდით მიგეწერათ მათთვის, ოღნავ სეკვდანარევი საყვედურით და სითბოთი, ახერხებდით თავიც კი დაგედანაშაულებინათ, თითქოს აქეთ თქვენ იყავით მოუცლელი და უგულისყურო.

ძალიან ცუდი ეპოქა იყო თქვენი მე-19 საუკუნე — ხავსე სირცხვილით, სისასტიკით, გულქვაობით, დამცირებით და ძალმომრეობით, უზნეობით. როცა ვკითხულობ, ისტორიის ფურცლებიდან ნათლად მესმის ხმა მაგ ეპოქის, მკაფიოდ ვგრძნობ მაგ ეპოქის სურნელს, თითქოს მეც მეცხოვროს ოდესღაც...

„კიდევ მამნახ ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიაპოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. — არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიპკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ ხავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისი სულიც განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჭჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაღულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლაგისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ვიცი გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ფლაპარაკობ. ჭეშმარიტად მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჭჯა არა მქონია, ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ისეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული“.

თუმცა, რატომ თქვენი? აქ, მგონი, მეშლება... ახლა გამახსენდა, რომ წერდით:

„მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს სვედრისკენ, გული მეუბნება რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ

ვძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავედგე გაშლილს ადგილს. თქ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ, მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავსედავ ჩემს ასპარეზსა“!

დიახ, თქვენ არ იყავით დაბადებული მაგ დროისთვის. თქვენ უნდა გეცხოვრათ ახლა, ჩვენს ეპოქაში, ჩვენთან ერთად. აი მაშინ კი არა მგონია ამდენი გეტანჯათ. რადგან, ბოლოს და ბოლოს, კმარა ამდენი ტანჯვა... ამას არ იმსახურებს არც-ერთი ადამიანი... გენიოსიც კი.

ესლა რომ ვფიქრობ, რომ არა მაიკო ორბელიანი, ალბათ უფრო მძიმე და სული შემსუთველი იქნებოდა თქვენთვის ცხოვრება

P.S. რა უცნაურია.. კოჯრის ნიაგი მომელის სვალ... და კიდევ ერთხელ გამახსენებს თქვენს თავს.

თუმცა, არა მგონია, როდისმე დაგივიწყოთ.

მარად თქვენი მეგობარი

P.P.S. დათავული ამა და ამ პოსტის წყალობით, დღესა მას 23სა, იენისის თვესა, ქრისტეშობითგან 2011 წელსა, ქ. ტიფლისს.

P.P.P.S მომენტებში, ვგრძნობ, როგორ მჭირდება გამგები ადამიანი გვერდით... და ჩვენ ერთმანეთს მივეშველებით და „გავაღოთ ამ კლდე-ღრედან“... ნუთუ გავვიყუდი?

P.P.P.P.S. აუ, აუ, მე სომ დათავება დამავიწყდა ხალხის... მახატიეთ, სოდა ასთე: აღუკარდ, გრინმარ, მე სომ ვიცი, როგორ გიყვარს წერილებიცა და მწერლებიც :დ :დ და, ოზის ჯადოქარს.. ამნ, რა კარგ მუსიკას შეურჩევს, წინასწარ მიგრძნობს გული და სტის სინარულისგან...

ქეთი ქვეანიშვილი (ქვეანა)

გამარჯობა, ორჰან ბეი. სიმართლე ვითნობთ, დიდხანს ვარჩევდი აგ-
 ტორს, ვისაც წერილს მივწერდი, თუმცა, რადგან მიწაზე მყარად ვდგა-
 ვარ, თავიდანვე ვიცოდი, რომ ადრესატი აუცილებლად თანამედროვე უნდა
 ყოფილიყო. ბოლოს ორზე შევჩერდი, თუმცა მართლაც ვარგას ლიოსასათვის
 მიწერას თქვენთან მოწერა გამჯობინე.

რატომ?

თურქეთი აქვე, ყურისპირშია, პერუ კი დედამიწის მეორე მხარეს. მი-
 უნებდავად იმისა, რომ ლიოსას სამშობლოც არანაკლებ საოცნებოა ჩემთვის,
 თურქეთი უფრო ახლოსაა ახდენასთან. ისე, აშკარაა, რომ თქვენ გურ-
 ჯისტანზე გაცილებით მეტი იცით, ვიდრე ვარგიტასმა (შეიძლება ამ უკა-
 ნასკნელმა არც იცოდეს, სად არის საქართველო). ეგ კი არა, რამდენიმე
 ქართული სიტყვა რომ იცოდეთ, ეგეც არ გამიკვირდება.

ახლა ბევრ სისულელეს გწერთ, მაგრამ მართლაც არ ვიცი, საიდან
 დავიწყო, რა მოგწეროთ. უბრალოდ, თქვენ მე თურქეთის იმ სიღრმეებში
 შემიყვანეთ, რომლებიც არ ვიცოდი. უფრო მეტიც: არასოდეს დამაინ-
 ტერესებდა. წარმოიდგინეთ, შანსი რომ ყოფილიყო, ზღვაზე წასვლას
 ბათუმში ვარჩევდი, ვიდრე თურქეთის კურორტებზე (მიუნედავად უამ-
 რავი პლუსისა), სტამბულში კი სანანავი მარტო აია სოფია მეგონა...

ახლა ასე აღარ არის. თქვენი ნაწარმოებებიდან სტამბული შემიყვარ-
 და. ოღონდ მარტო თქვენი სტამბული. იქ მოხვედრა ჩემთვის ძალიან
 მარტივია (მოგესხნებათ, სავიზო რეჟიმი არ გვაქვს თურქეთთან), მარ-
 ტივი და იაფი (ამ ეტაპზე ჯერ არაა, მაგრამ შეიძლება ამ სექტემბერს
 ვეწვიო). ახლა ზუსტად ვიცი, რომ სტამბულში ჩასვლისას პირველს აია
 სოფიას კი არ მოვინახულებ, ნიშანთაშუი გაგვარდები და იმ ქუჩებს დავიფ-
 ლი, რომლებიც თქვენი წიგნებიდან მექნება ამოწერილი და მათზე ძალიან
 ბევრი ვისეირნობ.

ისევე სულ პირველ აბზაცს რომ დავუბრუნდეთ, მარიო ვარგას ლიოსას ძალიან გამსგავსებთ. ამაზე ერთხელ უკვე დავწერე და თუ დაგაინტერესებთ, შეგიძლიათ, გაეცნოთ. გარდა იმისა, რომ მგონია, საკუთარ თავზე ჰყვებით, ძალიან გულწრფელი ხართ და ამიტომ უფრო მეტად გაფასებთ. თქვენი სულ ოთხი რომანი მაქვს წაკითხული (ერთს ახლა ვამთავრებ, აუცილებლად დავწერ და მერე, თუ დაგაინტერესებთ, ლინკს გადმოგიგზავნი). კითხვის პროცესში სულ ვფიქრობ, რომ საქართველოზე ჰყვებით. თურქეთის 50 წლის წინანდელი პრობლემები საქართველოში ახლაა აქტუალური. ცოტა სასაცილოა, არა? ეს ჩვენთვის, თორემ...

ცოტა ხნით ლიტერატურას შევეშვით და, ჩვენში რომ დარჩეს, თქვენს მიერ აღიარებულ სომეხთა გენოციდს თურქეთში არ ვეთანხმები. ამაზე დაწვრილებით, პირადად რომ შევხვდებით, მერე ვისაუბროთ. ისე, ცოტა ხნის წინ, ჩემი კარლსონები იყვნენ თურქეთში და თქვენი სახელი და გვარი იკითხეს. თურქებს არ ესამოყნათ თურმე. ვხვდები, რატომაც.

მგონი, ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, მაგრამ ვიმედოვნებ, ჩემს წერილს ბოლომდე ჩაიკითხავთ. სულ ერთხელ მქონდა მწერლისთვის მედიის მიწერის საშუალება. ახლა არ ველოდები, მაგრამ წარმოიდგინეთ, თქვენი შემოქმედების რიგითი თაყვანისმცემლისათვის რა ბედნიერება იქნება, პირველის მსგავსად, რუსთაველის თეატრის კუთხეში რომ შემხვდეთ და თქვენი წიგნები მაჩუქოთ – წიგნები, რომლებიც ჯერ წაკითხული არ მაქვს.

კიდევ, სულ მგონია, რომ სადღაც, ნიუ-იორკში შემთხვევით გადაგვერებით. გეცმევათ გაცვეთილი კოსტუმი და პერანგი (მე წითელი მქვიათ ქართული ვარიანტის ბოლო ყდაზე რომ გაცვიათ, აი ის), ხელში პატარა, ქსეროქსებით საყვსე საქალაქდე გეკავებთ. მე დაგიძახებთ, თქვენ შემობრუნდებით. ხელს მაგრად ჩამოგართმევთ, გეტყვით, რომ გურჯისტანიდან ვარ და მადლობას გადაგიხდით. თქვენ ვერ მისვლებით, რატომ. შეიძლება, ძალიან ბევრიც იფიქროთ, მაგრამ მე მეცოდინება, რომ მადლობას ყველაფრისთვის ვიხდით.

პატივისცემით თქვენი შემოქმედების რიგითი თაყვანისმცემელი საქართველოდან.

P.S. ორპან ბეი, კოლუმბიის უნივერსიტეტში თქვენს ლექციას რომ დავესწრო, შეიძლება?

თამარ კარელიძე (ვასასი)

24 ივნისი 2011

ეს ძალიან ორიგინალური ტეგ-თამაში თამარამ მოიფიქრა და უზომოდ გამიხარდა, მეც რომ მომნიშნა. მოკლედ, საყვარელ მწერალს უნდა მივწერო წერილი. ჩემი ყველაზე საყვარელი მწერალი ფოლკენია, მაგრამ მეტიმეტად დიდია ჩემი წერილისა და კლავიატურისთვის. და რადგანაც მეორე ადგილს ვირჯინია გულფი იკავებს და მე ახლა ძალიან მჭირდება ზუსტად ვირჯინიასნაირი ადრესატი, მას მივწერ წერილს.

საყვარელო ვირჯინია,

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ჯოჯოხეთში ხარ. მანდ კიდევ, გაურცხლებულ ხმებს თუ დაგუჯერებთ, ფოსტა არ მოაქვთ. რას ვიხამ. აი ახლა, ამ წუთას, წერილს რომ გწერ, ისე მწარედ მინდა წაიკითხო, რომ სო ასეთი არარეალურია, მაგრამ მგონია, ეს წერილი აუცილებლად მოაღწევს შენამდე. თანაც მე ბავშვობიდან მჯერა წერილების ერთი მაგიური თვისების – ისინი, ადრე თუ გვიან, ადრესატს თავად აგნებენ.

ჯერ ჩემზე გეტყვი. მე კარგი გოგო ვარ, ისეთი კარგი, რომ მიცნობდე, ალბათ სიცილით მოკვდებოდი. გაგეცინებოდა, აბა რა იქნებოდა, მე არც ბისექსუალი ვარ, არც ერთი მავნე ჩვევა არ გამაჩნია, არც გარშემომყოფებს ვაშინებ ისტერიული და ნევროზული გამოსტომებით და თავში აზრადაც არ მომდის სოლმე ჯიბეებში ქვების ჩალაგება და მდინარეში თავის დახრჩობა. მოკლედ, საერთოდ არ გგავარ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მიცნობდე, ვიმეგობრებდით. ისე კი, უკვე ნ წელია, უზომოდ მიყვარხარ. ჯერ კიდევ იმ ფილმიდან მიყვარხარ, ნიკოლე კიდმანი რომ განასახიერებს, იმ წუთიდან მიყვარხარ, მკვდარ ჩიტს რომ მიუწვები გვერდით.

იცო, როგორ ვაგიცანი? ამ ფილმის მერე ჩემს მაშინდელ ინგლისურის მასწავლებელ ნინოს, რომელსაც ყველა მძაფრ შთაბეჭდილებას ვუზიარებდი, ვკითხე, რა წიგნია მანაც ამ ფილმში ეს „მისის დელოუეი“, ამდენი

ადამიანის ცხოვრებას რომ ცვლის-მეთქი. ნინომ კიდევ მარტო ის მითხრა, ვირჯინია ზუსტად ისეთი გოგოა, ჩვენ რომ გოგოები გვიყვარსო და „მისის დელოუეი“ მათხოვა. მე ზღვაზე წავედი, წიგნის კითხვა დავიწყე და ერთ დილასაც მივხვდი, რომ ტალღების ნმაურის მაგაცირად ბიგ ბენის რეკვა მესმოდა. ქობულეთის მთავარ ქუჩაზე პრემიერ-მინისტრის ავტომობილის ჩამოვლას ველოდებოდი და საშინლად შენატრებოდა ლონდონი, რომელიც არასდროს მენახა. ისე კი, ერთ რამეს გეტყვი: კლარისაზე მეტად ყოველთვის სალი სეტონი მიყვარდა, „მისის დელოუეი“ მეტად კი სულ პაწაწინა მითხრობა „ქიუს ბაღები“.

იცე რა, ვირჯინია, – შენ ის ქალი ხარ, მილიონ ნაწილად რომ დაემსწრა სული და მაინც იმად დარჩა, რაც იყო. მითხარი, რას აკეთებდი შენ ამ დროს, როცა ასე იყავი ხოლმე. თუმცა, ვიცი – ლეონარდს წერილებს სწერდი, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდი და საშუალო ასაკში მყოფი ქალების მოგონებებზე აცხობდი წიგნებს.

მოკლედ, ასეა. შენ უნდა იცოდე ეს ამბავი – თანამედროვე გოგოებს საკუთარი ოთახებიც გვაქვს და ყველახანი პირობებიც, რომ საყვარელი საქმე ვაკეთოთ, მაგრამ მარტო ეს არ შველის თურმე საქმეს.

ეს წერილი იმიტომ მოგწერე, რომ ძალიან მჭირდებოდა, ჩემთვის მოგესმინა, თუმცა საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ვერაფერიც ვერ მოგიყვი. ისე კი, რომ მომეყოლა, ალბათ იმ მკვდარი ჩიტივით მომიწვებოდი გვერდით და ვიცი, იმას მეტყვოდი, რაც კლარისას ათქმევინე სულ პირველ წინადადებაში.

Mariefile's

24 ივნისი 2011



ვწერ ამ წერილს და ვიცი, რომ მას ვერ წაიკითხავთ. მაგრამ, თქვენც თქმისა არ იყოს, „სიყვარულის ყველა იმპულსი სიყვარულს უბრუნდება, რომელმაც ის წარმოქმნა. სიყვარულისთვის მასსივრობაც კი არ არის აუცილებელი. არის მიწა არსობისა და მიწა მკვდართა, და მათი შემპერთებელი ხიდი – სიყვარული, ერთადერთი, რაც ცხოველმყოფელია“. ჰოდა მეც მინდა, რომ სიყვარული ავისნსათ იმიტომ, რომ მართლაც ძალიან მიყვარხართ და არა აქვს მნიშვნელობა, მიიღებთ ამ წერილს, თუ არა. უბრალოდ, ჩემი სურვილია გაგუზიარო ეს დიდი ბედნიერება ავტორს, ვინც თავისი ეპოქალური ნაწარმოებებით ჩემი, როგორც მკითხველის გემოვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა...

„დღე მერვე“ – ჩემთვის ყოფიერებასა და ცნობიერებაზე ახალი შეხედულებების ჩამოყალიბების დასაწყისი იყო. ორი ოჯახის ისტორია, თქვენს მიერ წარმოჩენილი, არის ახალი ტიპის ამერიკული ოჯახის დაბადების აღწერა, XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. სათაურიც, „დღე მერვე“, იმიტომ შეარჩიეთ, რომ სწორედ ამ ახალი ეპოქის დასაწყისად თვლიდით ახალი ურთიერთობებისა და ახალი მსოფლმხედველობის დამკვიდრებას.

„ბუნებას არასოდეს სძინავს. სიცოცხლის ციკლი არასდროს წყდება. სამყაროს შექმნა არ დამთავრებულა. ბიბლიის მინდევით, ღმერთმა ადამიანი შექმნა და დაისვენა, თუმცა თითოეული ის დღე მრავალ მილიონ წელიწადს მოიცავდა. დასვენების დღე არ იყო ძალიან ხანგრძლივი. ადამიანის შექმნა არ დასრულებულა, არამედ მსოფლიო იწყება. ჩვენ მეორე კვირის დასაწყისში ვცხოვრობთ. ჩვენ ვართ შვილები მერვე დღისა“. აი, ასე ახსენით თქვენ რომანის სათაური თნობის დაწყებისთანავე, და ამ ფრაზით მონიბლულმა, ერთი ამოსუნთქვით წაგიკითხე თქვენი თნულები, სულ ახალი და ახალი აღმოჩენებით სავსე.

თითქმის საუკუნის წინანდელი ამბები, ერთ ქალაქში ერთად გატარებული 20 წელი, ახალი საუკუნის ახალი წლის ღამე, როცა რომანის მთავარი გმირები ერთად ზეიმობენ მეოცე საუკუნის დადგომას. ერთად ყოფნა, მეგობრობა, ერთი ასაკის ბავშვები, რომლებიც, ასევე, ბავშვობიდან ერთად იზრდებიან და მეგობრობენ; ცენტრალური პერსონაჟები – სრულიად განსხვავებულინი როგორც ვარეგნულად, ასევე შინაგანი ბუნებით – ორი ულამაზესი ქალი, საუცხოო შვილებით და მეუღლეებით, ბევრი საერთო ინტერესი, ერთმანეთთან გადაჯაჭვული ურთიერთობები... და ერთბაშად, ერთი ოჯახის უფროსი მოკლულია, ხოლო მეორე ოჯახის თავი – მკვლელობის ჩადენის გამო გადასახლებულია პერუს ანდებში, მადაროებში სამუშაოდ. ორივე ოჯახი რჩება ოჯახის მარჩინალის ვარეშე, უმწეო ქალები და ბავშვები... როგორ დააღწევინ ისინი თავს იმ უსასოო მდგომარეობას, როდესაც მათ თავზე ასეთი დიდი უბედურება დატრიალდა, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურადაც, ვინაიდან სრულიად უსახსროდაც დარჩნენ. ამ კრიტიკულ მო-

საინტერესო

მენტში რომანის გმირები ხასიათის ზებუნებრივ სიმტკიცეს იჩენენ და გადა-
არჩენენ ოჯახებს სრული გაღატაკებისგან.

„დღე მერვე“ პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოიცა. მიუხედავად იმისა, რომ რომანი მთელი თვის საუკეთესო წიგნად იქნა აღი-
არებული, ხოლო ნანეკარი წლის განმავლობაში ბესტსელერების სიაში იყო
და მისი 70 000 ეგზემპლარი გაიყიდა, ასევე დიდ ბრიტანეთში „თანამედროვე
კლასიკოსების“ რუბრიკით გამოიცა, ამ ნაწარმოებს ბევრი ცნობილი კრიტი-
კოსი თვლიდა წიგნად, რომელიც „არაფერს ნიშნავს“. ზოგი კი თვლიდა, რომ
ეს საუკეთესო ნაწარმოებია, თქვენი მოღვაწეობის გვირგვინი. თუ მართლაც
ის არაფრისმთქმელი რომანი იყო, მაშინ საკითხავია, რატომ იყიდებოდა ასე-
თი მასშტაბებით? პირიქით, ის თანდათანობით დავიწყებებს მიეცემოდა. მა-
გრამ ასე არ მოხდა.

რომანი ნ არათანაბარ ნაწილადაა დაყოფილი და თქვენ წინ და უკან
დაგყავთ მკითხველი, დროში ამოგზავრებთ და ცდილობთ მკითხველი თი-
თოეული გმირის ისტორიაში გაარკვიოთ.

რომანის სხვადასხვა პერსონაჟის მიერ ერთი და იმავე მოვლენის აღწერა,
სრულიად განსხვავებული კუთხით წარმოდგენილი, თითქოს ცალკეული,
განსხვავებული, დამოუკიდებელი ნაწარმოებებია, ერთი შეხედვით, სრული-
ად სხვადასხვა ისტორია, გაერთიანებული ერთიანი, მკვიდრად ნაგები კარკ-
ასით.

„არც ერთი ადამიანი არ იქნება ბედნიერი, თუ მთელ სამყაროში ყველა
დანარჩენი არ არის ბედნიერი“, ათქმევინებთ თქვენ რომანის ერთ-ერთ მეორ-
ენარისსოვან გმირს, და ეს სრული ჭეშმარიტებაა. თუმცა მაშინ, გასული
საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ეს რომანი წაგიკითხე, ნამდვილად ვერ
გავიგე, რას გულისხმობდით ამ წინადადებაში. ამჟამად კი ძალიან კარგად
მაქვს გაცნობიერებული მთელი სიბრძნე, რაც ამ სიტყვებშია ჩაქსოვილი და
ამისთვისაც მადლობა მინდა გითხრაო.

თსრობის დასაწყისში თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე: „ნამდვილად
შესაძლებელია, რომ ოდესმე ადამიანი-ცხოველი გასულიერდეს?“ – მთელი
სიუჟეტის განვითარებისას აღწერილი მოვლენებით თქვენ არ პასუხობთ.
რომანს კი ამთავრებთ წინადადებით: „შეიძლება სხვადასხვანაირად აგხსნათ
გობელენების ნიმუში. ზოგიერთნი დარწმუნებული არიან, რომ ნედავენ მას.
ზოგიერთი ნედავენ იმას, რაც სხვებმა უთხრეს. ზოგიერთს ახსოვს, რომ ეს
ნანანი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ დაეკარგა. ზოგიერთი ძლიერდება, ნედავენ რა
იმის მაგალითს, რომ დედამიწაზე დათრგუნვისა და ექმლუბატიციდან თან-
დათანობით როგორ გამოიკვეთება მათი მონობა. ზოგიერთნი ძალას იკრებენ
იმის მტკიცებით, რომ დახანახავი არაფერია. ზოგიერთნი...“

და მეტი არაფერი, რომანი ასე მთავრდება... ალბათ სწორედ ეს დაუს-
რულებელი წინადადება, მას მერე, რაც მკითხველი ძალიან მადლი სულიერი

განწყობით სულმოუთქმელად კითხულობს თქვენს საკმაოდ სქელტანიან რომანს, ერთბაშად გულის შეკუმშვამდე იმედის გაცრუებას იწვევს, ვინაიდან ჩვენ ველოდებოდით პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომელნიც თქვენ დასვით, და თნობის ასეთი უეცარი შეწყვეტა, როდესაც არც წერტილია დასმული და არც მრავალწერტილი, უბრალოდ, შუა სიტყვაზე შეწყვეტილი წინადადება და მის მერე – სიცარიელე, ალბათ იმ კრიტიკული ნიბლერის მიზეზი, რაც ალფრთოვანებასთან ერთად, საკმაოდ დიდი დოზით თქვენს ქმნილებას ერგო სვედრად. მაგრამ ეს დაუსრულებელი წინადადება იმდენ კითხვას ბადებს, იმდენ მოსალოდნელ პასუხს მოიცავს, რომ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მოსვენებას აკარგვინებს ადამიანს.

სოლო „მეფე ლუდოვიკო IX-ს ნიდი“, რომელიც უფრო ადრეა შექმნილი (1927 წ.), ვიდრე „დღე მერვე“ (1976 წ.), ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, ვინაიდან სრულიად სწავდასწავა ადამიანი, განსწავლებული წინასტორიით, თავიანთი ვნებებით, სინარულით თუ წუნელით, მაინც საერთო ბედით თუ უბედობით, ერთდროულად აღმოჩნდა იმ ადგილას, სადაც მათ ერთდროული დაღუბვა ელოდათ. თითქოს არაფერი ჰქონდათ საერთო, და მაინც ისეთი ერთნაირები იყვნენ, რომ თითქოს მათი ერთად დაღუბვაც გარდაუვალი იყო.

მოთხრობაში აღწერილი მოვლენები მეთვრამეტე საუკუნის პერუში ვითარდება. როდესაც სუთი ადამიანი, სწავდასწავა გზით და ცნოვრებისეული ისტორიით, ერთ ნიღზე აღმოჩნდა, სწორედ იმ დროს ჩაიქცა უფსკრულში მსოფლიოში უმშვენიერესი ნიდი და მგზავრები თან ჩაიტანა. მთელი მოთხრობა სამართლიანობას, ალტრუიზმს, ღვთიურ განგებასა თუ შემთხვევით დამთხვევებს ეძღვნება. „მაგრამ მალე ჩვენ დავისოცებით, და იმ სუთი ადამიანის ხსოვნა მოლიანად დატოვებს დედამიწას, და ჩვენც, ყველა, გარკვეული დროის განმავლობაში ვეყვარებით, და მერე დავიწყებას მივცემით. მაგრამ სიყვარული საკმარისი იქნება; სიყვარულის ყველა იმპულსი სიყვარულს უბრუნდება, რომელმაც ის წარმოქმნა. სიყვარულისთვის მახსოვრობაც კი არ არის აუცილებელი. არის მიწა არსობისა და მიწა მკვდართა, და მათი შემაერთებელი ნიდი – სიყვარული, ერთადერთი, რაც ცხოველმყოფელია, ერთადერთი, რასაც აქვს მნიშვნელობა... – ამ სიტყვებზე ყოველთვის ცრემლი მადგება თვალზე. ვმადლობთ ამ გრძნობებისა და განცდებისთვის, რაც ჩვენ გვანუქთ და ამით გვაზიარეთ თქვენს ნიჭიერებას და სრულიად უცხო თვალთახედვას, დიდი მადლობა იმ სიკვდილ-სიცოცხლის „შემაერთებელი ნიდისთვის“, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

პატრივისცემით და დიდი სიყვარულით,

მარინა გიგოლაშვილი

მოგვეხალმებით მარადიულ მდუმარებაში, ძვირფასო ბატონო ვალაკტონი! მოგმართავთ ნაზგასმული თავაზიანობით, რადგან თქვენ ჩემზე დიდი ბრძანდებით როგორც ასაკით, ისე პოეზიის მნიშვნელობით!

მე თქვენ ძალიან მიყვარხართ! ღამეები მიტყნია თქვენი ლექსების კითხვაში. თქვენ იმაზე ახლოს ხართ ჩემს სულთან, ვიდრე წარმოიდგენდით ოდესღაც, რომ სრულიად უცნობ ადამიანს ასე შეაყვარებდით თავს.

ვერასოდეს გაგკადნიერდები და ვერ გაგიტოლებთ ჩემს ნაწერ-ნაფიქრალს... თუმცა გამიგონია თითო-ორიგვარი ადამიანის „კომპლიმენტი“ – ვალაკტიონის ლექსებს გვაგონებს შენი ლექსებიო...

თქვენ 1959 წლის მარტში გაფრინდით საუკუნო სასუფეველში! იმავე წლის 30 აპრილს მოვევლინე ამ რთულ ყოფიერებას მე – ჩემი არანაკლებ რთული და მგრძობიარე ნახაოთიო!.. აჰ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ თარიღთა ოდნავ მსგავსებას, გაგკადნიერდი და ლექსი მიუუძღვენი... მხოლოდ ჩემთვის ვთქვი, არავისთვის გამიზიარებია. ანლა კი გაგიმხელთ, თუ, რა თქმა უნდა, არ დამცინებთ თქვენთვის დამახასიათებელი მსუბუქი ირონიით. აი, ისიც:

ცივ ქვაფენილზე როს გლოვის ზარს
რეკდნენ სიონი,
ჩემში ჩასახლდა პაწაწინა

ვალაკტიონი.

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო“... იტყოდით სოღმე ამაყად და გაუყვებოდით თბილისის ქუჩებს იმაზე მეტად ნიჭიერი და ფიქრით დატვირთული, ვიდრე აჩვენებდით ვარშემომყოფებს.

მუდამ მტკივნეულად განიცდიდით ადამიანთა მზაკვრობას, ქედმაღლობას, უნიჭობას, უმადურობას...

რამდენმა წელმა ჩაიარა თქვენს მერე და არაფერი, სულ არაფერი შეცვლიდა. ისევ ისე შურთ, ისევ ისე ქიშობენ, ისევ ძველებურად უთხრიან ძირს ერთმანეთს... არარა ხდება ვასალიცარი თითქოს, მაგრამ მე საშინლად მტკივა ეს ყოფა... ისევე, როგორც თქვენ გტკიოდათ. ოღონდ თქვენ ღირსეული სიმტკიცით აბიჯებდით მსგავს უმსგავსობებს. მერე რა, თუ მავანთათვის არ ჩანდა ყოველთვის მისხაბაძი და აღმადერთოვანებელი თქვენი ქმედებები...

ჩემი ბარათის მიზანი არ არის თქვენი ზღვა შემოქმედების შექება-შეფასება. ამას ჩემზე უკეთ სხვები იტყვიან. მე მინდა ვაგიზიაროთ ის, რასაც ვაგიზიარებდით უწინ ან ანლა, ერთად რომ გვევლო მზისქვეშეთში.

არ დამიძალავს ჩემი ასაკი. მე უკვე იმდენი წლის ვარ, რომ წესით და რიგით აღარაფერი უნდა მიკვირდეს... მაგრამ გამოვიტყდებით, რომ ძალზედ სუსტი და მშისმარა ვახლავართ. კი დავიქადნე ერთ ლექსში - დროს შეამბოსე ქალად შევჩრები-თქო, მაგრამ არ შემიძლია ვკითხო მავანს და

მაჯანს: რატომ ხარ ასეთი უტიფარი?... რატომ გშურს სხვისი ნიჭი?... რად გენანება კეთილი სიტყვა შენივე მსგავსი ადამიანისთვის?... რად უფროს-ილდები და ზოგაჯ ღიმილს?..

არ ვიცი, სიბრიყვაა თუ ღირსება, როცა გინარია სხვათა წარმატება; როდესაც სინარულით დაფრინავ სხვისი კარგი ლექსის წაკითხვისას; როდესაც ვასცემ უსაზღვრო რაოდენობით სიტბოს და ღიმილს, სანაცვ-ლოდ კი პირქუშ, ამაყ, ამპარტავან სახეებს ირეკლავს თვალთა გუგები.

მე ახლა სწორედ თქვენს ქრილობას ვეხები, მაგრამ არა იმიტომ, რომ ტკივილი მოგაყენოთ... უფრო იმ იმედით, რომ თქვენ ჩემზე ადრე გაიარეთ ეს ყველაფერი და ეგებ წამალიც იცოდეთ, გათოშილი სულის სასაღ-ბუნოდ???

მიკვირებენ - სევდიანი ხარო!.. მე კი არ ვიცი, როგორ დავძალი ვანცდები.

არც ერთი პოეტი და მხატვარი, არც ერთი ხელოვანი — რომლებიც სიკვდილის მერე აღიარეს, მდიდარი და დაღწენილი არ ყოფილა. არავის ვეტოლები, მაგრამ შემინიშნავს - ხშირად უნიჭოებს მეტად წყალობენ, ვიდრე ნიჭიერებს. რამდენი გენიოსი გავიდა ამ ცხოვრებიდან ღარიბი, მშვიერი, გულნატკეპნი... სიყვარულის მაძიებელი... არავის დავასახელებ, რომ არავის გამოძრჩეს.

დიდი ხანია, წერილი არავისთვის მიმიწერია... არადა, ბავშვობაში ძალიან მიყვარდა. როდესაც წერ, უფრო გულწრფელი ხარ ადამიანი...ან იქნებ ვცდები? იქნებ ეს გულწრფელობა ისევ შინაგანი სისუფთავიდან მოდის?... „კოკახა შიგან მდგარი“ გადმოედინება „შავით-თეთრზე“??? აუ-რაცნელი შეკითხვა მაქვს დაგროვილი — ღმერთთან, ადამიანთან, სი-ცნისლესთან და ვშიშობ, ისე წამოვალ თქვენთან, ბატონო ვალაკტიონ, რომ ვერასოდეს ვიბოვი პასუხებს!..

სხვა სხვანაირად მოგწერო წერილს, თუ სურვილი ექნება... ალბათ, მეც შემეძლო სულ სხვა რამის თქმა თქვენთვის... სათქმელ-გასამხელს რა დალევს ადამის ძისთვის? მით უფრო, ისეთ ბუმბერაზ პიროვნებასთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით. კვირები, თვეები არ ეყოფა თქვენს მიერ დატოვილ საგანძურზე საუბარს... მე კი ავდექი და ჩემი ამქვეყნიური სა-დარდელი გაგომხილეთ. სულგროძელად მომიტყვევო, ძვირფასო ბატონო ვალაკტიონ, თუ დაგირღვიეთ ღვთიური სიმშვიდე და მდუმარება.

გემშვიდობებით იმ იმედით, რომ თდესმე, სადმე ცათა უსაზღვროება-ში წამით მაინც შეხვდებიან ჩვენი მთრთოლვარე სულები.

კრძალვიანი სიყვარულით და პატივისცემით — მარიამი (კოწმანაშვილი).

2 მარტი, 2012 წ.

ბატონო უნამუნო,

ჩემი, როგორც მწერლის სამყარო ისევე გადაატრიალეთ, როგორც თქვენი დროის ლიტერატურა და ფილოსოფია. სიამოვნებით ვიცნოვრებდი თქვენს დროში და მთელი ძალებით ვეცდებოდი გაცნობას. გულით ვნანობ, რომ თქვენი „ბურუსის“¹ ძეგლი მხოლოდ 5 წლის წინ დავიწყე და წელს ვიბოვებ, მაგრამ ასევე მოხარული ვარ კიდევაც, რადგან ჩემი ნაწერები შესაძლოა თქვენი მანერის, დახვეწილი გემოვნებისა თუ იდეური სიზუსტის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. თქვენი წიგნის კითხვა ისეთ კარგ განწყობაზე მაცენებს, რომ დაძინებაც კი მენანება ხოლმე, რომ არ გამოფუჭდეს.

ვთავსებდებ თუ ჩემს თავს ვანებიერებ, არ ვიცი, მაგრამ თქვენთან შორეულ, სულიერ ნათესაურ კავშირზე უარს ვერ ვამბობ, ე.ი. მე უარს ვამბობ უარზე და ამ წერილით თქვენთან მეგობრობას ვაგრძელებ, რადგან ეს პირველი გვერდის წაკითხვისთანავე დავიწყე და ისევ წინასწარ უარს ვამბობ უარზე, ოღონდ ამჯერად ეს თქვენი მხრიდან ჩემთან მეგობრობის უარის უარია. ამიტომ კარგია, რომ ვერ მიპასუხებთ.

დღეს გარეთ მზე დგას, ჩემი გული და გონება კი ისეთ მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც ნიჰილიზმი და ეგზისტენციალიზმი. მე არც ალტრუისტი ვარ და არც ჰედონისტი, ამიტომ ვერ ვხვდები, ვიღლები, თუ ვის ვეწებ. მინდა, რომელიმე მაინც ვიყო. მხოლოდ იმას მივსვდი, რომ ნებისმიერ იმედგაცრუებას თავისუფლება მოაქვს, თავისუფლებას კი თავისუფლება სჭირდება.

ბატონო უნამუნო, მე თქვენ მიყვარნართ ისევე პარადოქსულად, როგორც აუგუსტოს უყვარდა როსარით მხოლოდ იმიტომ, რომ ეუსენია შეუყვარდა.

თქვენი მონა-მორჩილი

რუსა ამირეჯიბი

ქვეყანას თქმის არ იყოს, საუკუნეების წინ ამ ქვეყანას რამდენიმე ჩემოვის საყვარელი მწერალი დააბიჯებდა და თან ქმნიდა ჩემეულ — ჩემს შეხედულებებთან და აზრებთან ახლოს მყოფ ნაწარმოებებს. ბევრი მიყვარს. მიყვარს ჰიუგოს პირდაპირობა იმ ეპოქაში, ვერნის უსაზღვრო ფანტაზიის უნარი, რის შეშველებითაც თითქოს მეც მის გმირებთან ერთად ვიმოგზაურე ყველგან, სადაც ისინი აღმოჩნდნენ, ლონდონის ხედავ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და გრძნობებზე, ჰემინგუეის დამახასიათებელი წერის მანერა, ბიჩერ სტოუ თავის ერთადერთ და განუყოფელ პერსონაჟებთან ერთად, დუმბაძე თავისი იუმორით. ასე რომ გაგაგრძელო, არ ვიცი, ამოვწურავ თუ არა ამ სიას ოდესმე.

რადგან მსოფლიო ერთი წერილის დაწერა შეუძლებელია, მაშინ ვარჩიე, რომ ამ წერილის ადრესატი ის ყოფილიყო, ვინც მთელი ბავშვობა გამიღამაზა თავისი შესანიშნავი სათაუგადასავლო ნაწარმოებებით.

უიულ ვერნს

ჩემო საყვარელო მწერალო,

ასე თავისუფლად იმიტომ მოგმართავ, რომ შენც ასეთივე იყავი მთელი ბავშვობა ჩემს გვერდით. შენმა ნაწარმოებებმა მომცეს საშუალება მემოგზაურა ისეთ ზღაპრულ ადგილებში, სადაც იმოგზაურეს მერიმ და რობერტმა. შენი „ნაწლის კაპიტანი“ დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩემი გმირი და ვამაყობდი შენთან ერთად მისით. ჩემს გონებაში და წარმოდგენაში შენ მართლაც მოახერხე შეგვეერთებინა გუშინდელი რომანტიზმი დღევანდელ რეალიზმთან და სვალინდელი დღის სიმბოლოსთან. იცი, რატომ მიყვარს ასე ძალიან ზღვა? იმიტომ, რომ იქ ყოველთვის შეგ-

უღებთან შენი ბერსონაჟები. როცა მის უსაზღვრო სივრცეს გავცქერო, ცნადად ვხედავ „დუნკანს“, „ბილიგრიმს“, დიკ სენდს, კაპიტან გრანტს – ბედნიერს და მომღიძარს შვილებთან ერთად, უზარმაზარ საჰაერო ბურთის მგზავრებითურთ, სმიტს და მის მეგობრებს უთვალავი განძითურთ და რაც მთავარია, შენ – მათ გვერდით საგარძელში მოკალათებულს, ჩიბუნით ხელში და ჩაფიქრებულს. უკვე სულ მთლად ჭაღარა ხარ, ბოლო რომანის წერაც დაამთავრე. 1905 წლის მარტის თვეა... სუსსიანი გაზაფხულია, როგორც ყოველთვის ამიენში. თითქოს გული გიგროძობს, რომ შენი დროც მოვიდა. მაგრამ კვლავაც ძველებურად იღიმი და თითქოს ბედნიერიც ხარ, რადგან შენ შენი სახელი შთამომავლობებს სამუდამოდ დაამახსოვრე. მათ შეუქმენი და დაუტოვე ბედნიერი ბავშვობის გარანტია, თუკი მოგისმინეს და შენთან ერთად იმოგზაურეს ავსტრალიის ალპებში, ახალ ზელანდიასა და აფრიკის კონტინენტზე – იქ, სადაც მუდამ იგროძობა შენეული თავგადასავლების სურნელი.

ჩემო კეთილო ადამიანო, შენ სამუდამოდ დაიდე ბინა ჩემს გულში. შენ ჩემი ბავშვობის ნაწილი ხარ, ძალიან დიდი ნაწილი და ტკბილი მოგონება. ნეტავ, შემძლებოდა შენი ხილვა...

ანა



„დინამიტის“ წამოწყება, რომელიც მოგვიანებით „გიყვარდეთ ჩემნი რეზიუმე“ გააგრძელა და ესტაფეტა გადმომილოცა, მაიმულებს და-
 ვუწერო ღია წერილი ფილიპ როტს, თანამედროვე ამერიკელ მწერალს
 (დაიბადა 1933 წელს), მრავალრიცხოვანი რომანების ავტორს.

ძვირფასო ბატონო როტ,

ყოველთვის მათემატიკადა სოლმე ინგლისურენოვან ქვეყნებში წერილების
 ასეთი ფორმით წამოწყება. ფაბილარული მეჩვენება. რატომ უნდა მიმართო
 ადამიანს, რომელსაც არ იცნობ, სიტყვა „ძვირფასო-თი“. ამიტომაც ასეთის
 დაწერისას ყოველთვის ვორჭოფობ სოლმე და შინაგანად ოდნავ მაინც
 მრცხვენია. კიდევ კარგი, თქვენ ამერიკიდან და არა ბრიტანეთიდან ხართ,
 თორემ ამ უკანასკნელის კონსერვატიზმი კიდევ უფრო დამაბნევდა.

ისე ფაბილარობას რაც შეეხება, ქართველები საოცრად ფაბილარული
 ხალხი ვართ. ასე მაგალითად, „თქვენობით“ თითქმის არასდროს ვლაპარაკობ
 და ჩემს ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, შეიძლება თქვენთანაც პირდა-
 პირ „შენობითზე“ გადახულიყო ყოველგვარი კითხვის გარეშე. ეს არასწო-
 რად მიმაჩნია, მით უმეტეს ჩემს პროფესიაში, ანუ ჟურნალისტიკაში. სწორ-
 ად არის სოლმე, უყურებ დებატებს ტელევიზორში და აქ ჟურნალისტი —
 რესპონდენტი ერთმანეთს ლამისაა „შეჩემობით“ ელაპარაკება. „შეჩემა“
 ქართული „იდიომატური“ გამონათქვამია და ინგლისურად რთულად ითარგ-
 მნება. თუ დაინტერესდით, შექმდე წერილში შევცდები, აგისხნათ.

ჰოდა, ეს „შეჩემათი“ ლაპარაკი არაპროფესიონალურად მიმაჩნია. მა-
 გრამ ასეთია საქართველო და ამას რთულად თუ შეცვლის რამე.

გვეყო საქართველოზე ლაპარაკი, ბატონო როტ. თუ მუშაობთ ახალ
 წიგნზე? თუ კი, წერის პროცესი როგორია? კვლავ ისეთი, ადრე რომ
 გჩვეოდით, ასკეტური და მკაცრი? ძალიან ვაფასებ, რომ საკუთარი თავის
 მიმართ ასეთი მომთხოვნი ბრძანდებით. თქვენ უკანასკნელი მოპიკანოვი

ნართ, რომელიც თანამედროვეობაში კლასიკის შექმნას ასერნებს, 400 გვერ-
დიანი, მაგრამ ძალიან საინტერესო ნაწარმოებების შექმნას. რთულია თან-
ამედროვე სამყაროში, სადაც ყველაფერი სისწრაფით ფასდება და საყ-
ვარელი ადამიანის მოსაფერებლადაც კი დრო არ გვრჩება, დაწერო ისეთი
წიგნი, რომელსაც მკითხველს 400 გვერდს ერთ ამოსუნთქვაზე წააკითხებს.

მასსოვს, თქვენმა „ჩემი ქმარი კომუნისტია“, რა შთაბეჭდილება მოახ-
დინა ჩემზე დაახლოებით წელიწადნახევრის წინ. 3 თუ 4 დღე ვკითხუ-
ლობდი. ბოლოს, ღამით ჩავუჯექი და რომ დავასრულე, ისეთი შთაბეჭდ-
ილებებით აღვივსე, რომ ნახევარი ღამე ვერ დავიძინე. არ მინდოდა, წიგნი
დასრულებულიყო, კიდევ 400 გვერდი რომ ყოფილიყო, კიდევ წავიკითხ-
ავდი, იმავე ღამეს.

არ შეიძლება, თქვენს მიმართ პატივისცემით არ აღვივსო, როდესაც
თქვენს ინტერესებს კითხულობ. ერთხელ დაახლოებით ასეთი რამ თქვით,
რომ წერისას „წერთ წინადადებას, ატრიალებთ მას, მერე კვლავ ატრი-
ალებთ და მერე კვლავ,“ – ამის არშენიშვნა თქვენს სკრუპულოზურ,
პრაქტიკულად უბადლო სიტყვათა წყობაში შეუძლებელია.

ისე, უნდა გამოვიტყდეთ, ლიტერატურული ცოდვა ჩავიდინე. მიუხე-
დავად ინგლისურის ცოდნისა, თქვენი ნაწარმოებები რუსულად, თარგ-
მანში წაგიკითხე. ალბათ, ორივე მთარგმნელს უნდა ვუმადლოდეთ, უფრო
მე – ცუდი რომ შემსვედროდა, თქვენი წიგნებით არც არასდროს დავინ-
ტერესდებოდი და ბევრსაც დაგკარგავდი.

რამდენი რამის დაწერა და რამდენ რამეზე საუბარი შეიძლება ამ
წერილში. მაგალითად, თქვენი ამერიკის აღქმაზე, თქვენი ბავშვობისა და
დღევანდელი ამერიკის შედარებაზე, თქვენს „გამოგონილ რეალიზმზე“
და ა.შ. თუმცა, რთულია წერილში ყველაფერი ჩაატო. ამიტომაც ამის
მაგიერ იმაზე ვიფიქრებ, რომ იქნებ ოდესმე თქვენთან შეხვედრა მეღირ-
სოს, თუნდაც ჟურნალისტის რანგში – გპირდებით, „თქვენობით“ და
„ძვირფასოთი“ მოგმართავთ.

ლობჟანიძე

ძვირფასო ასტრიდ,

შენ მე ბავშვობის საუკეთესო მოგონებები მანუქე.

ვიცი, ვერასდროს წაიკითხავ ამ წერილს, მაგრამ მე ერთ-ერთი ვარ იმ მილიონთაგან, რომლებიც შენს წიგნებზე გაიზარდნენ და ოცნება ისწავლეს.

ძვირფასო ასტრიდ, არც კი ვიცი, საიდან დაგიწყო.

აღბათ პეტი, ჰო, პირველი ნამდვილად პეტი იყო. უფ, როგორ შეგნატროდი ანიკას, რომ ასეთი მეგობარი ჰყავდა. რამდენჯერ ვყოფილვარ მათთან ერთად ბიკნიკზე, დამღუპვია გემი, მიძრომიძალია ფულურლებში. ვინ მოთვლის. დღესაც, როცა თავისუფალი დრო გამომიჩნდება, აუცილებლად გადმოვიღებ თაროდან სათუთად შენახულ ბავშვობას და ყველა აბზაცს თავიდან ვიყვარებ.

ჰო, ზომიერად ფერხორციან მოწიფულ მამაკაცზე რა მეთქმის, გარდა იმისა, რომ ყურებამდე ვარ შეყვარებული მასზე და ყოველთვის ყოველთვის, როცა კი კითხვას ვამთავრებ, ვტირი, ვტირი მთელი გულწრფელობით, განსაკუთრებით ანლა, როცა უკვე ძალიან დიდი ვარ იმისთვის, რომ სახურაგებზე ვიბოდიადლო კარლსონთან ერთად.

და მხო, ჩემი მხო! არა, ვადიარებ, რომ მხო ისე არასდროს მყვარებია, როგორც იმსახურებდა ის, და კალე რაღაცნაირად გაზრიყე.

სამაგიეროდ ემილიზე დღემდე ვგოყდები. სუტორი კატხულტა და მთელი ლიონებერგასაც აღბათ მილიონჯერ შემომირბენია მასთან და დაიკო იდასთან ერთად. ემილის საოცარი თავგადასავლები მუდამ ჩემი შთაგონება იყო და ვინ იცის, რამდენჯერ გადამიყვლეფავს მუნლები.

რა თქმა უნდა, ლიზიც არ გამომჩნება, ბიულერბიუელი ბავშვები-ჩემი ოცნების სამეგობრო. მათთან ერთად ვავიზარდე მეც. მაგრამ არც

ერთი პერსონაჟი არ მიყვარს ჩორგენზე მეტად, კუბატა გოგო ჩემი ოცნების კუნძულიდან. საერთოდაც, „ჩვენც სალტკროკელები ვართ“, ჩემი საყვარელი წიგნია დღემდე, ჩემს ბავშვობასთან მაკავშირებელი უწყვეტი ძაფი.

ყოველ ზაფხულს სოფელში ჩასული გულმოდგინედ ვფურცლავ თავიდან და ის ემოცია მიცოცხლდება, სალტკროკა I-ის გემბანზე პირველად აღმოჩენილს რომ მქონდა.

საოცრებებით, დადებითი ემოციებით, ოჯახური სიმყუდროვით, ლურჯი ზღვით, მოცხრის მურაბისა და შროშანების სურნელით საგსე წიგნია, ყველა სიტყვა მიყვარს და მეჩემება. გმადლობ, ძვირფასო ასტრიდ, გმადლობ, რომ ეს საოცრება მე მაჩუქე, მე და მსოფლიოს.

გულკეთილი პეღე, იახუანი და ნიკლასი, ულამაზესი მალინი, მუდამ დაბნეული მისტერ მელკერსონი, ანტაჯანა ფრედი და ტედი, მერტა და ნისე გრანკვისტები, ბაბუა სიოდერმენი, დაუღალავი სტინა, მუზესი და რა თქმა უნდა, ჩორგენი თავისი განუყრელი ბოცმანით, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლები არასდროს მიყვარდა, მეც პეღესავით ვოცნებობდი ბოცმანზე, თუნდაც მის ერთ უკანა ფეხზე .

ამ წიგნმა ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

სწორედ ამისთვის გეუბნებით უღრმეს მადლობას, ასტრიდ.

თქვენ მე ოცნება მასწავლეთ და ამ ოცნების ახდენის გზებიც დასლართულ რუკაზე მომინიშნეთ, რომ უკვე დიდსაც არ დამკარგოდა ვზა.

არც კი წარმომიდგენია, სხვას ვის უნდა მივწერო პირველი წერილი, თქვენზე საყვარელსა და გასაოცარს.

თქვენ მართლაც ხართ „ღიმილის ორდენის კავალერი“. თქვენ ჩემს სახეზე ღიმილს მუდამ აბრუნებთ.

აგათა

27. 06. 11

დაწყება ყოველთვის მიჭირდა, ახლაც ასე ვარ... ამბობენ, თუ გინდა რამე ნორმალურის თქმა, სისულელეები თქვი ბლომადო, მაგრამ... მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ გამოდგება... ო, როგორი რთული ყოფილა, მისწერო მწერალს, რომელიც ყველაზე მეტად ვიყვარს, რომელსაც გენიოსად თვლი... საუკეთესოდ აღიარებ... მაინც ვცდი...

არც კი ვიცი, როგორ დავიწყო... ძალიან ვკადნიერდები ალბათ, რომ ვაპირებ მოგწეროთ... მაგრამ სურვილი იმოდენაა, არ შემიძლია, ეს არ გავაკეთო...

ყველაფერი არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყა... ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად თქვენ შემოიჭერთ ჩემს ცხოვრებაში... მაშინ ერთმა ადამიანმა მითხრა – თუ მოგწონს... მე კიდევ შემრცხვა, რადგან არ ვიცნობდი... მითხრა, ძალიან მოგეწონებაო და თქვენი წიგნიც მაჩუქა – „ნარცისი და გოლდმუნდი“. რატომღაც პირველად დიდი ინტერესიც არ გამჩენია, ეტყობა, წიგნის მცირე მოცულობა მომსგდა თვალში (სასაცილოა, მაგრამ მე სომ დიდტანინის წიგნები მიყვარს...).

თავდაპირველი შთაბეჭდილება უმაღლესი შეიცვალა, როგორც კი პირველი ფურცელი ჩაგათავე... მაშინვე მომსიბლა თქვენმა მომაჯადოებელმა სამყარომ, წერის სტილით. თითოეული წინადადება ისეთი მსუბუქი იყო და ამავდროულად ისეთი მრავლისმთქმელი, ისეთი ბრძნული... ხარბად ვისრუტავდი თითოეულ სიტყვას და მართლაც უდიდეს სიამოვნებას განვიცდიდი... რა ოსტატურად აღწერთ პერსონაჟთა სულიერ სამყაროს – მეც მეგონა, მათ სულს ვნდავდი... კარგად რომ ჩავწყვდი, მივსვდი, უბრალო პერსონაჟების დახატვა როდი ვინდობდი: თქვენ სომ ერთი მთელი წარმოაჩინეთ დაბირისპირებულებით! შეუძლებელია, თქვენს გმირებთან მკითხველმა საკუთარი „მე“ შტრისები არ დაინახოს... თითქოს საკუთარი სინდისის ხმა გესმოდეს და ხედავდეს, როგორ ებრძვის ბოროტი კეთილს...

ერთგან წერთ: „ჩემთვის ახალი ნაწარმოები მაშინ იწყებს სიცოცხლეს, როცა გამოჩნდება მითიური სახე, რომელსაც შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში იქცეს ჩემი განცდის, ჩემი ფიქრების, პრობლემების სიმბოლოდ და მატარებლად... ამ მითიური სახის გამოჩენა არის ის შემოქმედებითი წამი, საიდანაც იწყება ყოველივე“ ...

არ ვიცი, თქვენთვის ვინ იყო ეს მითიური სახე, ჩემთვის კი ეს სახე თქვენ ხართ, თქვენი ნაწარმოებები იქცა ჩემი ფიქრების, განცდების სიმბოლოდ და მატარებლად...

მართლაც, ძნელია ამოიცნო მწერალი ნაწარმოების ფრაგმენტებიდან, მაგრამ ასე მგონია, თქვენს ყველა ნაწარმოებს ამოვიცნობ. თქვენთვის სომ ასე დამახასიათებელია შთაბეჭედავი, დასამახსოვრებელი სახეები, მოვლენების სიღრმისეული ახსნა, ადამიანის შინაგანი სამყაროს ღრმა წვდომა...

დაბირისბირებულთა განსხვავებულობის გადმოცემა, პიროვნების განლეჩა და ერთიანობის მიღწევის მცდელობა... სწრაფვა ჰარმონიისკენ...

იცით, თქვენი ნაწარმოებების კითხვას რომ ვიწყებ, არ შემიძლია გაგჩერდე... სულმოუთქმელად გკითხულობ, მერე კიდევ თავიდან და უკვე ნელა, მინდა თითოეულ წინადადებას ღრმად ჩავწვდე და ყოველი სიტყვით დავტკბე... ასე მგონია, საოცრად მგრძნობიარე და ფაქიზი სული გქონდათ — თქვენ სომ ისე გაინტერესებდათ ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნებად ქცევა, წვლენება, მუსიკა, ფილოსოფია, როგორც დედამიწის მაჯისცემაზე მიყურადებდა... თქვენი ფიქრი იმასაც სწვდებოდა, „რას ეუბნება ტყის ერთი ბუტბუტა მეორეს“, „სეები ფესვებით როგორ სვამენ წყალს“...

თქვენს ნაწარმოებებში ბუნებაც ცოცხლდება, ყოველივეს ალეგორიული სახე აქვს და ყოველი წაკითხვისას შეიძლება ახალ-ახალი აღმოჩენები გააკეთო... თქვენთან ბუმბერაზი გენიოსებიც კი იცვლიან სახეებს... თქვენთან სხვანაირად დავინახე მოცარტი, ჰეგელი, გოეთე, ნოვალისი...

ბევრჯერ დავფიქრებულვარ და ვერაფრით ვაგისსენე თქვენი ბოლომდე უარყოფითი პერსონაჟი! მართალია, ვერ დაგიკვებნი, რომ თქვენს შემოქმედებას სრულად ვიცნობ, მაგრამ რაც წამიკითხავს, არაგინ მაგონდება... ისე დაგვინატყთ პერსონაჟები, მათ მიმართ თანაგრძნობა გგინდება, გვიყვარდება მათი ნაკლოვანებების მიუხედავად... ეს ალბათ იმიტომ, რომ თითოეული მათგანი თქვენში ცხოვრობდა, თითოეული მათგანი გულიდან ცოცხლდებოდა და ყველა ვიყვარდათ...

არ ვიცი, კიდევ რა ვითხრათ... თუმცა სათქმელი კიდევ ძალიან ბევრი მაქვს...

მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი სიამოვნებებისთვის, რასაც თქვენი ნაწარმოებების კითხვა მანიჭებს...

თქვენი შემოქმედება ისე ახლოს მოვიდა ჩემთან... მამატივით, ასე რომ ვკადნიერდები, მაგრამ სულ ისე მოვიხსენიებთ, როგორც ყველაზე „ჩემიან მწერალს“...

უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით, რუსა

ძვირფასო ჯორჯ!..

დილის 6 საათია და მე ვფიქრობ შენზე. მე სშირად ვფიქრობ შენზე მას შემდეგ, რაც გაგიცანი. ფარდები გადავწიე და უძილო ღამის შემდეგ ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი. ძვირფასო ჯორჯ! რა იქნებოდა, შენ რომ 48-ში ის წინასწარმეტყველება არ აღმოგხდენოდა?

პირველი შეხვედრა ლიტერატურულ კაფეში

ძვირფასო ჯორჯ! იცი რამდენ ხანს გეძებდი? იცი, რამდენი წელი მინდოდა შენი გაცნობა? იცი, როგორ ამიძგერდა გული, როცა პირველად თარხნიშვილზე, ლიტერატურულ კაფეში მოგკარი თვალი? ბავშვივით ავყვირდი, სახე გამინათდა და ირგვლივ ყველაფერი გაქრა, თანდათან და სწრაფად, ისე, როგორც ფილმებში, მძაფრი ემოციების დროს. აი, როგორც ეტერნალ სუნსპიე თვ ტპე სპოტლესს მინდ-ში, როცა ჯოელს კლემენტინა ვერ ცნობს, მაგრამ მე გიცანი და ამიტომ გაქრა ყველაფერი, ის ყველაფერი იმ დროს უმნიშვნელო იყო.

ეს ჩვენი ნამდვილი შეხვედრა გახლდა. პირველი შეხვედრა. მე შენ გაგიცანი, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ გაგიცანი და მე შენით მოვიხიბლე. არა, შენ არ ხარ რომანტიკული ფურცლების დასტა და მხოლოდ ერთხელ გადმოგვარდა ცრემლი შენი წიგნის კითხვისას, მაგრამ ამაზე სხვა დროს იყო.

ჯორჯ, ჩემო ძვირფასო, მართლა ძვირფასო! იმდენად მიყვარხარ, რამდენადაც რეალური ხარ ყველა შენს სტრიქონში. მერედა, როგორი რეალური ხარ მაგ შენს ნეგატიურ უტომაიებში. მერედა, როგორ მეცნობა შენი ყველა პერსონაჟი ნაპოლეონის ფერმიდან, არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ იმპერიაში – ყველაგან, ყველაგან, ყველაგან მეცნობა.

იმ ღამით არ მეძინა, ვერც წიგნის გადაშლას ვბედავდი, მერე გაგუბედე და აღარც დამისურავს. რამდენი ალუზია გააკეთე და შეიძლება გადმოვიტანოთ ჩვენს ცხოვრებაში, თუნდაც ახლანდელში. შეშეშინდა.

ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო, რასაც ხანგრძლივი განშორება მოჰყვა.

შეხვედრა მეორე და ისევ უძილო ღამე

ყველგან გექებდი: შინისკენ მიმავალ გზაზე, ლიტერატურულ კაფეებში, ქუჩებში, წიგნის მაღაზიებში, მიწისქვეშა გადასასვლელებში, მეგობრების ბიბლიოთეკებში, სახელმწიფო ბიბლიოთეკებში, დედაენის ბაღში, ინტერნეტში... ბოლოს ვიპოვე. კრძალვით და ცანცანით გამოფართოვი შენს პატრონს ყდაგაცვეთილი ყვითელი წიგნი და იმ ღამით ისევ არ მეძინა. და მაშინ ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ ვერ გამტენდა ვერანაირი სიყვარულის სამინისტრო და ოთახი №101. ისევ რეალური იყავი, ისევ რეალური უტოპია, თუ უტოპიური რეალობა და თვალნათლივ დავისახე ევრაზიელი ჯარები დიდ ეკრანზე, ოკეანეთის ნაცრისფერ მიწაზე მოსიარულე ღურჯფარმიანები, მაგრამ ყველაფერი ისეთი ნაცნობი იყო, თითქოს აქ სდებოდა. აქ, არა მარტო ძველ საბჭოეთში, ახალ, პოსტსაბჭოეთშიც, საერთოდ, სამყაროშიც. იცო? მე მივსვდი, რომ ყველგან ასეა, ყველგან, და მე შემეშინდა ყველა სისტემის.

არ მინდა მინილოგე-ში! არ მინდა ძველ სახლში დამაღვა, სადაც მაინც მიყურებენ! არ მინდა მსოფლივ პროლეტთან გექებდე სინამდვილეს! არ მინდა დაიმსხვრეს ჩემი პრესპაბიე! არადა, რეალობა ისე ახლოსაა, იქნებ 20, 30, 50 წელში მივიდეს მთელი სამყარო იმ ზღვრამდე. შემეშინდა.

წმინდა კლემენტის ზარები

ძვირფასო ჯორჯ! ჩემო უძვირფასესო ჯორჯ! ეს იყო და ეს! მერე ისევ დაგშორდით და ახლა გექებ, გექებ ყველგან, სადაც ვიპოვი, ან ვერ ვიპოვი. მაგრამ მაინც გექებ და მჯერა, იმედი მაქვს, მტკიცედ მწამს, ჩვენ ისევ შევხვდებით. იქ, სადაც სინათლე(?) ან სადმე, სხვაგან. მანამდე კი შენი გახსენებისას სულ იმ ძველ სიმღერას ვიღიღინებ:

„შენ ჩემი გამართებს სამი ფარტინგი, რეკენ ზარები წმინდა მარტინის..“
და იქნებ ვინმემ გაგროძელეზაც იცოდეს.
დიდი სიყვარულით..

უ-უ-დიდესი სიყვარულით!
მომავალ შეხვედრამდე!
და იმედი მაქვს, შევხვდებით იქ,
სადაც ყოველთვის სინათლე არაა.

ფსიქე

შარლოტა,

აქამდე არასოდეს განმიცდია მონატრების გრძნობა.

მეგონა, ადამიანები ჩემთვის არაფერს წარმოადგენდნენ და მხოლოდ ბუნებისა და კოსმოსის ქვეშეცნეული ინსტინქტების მჯეროდა...

მონატრებამ ბოლო დროს, ჩემში კრისტალიზაცია განიცადა.

კრისტალები სხვადასხვა ფერებად დაკრისტალდნენ და ზოგჯერ ისეთ ნმებს გამოსცემენ...

აი, როგორც შენი სამშობლოს ნისლიან დღეებში იცის!

თავიდან მეზარებოდა, მათ ნმებს დაგკვირვებოდი, ან სულაც მაშინებდა, მაგრამ მერე გაუსაძლისი გახდა.

გუშინ, წიგნების თაროებთან ვიდექი და ვფიქრობდი, რომ ყველაზე მეტად თურმე სიბრძნავის მეშინია. მეშინია, რომ ველარასოდეს წავიკითხავ ასოებს და ვერ მოვიხმენ მათ ამბავს.

კიდევ მეშინია რაღაცების, მაგრამ სხვა დროს მოგწერ...

ვიდექი წიგნებთან და თვალებით ვფიქრობდი წიგნის ფერად ყდებზე. ერთ-ერთ მათგანზე განსაკუთრებულად დაძრწოდნენ თვალის გუგები, ჯერ ბუნდოვნად ისახებოდნენ ასოები, მერე ნელ-ნელა გამოიკვეთნენ – „ჯეინ ეარი“ აღმოჩნდა. როგორც კი გაიაზრა გონებამ სიტყვები, ის ჩემი კრისტალები ანბანურდნენ და თითქოს ლაწა-ლუწს მოჰყვანენ!

„ჯეინ ეარი“ ბებოს საყვარელი რომანი იყო.

როდესაც ჩვენ ორნი, ჩვენს საყვარელ სამყაროში ჩავდიოდით, სადაც მიწა გველოდა, ხშირად წავწყდომივარ მის სასთუმალოთ შენს წიგნს.

ჯერ კითხვის სამყაროში ფეხი არ მქონდა შედგმული, ამიტომ ავიღებდი ყავისფერყდიან წიგნს, რომელზეც იდაყვზე დაყრდნობილი, სევდიანი ქალი იყო გამოსახული კონტურებად და ინტერესით ვფურცლავდი...

ჩვენ ბედნიერები ვიყავით, რადგან სამყაროსთვის ვარსებობდით. დედამიწასაც ვუყვარდით, რომელიც ათასნაირი მცენარეებითა და ნაყოფებით გვასაზრდოებდა.

ათასნაირ მხალეულს ვიგონებდით, ბებო უბადლოდ ცნობდა მცენარის თვისებებს. მე მაშინ შევიცანი ბუნება.

მერე რომ გავიზარდე და „ჟარისთვის“ არ მეცალა, თითქოს განაპირდა სამყარო — ბებოს ტუბერკულოზი დაემართა.

ეს სომ ინგლისში, თქვენს მხარეში, სშირად ემართებათ.

იცო, რამდენი მსგავსება იყო, შარლოტა, შენსა და ბებოს შორის?

აი, დარწმუნებული ვარ, ინგლისში რომ დაბადებულიყო, რომანების წერას დაიწყებდა შენსავით და არანაკლებ სახელმოსვენებელი იქნებოდა, მაგრამ...

ღმერთმანი, შარლოტა! ფიზიკურადაც რომ გგავდა? ასეთივე ყვრი-მალები, სწორი ცხვირი და რაღაცნაირი, მშვიდი და თანაც ცეცხლოვანთვალებიანი მზერა...

რატომ წახვედით ასეთი ტკივილებით? რატომ მშვიდი სიკვდილით არ მიიცვალეთ, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით გარშემორტყმულნი?

მე ამას ვერასოდეს გავიგებ, შარლოტა... ვგრძნობ, რომ უბრალოდ პასუხი არ აქვს ამ კითხვებს, ისევე როგორც პასუხი არ აქვს ჩვენს ცხოვრებას, ცოცხალი ადამიანების ცხოვრებას...

შარლოტა, თქვენ ისე გავხართ ერთმანეთს, თქვენ სომ ჯეინ ეარი გაერთიანებთ...

დღეს გადავწყვიტე, მოვერიო თავს და შენი წიგნის კითხვა დავიწყო.

ახლა, როდესაც წერილი მოგწერე, თითქოს ამოვთქვი დარდივით რაღაც და მზად ვარ, ამ წიგნის, ბებიას საყვარელი წიგნის კითხვას შევუდგე.

ეს წიგნზე მეტი იქნება, და მე — ძალზედ სუბიექტური.

ბოდიში, თუ მოგაცდინე მარადისობას...

ვიცი, გამიგებ.

შენი მკითხველი

როდე

ბატონო ნოდარ, ანუ „თქვენც სუ და ჩვენც სუ...“

თქვენი ხათრით ვისწავლე კითხვა. და როცა თამარამ დამთავა, სხვაზე როგორ დაგწერდი, ხელის აუკანკალებლად?!

ბებო მიყვებოდა თქვენსა და პაპაჩემზე: მეგობრები იყვნენ და ჩვენ-სასაც ბეგრჯერ ყოფილა სტუმრადო... ჩემი სამი აუნდენელი ოცნება: ბაბუაჩემისა და თქვენი გაცნობა და სოსუმი... ეჰ.

პატარა რომ ვიყავი, დედამ მაზიარა ზურიკელასა და გივილოს სამყაროს. მერე, ერთბაშად გამომიცხადა — დანარჩენი შენითო... და მეც ვერ მოგწყდით... მანამ, სანამ თქვენს ყველა ნამუშევარში ცხვირი არ ჩაგყავი. საოცარი, პატარა და კოსტა ცხვირი რომ მაქვს!

სკოლაში რომ შევედი და სასწავლო ნაწილის წინ წარვსდექი, საერთო აღფრთოვანება თქვენი ლექსით დაგავგირგვინე. მასსოვს, როგორ ვიდექი მამაჩემის მიერ მოსკოვიდან ჩამოტანილ უსაყვარლეს კაბაში და ვკითხულობდი:

როცა ავად ვიყავი,
 ვსვი და ვყლაბე წამალი
 და დედიკომ საჩუქრად
 მომიყვანა მამალი.

ერთხელ ძია გვესტუმრა,
 ბაბუამ თქვა: — რა ვქნათო?—
 ბებიამ თქვა: — სასწრაფოდ
 მამლაცინწა დაგკლათო. —

ჰოდა, ეს რომ გავიგე,
 მამალს ხელი დავაგლე
 და ბებიას უჩემრად
 კარადაში დავმადლე.
 მერე იცით, რა მოხდა?
 ბებომ შიშით იკივლა...
 იმ სულელმა მამალმა
 კარადაში იყივლა.

რომ დავასრულე, ყველა ტაშს მიკრავდა, ეს რა კარგი გოგო ყოფილაო. პატარას მეტი რაღა მინდოდა.

დრო გადიოდა, ვიზრდებოდი და თქვენს შემოქმედებაში ყოველთვის მოიპოვებოდა ჩემი ასაკის შესაფერისი მოთხრობა/ლექსი/ჩანახატი/რომანი...

როცა პირველად ვადგენდი წარმოსახვაში იდეალური ბიჭის სურათს, შექმდევი ნაწყვეტის წაკითხვის მერე მივხვდი, რომ არასწორი მიმართულებით წავედი:

- რა ვინდა ქალო, რომ დამტკვირე ცოცხლად, მაცივარი გაქვს?

- მაქვს!
- სარეცნი მანქანა?
- მაქვს!
- ტელევიზორი?
- კი.
- აბა რა გაკლია?
- კუბო, რომ ჩაგასვენო და გაგასვენო!
- რატომ, რატომ?
- ნათელას ქმარი ჰყავს?
- ჰყავს.
- მისი ქმარი სარეცნს რეცნავს?
- რეცნავს.
- ბავშვებს უვლის?
- უვლის.
- საჭმელს ამზადებს?
- ამზადებს.
- საინებს რეცნავს?
- კი.
- ეჭვიანობს?
- არა.
- ღვინოს სვამს?
- არა.
- შაპიროსს ეწევა?
- არა.
- ჰოდა, რა ქვია ასეთ ქმარს?
- მთხლე და ჩვარი!
- მთხლე და ჩვარი შენა ხარ!

გადავწყვიტე, რომ ჩვარი კაცი არ მინდოდა გვერდით!

მასსოვს, როგორ მივსტიროდი *იანგულს*; როგორ შემიყვარდა „კუკარა-ჩა“, როგორ შემძულდა და თან შემეცოდა ინგა, რომელმაც „მურტალოს“ 7 ტყვია დაახალა და ვერც ერთი მოახვედრა... და კიდევ, წარმოვიდგენდი, როგორ მიკითხავდა „ლიმონა“ — „ტანო ტატანოს“ ... აი, ზუსტად ასე:

ერთი კი იყო, „თეთრ ბაირაღებს“ ვერ „დავუმუღამე“, ალბათ, იმიტომ, რომ ცოტა ადრე მომივიდა წაკითხვა. რომ მოვიშორებ სამაგისტროს, გაბირდებით, კიდევ ერთხელ ჩავუჯდებით...

მანამდე კი, როცა მოვიწყენ, ისევ გიგილოსა და თქვენს პატარა ჩანახატებს მივუბრუნდები, რომ ისევ ვგრძნობდე, ისევ განვიციდიდე, ვიღიმოდე და ვტიროდე — ხან სიმწრისაგან, ხანაც მომეტებული სიცილისაგან:

- გიგილო, კუთხეში!
- გიგილო, გამოეთრიე აქეთ!
- გიგილო, რა გატენე?
- გიგილო, ვინ გაგიტენა თავი?
- გიგილო, რა გადაყლაბე?
- გიგილო, მოუკვდი დედაშენს!
- გიგილო, ყურებს დაგაგლეჯ!
- გიგილო!
- ვის ჰგავს ეს მახინჯი?

მერე დედამისის რეპლიკა — „დახატული მამამისია“. სხვა აუტანელი მოსასმენი გახდა და ამიტომ გადავწყვიტე, ბავშვი სხვა ხერხით აღმეზარდა. ეს ახალი ხერხი დაგზერვე კიდევ ცხოვრებაში. ზემოთ ჩამოთვლილი სააღმოსაფხვრელი სიტყვების იგნორირების მიზნით ოჯახში ისე, როგორც ეს ქუჩებშია, განცხადებები გააკარა:

შ უ შ ა ბ ა ნ დ შ ი: — შვილო, გიგილო, ფანჯრიდან არ გადახტე. თუ რაპე დაგჭირდეს, ეზოში კიბით ჩადი.

გ ი გ ი ლ ო ს ს ა წ ო ლ ზ ე: — კალოშები ვარეთ დააწყვე.

ჩ ე მ ს ს ა წ ო ლ ზ ე: შვილო, გიგილო, როდესაც მამას სძინავს, ყურში მარილი არ ჩააყარო.

დ უ მ ე ლ ზ ე: — როდესაც ანთია, შიგ თავი არ შეჰყეო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ზ ე: — სანაგვე ყუთში არ ჩაავდო.

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ზ ე: — ყველას ერთ დღეს ნუ დახევ, გამოიზოგე.

ჩ ე მ ს ო თ ა ნ შ ი: — შვილო, გიგილო, კედელზე რომ თოფი ჰკიდია, არ ჩამოიღო, საწერი მაგიდის ქვედა უჯრიდან (მარცხნივ) ტყვიები არ ამოიღო, თოფში არ ჩააწყეო, საფეთქელთან არ მიიღო და ჩანძახი არ გამოსწიო.

ბატონო ნოდარ, მადლობა იმისათვის, რომ საშუალება მომეცით საყვარელი

მწერლისათვის მიწერილი წერილი ჩემი თანამემამულისადმი ყოფილიყო მიმართული.

მარადის თქვენი, ერთგული მკითხველი.

დიანა

მარის ბლოგზე გადავაწყვედი კიდევ ერთ ახალ თავაობას - წერილის მიწერა საყვარელი მწერლისადმი და რა თქმა უნდა, ვგრევე ასტრიდი ამომიტივტივდა გონებაში, დანარჩენები უკვე ცოტათი რომ დაფიქირდი, მერე გამახსენდნენ.

რა თქმა უნდა ჩემი, ადრესატი ასტრიდ ლინდგრენია, ყველაზე მზიანი, თბილი, სიცოცხლისა და პატარა სასიამოვნო დეტალების მთელ თავგადასავლად გადაქცევის მოყვარული მწერალი.

ჩემო უსაყვარლესო და უტკბესო ასტრიდ, როგორ მინარია, რომ არსებობ და შენი წიგნები დაწერე ჩემს დაბადებამდე ძალიან ადრე, რომ მანამდე გადათარგმნაც მოესწროთ, საყვარლად აკინძვა და ილუსტრირება და მეც ზუსტად თავის დროზე წამეკითხა.

ჩემი ლაპარაკისთვის რომ მოგესმინა, თვითონ გაოცდებოდი, რა ხშირად ვიყენებ საუბრისას შენს ციტატებს. ჩემი ცხოვრებისეული დევიზებიც ძირითადად შენს გავლენას განიცდიან.

რა უნიკალური ხარ

ერთადერთი გული საშინლად მწყდებოდა კითხვის დამთავრებისას, იმიტომ რომ წიგნის გმირები ისევე გააგრძელდნენ თავიანთ მხიარულ ცხოვრებას, სვალ ახალი თავგადასავლები გადასდებოდათ თავს და მე მათთან ვეღარ ვიქნებოდი, სანამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ნებისმიერი ცხოვრება საინტერესოა და თავგადასავლებით სავსე, მთავარია, დაინახო და იგრძნო.

შენი დამახასურებბაა, რომ ყოველდღიურ წვრილმან დეტალებში უამრავ საინტერესოს და სასიამოვნოს აღმოვაჩენ ნოლმე, არასდროს ვწუწუნებ დასასვენებლად წასული მორყეულ ფანჯრებსა და უსწორმასწორო გზებზე, თაკარა მზეზე, იმიტომ რომ ვიცი, მორყეული ფანჯრები ძალიან მეუდროდ ჭრიალებენ, უსწორმასწორო გზებზე ყველაზე კარგი გუბები დგება საჭყაბუნოდ, და ყველაზე სასიამოვნო მცხუნვარე მზეზე სიარულის მერე სურნელოვანი ცაცხვების ჩრდილში გრილ ბალახზე გაშლართვება ან ცივ მდინარეში ჩაყვინთვა.

მე მაგრად ვარ, დაერბივარ, მზეც ანათებს.

რადგანაც თვითნებურად დავითავა თავი, ამ პოსტში მეც არავის დავთავა ვაგ და ვისაც მოუნდება, ყველამ თავისით დაწეროს წერილი, ოღონდ კომენტარებში მომწერეთ, რომ ვნახო.

მილფი

თბილისი,
ნუცუბიძის პლატო,
ჩემს ძმას და მეგობარს,
გურამ ოდიშარიას.
ჩემო გურამ!

იქნებ, იმ ერთი იაბონელი პოეტისა არ იყოს, მეგობარს რომ სწერდა, შენი ბარათის განწყობილებიდან ვგრძნობ, ოსაკაში, მგონი, თოვლი მოსულაო (ეს შენ მომიყვები), ვერ შევძლო ქვეტექსტით მიგანიშნო, ამიტომ პირდაპირ გწერ: დღეს რიგაში პირველი თოვლი მოვიდა, სველი, ქარიანი, ბალტიის-პირულად სუსხიანი. მე კი შინაგანად კვლავაც შინა ვარ, საქართველოში, სადაც ამ ათიოდე დღის წინათ ზაფხულის მსურვალეობა დამხვდა. ჯერ კიდევ არ გამწვანებია ის ალტაცება, სითბო და სინარული, რომელიც ერთი კვირის მანძილზე განუწყვეტლივ თან მახლდა ზუგდიდსა თუ აბაშაში, თბილისსა თუ გურჯაანში, სადაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გრანდიოზული შესვენებები მომიწყვეს. შესაძლოა, სულაც დაუმსახურებელი, გადაჭარბებული, ერთგვარად სენტემენტალურიც, მაგრამ, ჩემი აზრით, გულწრფელი და უანგარო.

საქართველოს მწერალთა კავშირთან, საზოგადოება „ზუგდიდელთან“ და ჩვენს საერთო მეგობარ ოთარ ჭითანაგასთან ერთად ამ შესვენების აქტიური ორგანიზატორი შენც იყავი. უფრო მეტიც, ჭეშმარიტი ქართული მასხინძლობა გამიწიე, თბილისური ბინის ერთი მყუდრო ოთახი დამითმე და ჩემთან გულითად საუბრებში ღამეები თავზე დაითენე. შენი შავწინ-წკლებიანი თეთრი დაღმატინელი ქალბატონი დეზი ხან შენ მოგადგებოდა კუდის ქიცინით, ხან მე, სოლო შენი სათნო მეუღლე ცისანა ჩემთვის საოცრად მონატრებული ჩვენებური კერძებით გგანებებებდა. ბინაში მაშინვე შენიშნა „სოსუმური აქცენტი“: იალქნიანი გემის მოდელი, ზღვის ფერწერული პეიზაჟები, მაშველი რგოლი ის ატრიბუტები იყო, რომლებიც ბავშვობიდან თან გსდევდნენ და დედაქალაქშიც ჩამოგყოლია.

თბილისიდან გამოფრენისას შენი ანლაგდამოსული რომანი „სათვალ-იანი ბომბი“ მაჩუქე („პრეზიდენტის კატა“ ადრე გამომიგზავნე რიგაში), რომლის კითხვაც ჯერ კიდევ საქართველოს ცაში დავიწყე. დილის სუთი საათი იყო ჩვენი დროით, მე კი უკვე შენს სამყაროში ვიყავი ჩაფლული. კითხვა-კითხვაში ერთკვირიანი დაღლა გადამაგიწყდა და წიგნი სამსაათ-ნახევარში სულმოუთქმელად წავიკითხე. ორ დღეში მას სელახლა მივუბრუნდი და ანლა მინდა პირველი შთაბეჭდილებები გაგიზიარო (პირველ შთაბეჭდილებებს ნუ ენდობით, ისინი მუდამ დადებითიაო, გვაფრთხილებს

შპრილი ბურამ ოდიშარიას

ტალეირანი, მაგრამ მე საკუთარ ინტუიციას მაინც უფრო ვუჯერებ, ვიდრე ვერაგ დიპლომატს).

დავიწყებ იმით, რომ ჯერ კიდევ შენი პოეტური სიჭაბუკის გარიჟრაჟზე იგრძნობოდა: ადრე თუ გვიან უსათუოდ „მკაცრი პროზისკენ“ გაუხვევდი. შენეული ხილვები, მეტაფორები, სამყაროს აღქმა, წერის მანერა გვაფიქრებინებდა ასე. და აკი გაუხვევ კიდევ. უფრო სწორად, მყარად შედექი მის მაგისტრალურ ნაწიხე და კარგა ხანია, რაც იქ ლიდერის პოზიცია დაიკავე. პირველად „დეკონილთა უღელტეხილით“ — დაუცველი და ყველასგან მიტოვებული ქართველების აფხაზეთიდან გამობუნძულების (მომიტევე, მაგრამ უფრო ზუსტი სიტყვა ვერ მიპოვნია!) პირუთვნელი აღწერით შეგვძარი ყველა, მერე მას მოაყოლე ამ თემაზე შექმნილი რომანებისა და პიესების მთელი სერია და თანდათან იქეცი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული (და ამავე დროს სამარცხვინო) მონაკვეთის მიუკერძოებელ მემატიანედ. შენ, სოსუმში დაბადებულსა და გაზრდილს, ზღვის ზვიად სტიქიასთან სამარადჟამოდ დაწყვილებულს, განსაკუთრებული სიმძაფრით გტკივა ღვიძლ ფუძესთან განშორება, მაგრამ ამ ტკივილს თავზე არავის ასვევ, პირიქით, ცდილობ, იგი განაზოგადო და სხვათათვის ჭკუისსასწავლი გახადო. გადატანილიმა უბედურებამ არც გაგაბოროტა და არც სისხლიანი შურისძიების ჟინით აგაგსო და ეს შენი კაიკაცობის ერთი ყველაზე მკაფიო დასტურია. ამას დღეს ბევრი ხედავს როგორც თბილისში, ასევე სოსუმშიც და ამიტომაცაა, რომ სხვა ვინმეებისგან განსხვავებით ერთნაირად გენდობიან ქართველებიცა და აფხაზებიც. ომის საშინელებების აღწერისას შენ შეგნებულად არიდებ თავს იარღიყების მიწებებს, პროკურორის ტონით ვინმეს დადანაშაულებას, ეროვნულ ყოყონობას და ბღენძიობას, უკეთუ შენთვის მთავარი ადამიანის შინაგანი სამყარო და მისი ამა თუ იმ ქმედების განმსაზღვრელი მოტივებია. შენ მშვენივრად უწყვი, რომ სათვალისანი ბომბი ანუ ბედისწერა ყველა ჩვენგანსაა მითვალთვალებული და „როცა ხალხს არაფრის ეშინია, მაშინ გამოჩნდება.“ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ შენი სიუჟეტები კოსმოპოლიტურ სივრცეშია განფენილი, რადგან არსად ასახელებ გეოგრაფიულ პუნქტებს. თუმცა რა დასახელება სჭირდება მათ, როცა უთვალავი მინიშნება მშვენივრად შიფრავს როგორც პერსონაჟთა მოქმედების ადგილს, ასევე მათ წარმომავლობასაც. უთავბოლო მიტინგების ქვეყნის შვილები, მარად ერთი კაცის შემყურენი და მოიხედენი ერთი ქალაქის სახელმწიფოში ცნოვრობენ და გარს არტყიანთ ფილიალი ქვეყანა, ფილიალი ხალხი, ფილიალი ამომრჩეველი. ისინი თავისუფლებას ღვინოსავით ეცნენ და ხულ დოქებით ჩაისხეს ნახაში,

თუმცა წამალივით კი უნდა დაეღობათ. როცა გამოფხნილების უამრავი დადგა, უცებ შენიშნეს, რომ ზეცა თავზე დაქცევით, ფეხებიდან მიწა გამოცლიათ და ახლა ტერიტორიულ მთლიანობაზე წუწუნით გართულთ დაავიწყნიათ კიდევ ზნეობრივი და გონებრივი მთლიანობა. ცნობრება დასვაგვსება უსახურ სერიალს, რომლის სპონსორია „სინკლის სხელი“. „წერ – სინდისიო, რაინდიო. რამდენი წელია, ეს სიტყვები არ გამოვია. სიტყვების მუწეუმში სომ არ მუშაობ?“ – კითხულობს შენი რომანის ერთი გმირი და ესეც ზუსტად შენიშნული შტრისია იმ საზოგადოებაზე, რომლის სულიერი გალატაკებაც არა მარტო გვყინს, არამედ გულში ლახვრად გესობა. შენ სომ შენი ქვეყნის, შენი ერის დანაწინააქვებს გლოვობ. მართალია, ცრემლებს არ იმჩნევ, განზრახ ბრავადობ და ფარივით იფარებ მსუბუქ იუმორს, სარკაზმსა და ირონიას (ფრონტზე გამოძახებულმა ტოპოგრაფმა არტილერისტებს მოწინააღმდეგის ტანკის ზუსტი „აზიმუტ-მაზიმუტები“ უნდა განუსაზღვროს. ტოპოგრაფი ამბობს, მე ყველაფერი უკვე ავზომ-დავზომე, ნახევარი საქმე უკვე გავაკეთე და ახლა „რეიკიანი“ კაცი მჭირდება, რომელიც იმ ადგილას დადგება, საიდანაც ტანკი უნდა გამოვარდესო; გადაცემა „შუალამის სერენადაში“ წამყვანი და რესპონდენტი კაცი სიცილით იფხრის: შენ მაშინ გამგებელი იყავი? მტერმა მძევლად აგიყვანა? ამიყვანა. მერე ასე მალე რატომ დაგაბრუნეს? არ ვიცი. ააა, ქალიშვილი არ იყო?... ნა-ნა-ნა! ამიტომაც არ მოგყავს ცოლი? ნი-ნი-ნი!“ არ არის პრობლემა! – ამ გამოთქმამ სომ ხელში შემიკლა. სისხლი გამიწყალა. ანდა ის სიტყვა „ღირსეული“?... გავიჟღერებ კაცი. „ჩემო სინა“, „დააბეგრაუნდე“, „ჭუჭყი“, „ყურზე ვაზივარ“, „დავანმორთო ის კლიენტი“, „კაი რააა, XXI საუკუნეა“, „გალილეისე ადრეც იცოდნენ, რომ ბრუნავს დედამიწა, მაგრამ მათ ოჯახები ჰყავდათ“). სათქმელის მთელი სისავსით გადმოსაცემად მომგებიანი სერვისისთვის მივიგნია და მთნობელად ტელეკომპერატორი გამოვიყვანია, რომლის გამჭრიახ თვალს არაფერი გამოეპარება. თვით ნაწარმოების სიუჟეტიც, რომელიც შენს წიგნში პირობითად არსებობს, თითქოს კასეტაზე აღბეჭდილი ნედლი მასალაა, დაუმონტაჟებელი კადრებია, რომლებსაც მუდამ მეტი დამაჯერებლობა ახლავს, ვიდრე რეჟისორის მიერ შეკრეჭილ, დავარცხნილ და, ამდენად, შელაშაზებულ ვერსიას. შენს წიგნში, ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინი რომ ვინმართ, განპირობებთა მთელი ფიქრფერკია. აქ ენა ამოუდგამთ და ადამიანებივით გვესაუბრებიან ავტომანქანა, პისტოლეტი, სე. შენ მსუბუქად და ორგანულად გადადინარ ერთი პასაჟიდან მეორეზე, გვესაუბრები ხან პირდაპირ, დაუფარავად, ხანაც გადაკრულსა და ნახევარტონებს ამჯობინებ, ენდობი მკითხველს და მის აღ-

ღოს. ამიტომაც გამოვდის თსრობა სხარტი, სასიამოვნო, თავშესაქცევიც კი, თუმცა მეტწილად საშინელ ამბებს ჰყვები. შენ არც უნეშ გამოთქმებს გაურბინარ და არც ზოგჯერ ნატურალიზმამდე დასულ სცენებს, რადგან ყველა მსატრული საშუალება, რომელთაც იყენებ, ცხოვრებისეული სიმართლის სრულყოფილად ასახავად გჭირდება. შენი რომანი უპირველესად დაწერილია მათთვის, ვინც დღემდე ყალბი ფასეულობების სამყაროში ცხოვრობს და ოდესღაც სელოვნურად შეთვისებული დოგმებისგან თავი ვერაფრით დაუღწევია. „СССР-ი გეოგრაფიულად უკვე არ არსებობს, მაგრამ ფსიქოლოგიურად კვლავ თქვენთანაა,“ – გვიმტკიცებ შენ და უნდა დაგეთანხმეთ, რადგან ეს, სამწუხაროდ, სრული ჭეშმარიტებაა. აქედან მოდის მწარე შეძახილიც: „მე ქვასროლია სახელმწიფოზე კი არ ვოცნებობდი, არამედ სწორედ თანამგრძობ და თანამდგომ (ესეც უცხო სიტყვაა უკვე) სახელმწიფოზე, რომელიც ხალიჩასავით გამომატალეთ.“

ნაკითხობა და ვრცელი ინფორმაციის ფლობა მოულოდნელი, მძაფრი დასკვნების გამოტანაშიც გეხმარება, როგორც, ვთქვათ, ამ მცირე პასაჟში: „მეცნიერებმა ციბირში ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ოცდაათ კვადრატულ მეტრზე უნიკალური ბალახი აღმოაჩინეს, სხვაგან არსად არსებული. თავს ევლებოდნენ, მაგრამ რა?! გაიყვანეს იქ ავტოსტრადა და დაიღუპა ბალახი, სამუდამოდ გაქრა სიცოცხლის კიდევ ერთი სახე. მეცნიერები გლოვობდნენ სულ ერთ ღერ ბალახს. შენი ქვეყანაც იმ ბალახს ჰგავს, ლაშა!“

წყალი არ გაუვა ამ დაკვირვებასაც: „დღეს, როდესაც დედამიწაზე ნ მილიარდი ვართ, მოაზროვნეები ბევრად მცირე გვყავს. ადრე მეტი იყო. ვთქვათ, როგორც საბერძნეთში. დამთავრდა განათლების ეპოქა — ახლა ცოდნის დაკარგვისა და უნამსობის ხანაა“.

ესეც უდავო სიმართლეა: „არა გონის, არამედ სიყვარულისა და თანაგრძობის გამო უყვართ ქრისტე“.

შენ პოეტი ხარ და პროზაშიც პოეტად რჩები. ანა, ეს პოეზია არ არის: „საბერძნეთში ვარ. აქ, ეკლესიაში, როგორც თქვენთან, ისე ხატებს კოცნიან. ღამით ქალმა ჩვრით გაწმინდა ხატები. რამდენი კოცნა წაშალა....“

არა მაქვს საშუალება, ამ პატარა წერილში აღვწერო ყველაფერი, რაც ყურადსაღები და ციტირების ღირსია შენს შედარებით მცირე მოცულობის, მაგრამ დიდი ვნებებით, ემოციებითა და სიბრძნით გაჯერებულ რომანში: სადაც მერამდენედაა დასმული მარადიული კითხვები: „ვინ ვართ? სად მივდივართ? რას დავეძებთ? რატომ მოვედით?“

შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ ლიტერატურას არ ევალება კითხვებზე პასუხის გაცემა, მთავარია მათი სწორად დასმა. შენ ამ მიზანს უთუოდ მიაღწიე — ყველა ჩვენგანს გაგვიჩინე საფიქრალი, დაგვაეჭვე ყალბ ღირე-

ბულებებზე, ჩაგვანდე საკუთარ სულებში და დაგვწაფრე, რადგან იქ ბლომად აღმოჩნდა ბნელი კუნჭულები.

გეთანხმები: „ცნოვრება არ არის ბედნიერების ზონა. ბედნიერებისთვის მხოლოდ წუთებია განკუთვნილი“. მადლობა დემეტოს, რომ ასეთი წუთები არსებობენ“. მსგავს წუთებსა და საათებს მე მივაკუთვნებდი შენი წიგნის კითხვაში დახარჯულ დროსაც.

P.S. დასკვნის სახით კიდევ ორიოდ სიტყვას ვიტყვას შენს პროზაზე ზოგადად: იგი აღსავსეა სიკეთით, სიბოთით, მოყვასის სიყვარულით. მასში დანახულია ის ადამიანური მხარეები, რომლებიც ომის დროს განსაკუთრებით იჩენენ თავს. მისთვის დამახასიათებელია დაუვიწყარი, მეტად კოლორიტული სოსუმური სლენგი, ლინგვისტური კოქტიელი, რომლის ინგრედიენტები მრავალფეროვანია. აფხაზურ თემებზე შექმნილი შენი წიგნები გვიდასტურებენ, რომ ჩვენ გვქონდა ერთი ისტორიული და ეთნოგრაფიული კონტექსტი, ეროვნულ-ტრადიციული სივრცე, რომლის დაკარგვაც სასიკვდილო საფრთხეს უქმნის აფხაზებსაც და ქართველებსაც. შენ, რომელსაც ომმა მთელი მატერიალური მონაგარი წაგართვა, სულ იმის ცდაში ხარ, ხსოვნიდან მხოლოდ დადებითი, სამაგალითო და მარად დაუვიწყარი რამ ამოატივტივო და თვალიწინ გადაგვიშალო. შენს რომანებს არა აქვთ მკაცრი სიუჟეტური ხაზი, ისინი არაა დაწერილი ლიტერატურათმცოდნეობის მკაცრი სქემების მიხედვით. აქ ჭარბადაა ე.წ. „ცნობიერების ნაკადიც“, პოსტმოდერნული მოტივებიც, ლირიკული გადახვევებიც, ინტერმეცოებიც, რომელთა გვერდი-გვერდ არსებობა არ გვიქმნის ეკლექტიკის შეგრძნებას, არ გვითვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. შენი პროზა პრაქტიკულად შენივე ლექსების გაგრძელებაა ანუ უკეთ რომ ვთქვათ, იგივე ლექსებია, რომლებშიც უნვადაა ჩართული პროზად დაწერილი ტექსტებიც. მათში ჩანს შენი ღრმა განსწავლულობა, ფართო ინფორმაციის ფლობა, რომელსაც მუდამ მიზნობრივად და დროულად იყენებ. იმ უდიდესმა განსაცდელმა, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობასთან ერთად შენც დაგატყდა თავს, გაქცია ამ განსაცდელის ჭეშმარიტ მემკვიდრე. მიმაჩნია, რომ შენი შემოქმედება სწორედ ის ბეწვის სიდიდა, რომელზეც უნდა გაიაროს ყველამ, ვისთვისაც „სოსუმში დაბრუნება“ არა მარტო სანუკვარი მეტაფორაა, სასურველი ეგზემიზმია, არამედ მთელი ცნოვრების აზრიც და მიზანიც.

ქმური სიყვარულით
შენი რაულ ჩილაჩავა

ნ ნოემბერი, 2009 წელი, რიგა

ანტუან დე-სენტ ეგზიუპერის

გამარჯობა, დე-სენტ,

რამდენი ვიფიქრე, მომეწერა თუ არა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ ჰო, უნდა მომეწერა, რადგან... მომენატრა შენთან საუბარი ძალიან.

ანტუან, ჩემო მეგობარო, იცი, რომ მართალი იყავი და მართლა ძალიან მიჭირს? უკან დაბრუნება კი იოლი არ ყოფილა ნამდვილად...

ჩემი საჩუქარი — ოწინარიანი ჭა — რომლის ჭრილი ჩემს სიცილს გაგონებდა, იმედია, არ დაჟანგებულა... ჰოდა, რაკი ასეა და რაკი შენ ისეკ უსმენ ჭის სმას, მაშინ მინდა გითხრა, რომ ეგ ჭა ჩემზე სშირად იცინის.

დრომ, ადამიანებმა ლამისაა სიცილი ვადამავიწყოს.

ანტუან, ის შენი მეფე, რომელიც სულელურ დაჯალებას არ აძლევდა თავის ჯარისკაცებს, რადგან იცოდა, რომ შეუსრულებლობის შემთხვევაში თვითონ უფრო დიდი სულელი იქნებოდა, ვიდრე ხელქვეითები, ათი-ათასჯერ უფრო ჭკვიანი ყოფილა, ვიდრე მეგონა.

ხანდახან ისე მინდა წყაროზე გასეირნება, რომ გული ყელში მებჯინება. რა იოლია თითქოს, მიატოვო ყველაფერი და წახვიდე, სიყვარული კი ისე ძნელია...

დე სენტ, შენ ხომ იცი... შენ ხომ კარგად იცი, რომ არაფერია სიყვარულივით ძნელი და მაინც გინდა, ძალიან გინდა, რომ მთელი ცნოვრება გიყვარდეს, გულის მოწურვამდე გიყვარდეს...

ხანდახან ვტირი. „ცრემლების სამყარო ისე იდუმალია“, ადამიანებს უჭირთ გამოვიონ. ამიტომ ვცდილობ არავის დაჯანახო ჩემი ცრემლები. დაე, არ იცოდნენ, რომ ტირილიც შემიძლია... ამიტომ, როგორც უნდა მიჭირდეს, როგორი რთულიც უნდა იყოს, ვცდილობ გავიცინო და მაშინ შენი ჭა ალბათ ორმაგი ძალით იწყებს ჭრიალს. ასეთ დროს, ჩემო მეგობარო, იცოდე, რომ მე მტკივა, ძალიან მტკივა და მსოლოდ იმიტომ

ვიცინი, რომ ეს ტკივილი არ დაინახონ. შენ იცოდე... რა საჭიროა იცოდნენ სხვებმაც...

გუშინ ჩემმა ვარდმა მოიწვინა. წყალი მოვაკელი. წვიმა და მეგონა, საკმარისი იქნებოდა წვიმის წვეთები. დამავიწყდა კი, რომ მისთვის მთავარი ჩემი ყურადღება და სიბოძა და არა წყალი. ძალიან გამინაწყენდა და მსოფლივ მაშინ შემირიგდა, როცა ჩემი ცრემლებით დავუღებ ფესვები. დავპირდი, რომ ამიერიდან აღარასოდეს დამავიწყდება მისი მორწყვა. დადებულ პირობას ყოველთვის ვასრულებ. უთავმოყვარეო ვიქნები, რომ არ ავასრულო. უთავმოყვარეო ადამიანი კი სიყვარულის ღირსი ნამდვილად არაა.

ანტუან, მეგობარო, შენ ერთადერთი ადამიანი ხარ დედამიწის ზურგზე, რომელმაც თვითმფრინავის სალონიდან პოეტის სახლი დამანახე. გავსოვს, როგორ გამოვარჩიეთ? მითხარი, რომ სახლი, რომლის ფანჯრებიდან მოკრძალებული სინათლე იღვრება, თან სსვანაირად მოციმციმე, პოეტისაა. და მე აღმოვაჩინე ასეთი სახლი... და რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, ილუმინატორს ცხვირით მიჭყლეტილი...

ის კაცი მახსენდება, არაბების ტყვეობიდან რომ გავათავისუფლეთ. ჰევედე სენტ, ნეტავი ვინმეს შეეძლოს თავისუფლების იმეგვარად დაფასება, როგორც მას და ნეტავი ვინმეს ჰქონდეს იმის შნო, საკუთარი სახელი არ დაკარგოს, არ დაივიწყოს ვინაა, საიდანაა, ვინ იყო... მშურს იმ კაცის, ანტუან და მენატრება, ძალიან მენატრება. სადაა ახლა? როგორაა? ფული ალბათ, სულ გაანიავა... მაინც ბედნიერი იქნება, რადგან ის არის, არიიიის!!!

ჰო, მართლა, გუშინ მზის ჩასვლას ვუყურე... მიჭირდა... მომინდა მეყურებინა ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ... მიჭირდა... მართლ ვიყავი და...

არავინ იცის, რა შევება ადამიანისათვის დაისის ცქერა, როდესაც უჭირს. შენს გარდა, არავინ...

ვზივარ ახლა ჩემს საწერ მაგიდასთან, გწერ და ვფიქრობ: დე სენტ, შენ არ ვიჭირდა? ალბათ, ყველაზე მეტად...

მეგობარო, მალე მოფრინდი, დავიღალე შენი მოლოდინით. მე და ჩემი ვარდი გელოდებით ყველაზე პატარა პლანეტაზე.

შენი მეგობარი „ლეონი“

ნინო მშვიდლობაძე

ეს იყო სქელი და შინდისფერყდიანი წიგნი.

ჩემი-შენი პირველი წიგნი. ან, იქნებ — შენი-ჩემი.

ბიბლიოთეკიდან მოპარული. ასე გამოვიდა. იმიტომ გამოვიდა, რომ უკან დასაბრუნებლად ვერ გავიშევე.

ზაფხული იყო. პაპანაქება.

სასკოლო არდადეგები.

მე — სურვებ-სელებიანი. აკაწკაწებული.

ჩვენი სოფლური, ხის სახლის მეორე სართულზე, საბანში შეფუთული.

ეს იყო სქელი, შინდისფერყდიანი წიგნი.

ჩემი-შენი პირველი წიგნი.

ბიბლიოთეკიდან მოპარული. იმიტომ მოპარული, რომ უკან დასაბრუნებლად ვერ გავიშევე.

ზაფხული იყო. პაპანაქება.

სასკოლო არდადეგები.

მე — ცხელებიანი.

ჩვენი სოფლური, ხის სახლის მეორე სართულზე, საბანში შეფუთული ვიწქე და შინდისფერ-სქელყდიანი წიგნს ვკითხულობდი. ფურცლების კიდეებზე მინაწერებს ვაკეთებდი. ახლა, როცა ამ მინაწერებს ვკითხულობ, მეცინება და მრცხვენია კიდეც...

ერთგან გიწერია — წიგნი ისეთი უნდა იყოს, მისი წაკითხვის მერე, ხელში ყურმილის აღება და ავტორთან დარეკვა გინდებოდესო. და იქაც ჩემი მინაწერები — „მე მინდა, მინდა, მინდა შენთან დაგვრეკო!“

შენ იყავი პირველი მწერალი და ვგონებ უკანასკნელიც, ვისთვისაც ოდესმე მდომებია წერილი მიმეწერა (ან დამერეკა, მენახა, დაგლაპარაკებოდი) — არა როგორც ბრძენი და გამოცდილი ადამიანისთვის, დიდი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწისათვის, გამოჩენილი ფიგურისა თუ აღიარებული მწერლისათვის — არა. მე მინდოდა ჩვენ მეგობრები ვყოფილიყავით, მე მინდოდა გცოდნოდა, რომ ვარსებობდი და ძალიან მიყვარდი, შენი პერსონაჟებით მიყვარდი. მინდოდა, შენც გყვარებოდი.

ეს რომ ათი წლით გვიან მომხდარიყო.. ის წიგნი რომ ათი წლით გვიან წამეკითხა და შენც ცოცხალი ყოფილიყავი, ალბათ, არც ელექტრონული ფოსტის გავება გამოჭირდებოდა, არც ნამდვილი მისამართის, ან ფანგვარდი გექნებოდა გასსნილი... ჰოდა, მოგწერდი კიდეც. ალბათ კი არა — აუცილებლად მოგწერდი.

ქვირფასო ჯერომ,

მას მერე, რაც ხელში ის შინდისფერყდიანი წიგნი ჩამვივარდა, წიგნი, რომლის პირველ გვერდზე შავ-თეთრი ჰოლდენი ენატა, ლაბადის საყელო-

ში ცხვირჩარგული, სივარეტით ხელში — ჩემი სურვილი... არა, ჩემი ოც-
ნება გახდა შენსავით წერა შემძლებოდა და ჰოლდენივით ადამიანს შეგხ-
ვედროდი.. შენს გამოჩენამდე ჰემინგუეის ვალმერთებდი და ვიცი, რომ
შენც. მაგრამ ის ისეთია — ყველასია, შენ კი მარტო ჩემი ხარ.

მე ვიცხოვრე შენს მოთხრობებში, ვიყავი ფიზი, ვიყავი ესმე, ვიყავი
სიბილი, ჯიმი ჯიმერინო... ეს დიალოგები, ვისკი და სივარეტის კვამლი,
სურნელები, გემოები, ფერები.. ყველაფერი, რასაც შედმეტი ახსნა არ
უნდა, რასაც კითხულობ, წარმოიდგენ და ხედები — ახლა ჩემია.

„ჭერი ასწიეთ დურგლებო, სიძე მოდის სანაქებო“...

ჰო, სანაქებო. მარტოსულიც.

მინდა იცოდე, რომ ჰოლდენი ჩემი პირველი, ნამდვილი სიყვარული
იყო. მე მიყვარდა მისი დაწერილი ესეე ბეისბოლის ხელათომანზე. ჩვენ
დღემდე ვმეგობრობთ. ის ისეთივეა, როგორც მაშინ იყო. და მგონი მეც
ისეთივე დავრჩი, მაშინ რომ ვიყავი... დღემდე მგონია, რომ არაფერია იმაზე
უფრო მნიშვნელოვანი, ჭკავის ყანაში მოთამაშე ბავშვებს თვალყური
ადევნო, რომ სადმე არ გადაიჩენონ, არაფერი იტკინონ... ბავშვები სომ
რადაცნაირები არიან, სასაცილოები და დაუდევრები... ხან მუნღს იყვ-
ლეფენ, ხან იდაყვს..

კიდევ მინდოდა მეთქვა, რომ დღემდე ვერ ვარჩევ ერთმანეთისგან ცხე-
ნებს — ლურჯა ფაშატი, წაბლა ულაყი, ქურანა, მერანი... დღემდე მგო-
ნია, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი რამეების გარჩევა საჭირო და რა
თქმა უნდა, ეს ცხენებს სულაც არ ესება... პატარა ზღაპარი, სიმორი რომ
უკითხავდა ფრენის, იმ შინდისფერყდიანი წიგნის მერე, ჩემთვის იმად გა-
დაიქცა, ცხოვრების ფილოსოფიას რომ ეძახიან.

მიყვარხარ, მიყვარხარ, ისევე სულელურად, როგორც შინდისფერყ-
დიანი წიგნის გვერდებზე მიყვარდი.

სიყვარული და ჭკვიანური, სად გაგონილა...

აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს ოდესმე და რახან ის უკვე ვიცი,
რას ეუბნება კედელი კედელს, ამჯერად იმას გავიგებ — მოთხრობაში —
„შენი მწვანე თვალები და ლამაზი ტუჩები“ — ლისთან რომ ქალია, ის
მართლა ართურის ცალი არის თუ არა...

სოფო დათუაშვილი

2. 04. 2012

“Ex Caelis Oblatus”

ციური ძღვენი, რომელიც ჩემთვის გვიან, რეალურად კი ძალიან პატარა ასაკში გამოჩნდა, თქვენი გვარის აბრევიატურაა და ოდესღაც თქვენს ბაბუას ქალაქის მთავრობამ კი არა, განგებამ არგუნა ბედად, რომ მომავალში თქვენი ცოდნით და შესაძლებლობით ცნობილი გაგენადათ. მისი ხსენებისას მუდამ მასხენდება ჩემი დაუოკებელი სურვილი, მიზნად რომ ქცეულა – ოდესმე უნდა განხილეთ, გესაუბროთ, თქვენს სამუშაო მაგიდაზე მიმოყრილ ფურცლებში ვიკირკიტო, უკვე გამოცემული წიგნებისთვის გამოყენებულ მასალებში ჩაუძვრე და ვუძებო ის, რაც იქნებ გამოგონათ ან განგებ გამოტოვებო და არ გამოიყენებო რომანებში.

მწერადი, 27-გზის საპატოი დოქტორი და იუმორის გრძობით დაჯილდოებული პიროვნება, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, იმ ეპოქის საუკეთესო მკვლევარ-მეცნიერი ხართ, რომელიც ყველაზე მეტად იწვევს ჩემში ინტერესს.

და აი, სიცოცხლეშივე აღიარებულსა და დაფასებულს, მეგობრის იდეით გულმოცემული გწერთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დილის გაზეთებთან ერთად ხელში გადმოგცენ საქართველოს მარკით დამშვენებული კონვერტი რომელსაც ზედ გამოუმჯავანის სახელი და გვარი ეწერება სათაურით „საყვარელ მწერალს“ და დასვენების, სიმშვიდის მსურველმა კონვერტი, გვერდზე კი არ გადადოთ, ცნობისმოყვარეობით აღვსილმა გახსნათ და წაიკითხოთ. ფურცელმა, რომელზეც დავიწყო წერა და არ დამიჭმუჭნია, კალმით გამოყვანილი სიტყვები არ გადამისწორებია (მშრალი და განგებ ლამაზად დაწერილი რომ არ გამოვიდეს), შეხებისას შეგავგრძობინოთ ჩემი ემოციები.

სინიორ უმბერტო ეკო,

იცით თუ არა, რომ ტურინის უნივერსიტეტში მეც ფილოსოფიის ფაკულტეტს ავირჩევდი, თუმცა შუასაუკუნეების ლიტერატურით, ისტორიით და ინტერესებული, დისერტაციას თქვენსაგანით თომა აქვინელზე არ დავიცავდი, უფრო ბერნარდ კლეერგოელის მოღვაწეობას მივანიჭებდი უპირატესო-

ბას, მაგრამ სიამოვნებით წავიკითხავდი ამ ნაშრომსაც, იმიტომ რომ დაუოკებლად მსურს ყველა სიტყვა, რომელიც კი ქალაქდღზე აღბეჭდილა თქვენს მიერ, ჩემს გონებაშიც აღიბეჭდოს.

ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ოკულტური სამყაროს შეცნობით დაინტერესებულს ბევრ კითხვაზე მსურს პასუხის მიღება წყაროების დამოწმებით და თქვენ ეს შეგიძლიათ, თქვენთვის სომ ღიაა უძველესი ბიბლიოთეკები, სადაც ვინ იცის, რა წიგნს წაწყვიტომინართ.

ბირველად ჯერ კიდევ ბავშვმა წავიკითხე თქვენი მეორე რომანი „ფუკოს ქანქარა“. ბავშვმა შევიგრძენი სინამდვილისა და გამოგონილის ზღვარზე მყოფი თქვენი ცნობრების გარკვეული პერიოდი. იაკობო ბელბოს ფაილების პარალელურად მიყვებოდი თემებს, რომლებმაც მომიყვანეს თქვენამდე: შუასაუკუნეების რაინდი-ტამპლიერები, პილიგრიმი ბერები, ცოდნა, გრაალი. ბავშვს, რომელსაც თავის დროზე დაუმაღეს, რომ დიუმა და ვერნი ქართული გამოცემებით არ არსებობდა, არ გამჭირვებია თქვენი რუსულ ენაზე გაგება. მრავალი წლის შემდეგ კი, როცა გამომცემლობა „დიოგენე“ მოიბოვა თქვენს ნაწარმოებებზე სააგტორო უფლება და თითქმის ჩემი ტოლი პირველი რომანი „ყარდის სახელი“ გამოსცა, რომლის კითხვისას რომანის უკანასკნელ ფურცლამდე XIV საუკუნის მონასტერში ვცნოვრობდი, მჯეროდა, რომ ნაწარმოები მართლა შუასაუკუნეებში დაიწერა, მივსვდი, რომ მთარგმნელს ძალუძს თქვენეულად გადმოსცეს სიუჟეტი და გამომცემლობას მივმართე თხოვნით, სათუნა ცხადამეს ათარგმნინოს „ფუკოს ქანქარა“.

სინიორ, ჩემი ბიბლიოთეკა საყვარელი მწერლების რომანებითაა სავსე. მათ გვერდს ქართულად, ჩემს მშობლიურ ენაზე, თქვენთვის, ევროპელი მეცნიერებისთვის უცნობ ანბანზე დაწერილ-გამომცემული თქვენი ყველა რომანი რომ არ ამშვენებდეს, არასოდეს ვაპატიებდი ჩვენს გამომცემლებს, რადგან ძლიერ მსურს, ჩემმა შვილებმაც ისევე შევიყვარონ, როგორც მე შევიყვარეთ, მათთვის არ მქონდეს სათქმელი, რომ ჩემი თანამედროვე ადამიანი სადღაც, აქვე ახლოს, გლობუსზე რომ ჩექმას ჰგავს და წვერს ბურთის დასარტყამად უმიზნებს, იმ ქვეყანაში ცნოვრობს, სუნთქავს, ლაპარაკობს, წერს, მე კი იგი არასოდეს მინახავს და იმიტომ გწერთ წერილს, იქნებ ჩემს ქვეყანაში ჩამოსვლის ან პასუხის მოწერის სურვილი გაგიჩნდეთ.

მე ვიცო, წამიკითხავს, დღეში რამდენი ელექტრონული შეტყობინება მოდის თქვენს ელექტრონულ ფოსტაზე, ვიცო, რომ უამრავ ნაწერს გიზავნიან შესაფასებლად, ვიცო, ყოველდღიური დისკუსიების ოსტატა, როგორ ჯაბნით იტალიის მემარჯვენე ოპონენტებს გონებაშავილოური პუბლიკაციებითა და უსაზღვრო ცოდნით, ვიცო, თუ როგორ აშუქებთ აქტუალურ პრობლემებს, თანამემამულეებს უზიარებთ თქვენს მოსაზრებებს და ამ ყველაფრით დაღლილს როგორ ვსურთ ქვეყნად მშვიდობა, რათა მეტი დრო დაგვრჩეთ

საყვარელი საქმიანობისთვის, თუმცა პოპულარობის ტყვეობაში მოქცეულს უკვე კარგა ხანია აღარ ძალგოძთ მშვიდად მუშაობა. მაინც გწერთ!

„ამ ტყვეობისთვის თავის დაღწევა მხოლოდ სიკვდილის მეშვეობით შეიძლება. მაშინ ირღვევა კლიშეები და რჩება მხოლოდ წიგნები.“

თქვენი სიტყვები ისტორიას დარჩება, სოლო მრავალი კრიტიკოსის ვარაუდი, რომ მომავალი ლიტერატურა ძირითადად ეკოს გავლენით განვითარდება, სრულდება, მიმდევრები უკვე გამოვინდათ, თუმცა ჩემთვის შეუცვლელი ხართ.

ზოგჯერ, როცა ვუმზერ თქვენს ფოტოებს, მეჩვენება, რომ თქვენს თვალე-ბში უსაზღვრო სევდას და ამაჯდროულად ბავშვურ ცნობისმოყვარეობადაუოკებელ პატარა ჭინკებს ვხედავ. ისინი მამცნობენ, თუ როგორ გაიყვართ სიცოცხლე და გსურთ გამოადგეთ იტალიას. საოცრად მესიმაპტურებით ქაღარა წვერით და ჭკვიანი თვალებით მომზინალი მამაკაცი, რომლის ვარეგნობაც ჩემი ბავშვობის წარმოსახვაში საიდუმლო ორგანიზაციების, კერძოდ კი ტამპლიერთა მაგისტრების ვარეგნობის იდეტურია. კვლავ ბავშვი რომ ვიყო, ვისურვებდი ძილის წინ მომესმინა საინტერესო ისტორიები თქვენგან ისე, როგორც ბაბუა უკითხავს საყვარელ შვილიშვილს ზღაპარს, თუმცა არც ახლა ვიტყვი ამასე უარს, ბაბუას ვერ მოვესწარი, თქვენ კი უკვე მიყვარხართ.

გულწოფელად ვწუნვარ, რომ აქამდე ვერ შევძელი მენახეთ, ვერც თქვენს მშობლიურ ენაზე ამეტყველება მოვახერხე ისე, რომ თავისუფლად გესაუბროთ. ისღა დამრჩენია ვიოცნებო, რომ ოდესმე განგების ძალით საქართველოს ესტუმრებით ან სადმე ევროპაში სეტიადისას მოულოდნელად ერთმანეთს შევეფეთებით და მე აუცილებლად გიცნობთ. მაშინ შევძლებ გულში ჩაგეკრათ და ჩუმად, მხოლოდ თქვენი ყურის გასაგონად ჩაყინურჩელო: „ამინდა ოცნება, სინიორ“. და მიუნედავად იმისა, რომ თქვენ ვერ გაიგებთ ჩემს სიტყვებს, გული გულს იცნობს და მჯერა, თუკი განგება ერთმანეთს შეგვასვენდრებს, კომუნიკაციასაც შეგვაძლებინებს, შემდეგ კი ბევრს, ძალიან ბევრს ვისაუბრებთ საერთო ინტერესებზე, მოგიყვებით, თუ რაოდენ ბევრი საინტერესო მასალაა ჩვენს ქვეყანაში ეზოთერიკის, რელიგიის, მისტიკისა და სხვა იმ თემათა შესახებ, რაც განტერესებთ და ვინ იცის აღმოაჩინოთ, თუ რისი ტყავი მოსავს შოთა რუსთაველის მთავარ პერსონაჟს, „ბრადის სასაფლაო“ ისტორიას მხოლოდ მექვსე რომანად დარჩეს, სოლო მსოფლიოს ახალი მეშვიდე რომანი მოეგლინოს, რომლის დაწერასაც ასაკის მიუნედავად შეძლებთ, გპირდებით.

ფაიფურის ანგელოზი

9. 04. 2012

ამ წერილის ადრესატია ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი. თითქოს პირად ბარათს ვწერ, მაგრამ ეს ტექსტი შეიცავს მცირეოდენ სიყალბეს. ჩვენს შორის იგულისხმება უცხო მკითხველი. მე უნდა გამოვამუშავო, რატომ მომწონს, მეტიც - რატომ მიყვარს ნაწარმოები „პატარა უფლისწული“. და მკითხველმა ეს კარგად უნდა გაიგოს.

ავტორს ასე სიმ არ მივწერდი? გავუმხელიდი, რომ ეს წიგნი მიყვარს, მაღლობას ვეტყოდი მისი დაწერისთვის; შეიძლებოდა ერთი-ორი სიტყვა დამემატებინა იმის შესახებ, რა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს იგი ჩემზე. ანლა კი უნდა დავანტერესო ჩემივე ბარათის უცნობი მკითხველიც, რომელმაც ბავშვობაში გადარბენით წაიკითხა ეს ტექსტი და მერე არ დაბრუნებია მას. იქნებ ორიგინალური თხრობით ამგვარი რიოში მომენტებისთვის თავი ამერიდებინა, მაგრამ დროის სიმცირისა და უფრო გულახდილად — სათანადო ოსტატობის დეფიციტის გამო ვწერ პირდაპირ:

ანტუან, 44 წლის პილოტო, იფიქრებდით, რომ ამქვეყნიდან თქვენი გაუჩინარების შემდეგ ნმ წელი გავიდოდა და ქალი, რომელიც იცნობს მრავალ მიმართულებასა თუ მიმდინარეობას ლიტერატურაში, ბევრ საყურადღებო ქმნილებას, რომელსაც ამა თუ იმ „იზმს“ აკუთვნებენ, თავის საყვარელ წიგნად თქვენს სამოცგვერდიან „პატარა უფლისწულს“ აღიარებდა?.. იმ ქალს „სამხრეთის ფოსტაც“ წაკითხული აქვს, „ღამის გაფრენაც“, „ადამიანთა მიწაც“, რამდენი უფიქრია და უნებებია თქვენი პროზის პოეტურ პასაჟებში, მაგრამ... გულახდილად გეუბნებათ: წიგნი, რომელიც ასე ახშირებს გულისცემას, სხვა არა ვაქვთ. არც სხვა მწერლებს აქვთ. რატომ? რაა ასეთი ამ ლიტერატურულ ზღაპარში? ზღაპარი სიმ რაც უნდა გენიალური იყოს, მანაც ზღაპრია და მეტი არაფერი?!. აი, რატომ: ამ ქალმა არ იცის სხვა წიგნი, ბავშვობიდან დამგზავრებული, ასეთი ღვთაებრივი სისადავით რომ ყვებოდეს ადამიანთა ყოფის მთავარ საიდუმლოებებზე და უძლებდეს სხვადასხვა ასაკში ბევრჯერ წაკითხვის გამოცდას.

ეს ნაწარმოები 5-ის ფორმატის ნმ გვერდი მკითხველს შეუძლია ერთ მშვიდ საღამოს წაკითხოს შესვენების გარეშე. მაგრამ ეს იქნება ტექსტის გაცნობა, თუნდაც ბავშვობაში წაკითხული ჰქონდეს. ადრეულ ასაკში ვის

შპრილი ანტუან დე-სენტ-ეკზიუპერის

შეუძლია იმ სიბრძნეთა გაცნობიერება? ეს წიგნი, ჩემმა სტუდენტებმა და მოსწავლეებმა იციან, სიცოცხლის განმავლობაში ბევრჯერ იკითხება. თან სასურველია, ტექსტთან ყოველი შეხებისას წინა შთაბეჭდილებისგან გათავისუფლდე. თუმცა, არაფერს დაგინიშებ. უბრალოდ, ასე მგონია, სიუჟეტური ნაწინა გააზრებაა. ვზადაგზა კი ვაგრძობინებს გული, რომ მკერდის მარცხენა მხარეს არსებობს, მაგრამ, ალბათ, სჯობია, მიაყურო მეორედ წაკითხვამდე, აი მაშინ კი რეფლექსიას მთელი არსებით მიეცევი. ნაწარმოები დიდი შინაგანი გამოცდილების დასტურია და გულდადინჯებით ჩაკვირება სჭირდება, ერთი წაკითხვით ვერ მოისტუმრებ. ტექსტს რომ გაიცნობ და კვლავ მოგაბრუნებს თავისკენ, აი, მაშინ მნატვრულ ქსოვილში ჩადებული ნაღებები უკეთ ფეთქდება.

ჯერ მიძღვნას ვუკვირდები: „ლეონ ვერტს, როდესაც იგი პატარა ბიჭი იყო.“ აუჰ, უკვე დამატყვევებო!.. გვისხნით: უძღვით იმ დიდს, რომელსაც ახსოვს, რომ ოდესღაც პატარა იყო და დიდობაშიც იმგვარად სუფთაა, ესმის ბავშვებისთვის დაწერილიც კი. ე. ი. ის ცნობიერებით ატარებს მთლიანობას საკუთარ ბავშვობასთან. მიძღვნაცა და პირველი თავებიც იმას გვანიშნებს, რომ ნაწარმოების აზრობრივი დასაყრდენი სწორედ ეგ არის: ბავშვური უცოდველობა, უანგარობა, სისპეტაკე. მთელი ნაწარმოების წიაღიდან ბავშვის წყვილი თვალი გვიყურებს, სასწაულებრივად სუფთა, ალალი, შეურყენელი, კამკამა მზერა. მის გარშემო, მის ორბიტაზე ტრიალებს მთელი სამყარო. ბავშვი გულის თვალთ იყურება და ჩვენც იმასვე გვასწავლის. საჭარის უდაბნოში მოვლენილი უფლისწული თითქოს პილოტის მთხრობელის, ე. ი. თქვენსევე ბავშვობაა, სხვა პლანეტიდან ჩამოდედამიწებული ბავშვობა – სხვა პლანეტა არ არის განა?... ის მშვენივრად აცნობიერებს პილოტის №1 ნახატს და ყუთში მყოფ ბატკანსაც. ის ციდან მოვიდა. ყველა ბავშვი ციდან მოდის, თავისივე უცოდველობის ნათლით მოსილი. სხვა პლანეტის ბინადარი არიან ისინი და სივალღე მათი ბუნებრივი მდგომარეობაა.

რა აშკარად გვეუბნებით, რომ დიდები ანგარიშის, პრაგმატული თვალთახედვის, ციფრების ნაღნი ვართ. ბავშვი როცა ახალ მეგობარზე ყვება, მისთვის მთავარია, როგორი ხმა აქვს მას, ტემბრის რა ნაყვრდები, რას თამაშობს გატაცებით ან პეპლების როგორი კოლექცია აქვს. დიდებს აინტერესებთ, რამდენი და-ძმა ჰყავს, რამდენს იწონის, მამამისს რა ჯამაგირი აქვს... ბაღლი ლამაზად აღიქვამს სახლს, რომლის ფანჯრის რაფებზე ყვავილებია, სახურავებზე – მტრედები. დიდებისთვის ალტაცების ღირსია სახლი, რომელიც ასე ათასი ფრანკი ღირს. ცხოვრების აზრი სხვადასხვა რაობაშია დიდისა და პატარისთვის: ერთს ციფრებში გადაჰყავს ღირებულებები, ემოციების ვარსკვლავეთი ჩაჰქრობია, გახეყება განცდები, მეორეს კი საოცრად მდიდარი ემოციური სამყარო აქვს და ღია გულით დააბიჯებს ცისქვეშეთში.

ნაღმებზე ვამბობდი. ერთ-ერთი ნაღმი ბაობაბებისა და ვულკანების ფრაგმენტშია ჩადებული. ვინბლები სათქმელის ფორმულირების სელოგნებით. ბაობაბიცა და ვულკანიც მსატყურელ-გამომსახველობითი სერნია, სიმბოლოა. ყლორტიდანვე უნდა ამოიძირკოს ცუდი მცენარე, თორემ მთელ პლანეტას მოედება და ნაფლეთებად აქცევს. ბაობაბის ბოროტების სიმბოლოსა და ვარდისმშვენიერებისა და სიყვარულის სიმბოლოს ყლორტის გარჩევას დაკვირვება სჭირდება.

საკმაო მუსტია ჩადებული იმ ფრაგმენტშიც, სადაც გვიმხელთ, რომ როცა გიმძიმს, მზის ჩასვლის ცქერა გშველის.

მეშვიდე თავში გვაფიქრებთ სერიოზულ და არასერიოზულ საქმეებზე. რა ოსტატურად გვითხარით, სერიოზული საქმის განმასორციელებელი ჰგონია ადამიანს თავი და სინამდვილეში თურმე აბსურდის მსახურია: არასოდეს უყნოსია ყვავილის სურნელი, არასოდეს დამტკბარა ვარსკვლავთა იდუმალებით, არასოდეს ჰყვარებია, რიცხვების შეკრება-გამოკლების მეტი არაფერი გაუკეთებია და სერიოზულ საქმეს არქმევს ამას. უფლისწულის თვალთახედვით, იგი სოკოა და არა-კაცი. ესეც ერთ-ერთი ნაღმი: მშვენიერებით ტკბობაშია სიცოცხლის აზრი და არა მატერიალური რაობის დაგროვებაში!..

ერთ-ერთ მონაკვეთში გაშარჟებულია ძალაუფლების ნება, სხვაზე მბრძანებლობის სურვილი. მბრძანებლისთვის ყველა ხელქვეითია. სხვაგან – პატივმოყვარეობის სენი. პატივმოყვარისთვის ყველა თაყვანისმცემელია; აქვე სასოვნად არის ნაჩვენები ღოთობის ამაობა, საქმოსნის ღიმილისმომგვრელი უწყვეტი „საქმე“. ამ ადამიანისთვის ვარსკვლავი ამაო ოცნების აღმგვრელი რაობაა. მას ყველაფრის დასაკუთრების გნება აწუნებს, ოღონდ არ იცის, რად უნდა ის, რისი მფლობელობაც სურს.. შემდეგ საუბარია ტრაფარეტული წეს-კანონებით მცხოვრებ მეფარნეზე, გეოგრაფზე, რომელსაც არსად უმოგზაურია და სხვათა მონაყოლით ადგენს გეოგრაფიულ წიგნს, უშეცდომოდ აღნუსხავს, სად რა მთა, ქალაქი და მდინარეა. ერთი ნაღმი აქაცაა ჩადებული: გეოგრაფს უფლისწული თავის პლანეტაზე უყვება და ახსენებს ყვავილს. „ჩვენ ყვავილებს არ აღვნიშნავთ“, – ესმის პასუხად. უფლისწული გაოცებულია: „რატომ? იგი ყველაზე ღამაზია ჩემს პლანეტაზე.“ პასუხი ასეთია: „იმიტომ, რომ ყვავილი ეფემერულია“. და დასძენს: „ჩვენ მსოლოდ მარადიულ საგნებზე ვწერთ.“ „...ჩვენთვის მთავარია მთა. იგი არ იცვლება.“ ...და ნაღმიც ამოქმედდა: ღოვავური აზრი და პოეტური სიმართლე დაუბრუნებდა ერთმანეთს: ძენორციელისათვის, თურმე, სწორედ ეგ ეფემერული ადამიანია მარადიული და მთავარი ღირებულება.

როცა უფლისწულმა სხვა პლანეტები მოიარა, დედამიწას ეწვია. აქ ყველა ჯურის ხალხი ერთად ნახა: მბრძანებლობის მანით შეპყრობილნი, „ქვეყ-

ნიერების მცოდნე“ გეოგრაფები, უთვალავი საქმოსანი, ლოთი, წეს-კანონებს მექანიკურად დამორჩილებული ადამიანები... ნაღმიც ეგ იყო: დაფიქრდით ჩვენი პლანეტის უთვალავ ნაკლზე.

„ჯერ სადა ვართ!..

„მთავარი ნაღმები წინ არის: აწი უნდა გამოჩნდეს გველი ყველა იგავის ამხსნელი: მელია, რომელიც სხვა ზღაპრების მეღიებისაგან განსხვავებით, ამ ნაწარმოებში საოცრად პოეტური და ბრძენია. სწორედ იგი ასწავლის უფლისწულს „მოშინაურების“ საიდუმლოს და გაუმხელს მთავარ იღუმალ სიბრძნეს: უფლისწულის ვარდი ერთადერთია და სულაც არა ჰგავს დედამიწის ერთ ბაღში გაშლილ ნუთი ათას ვარდს, რომლებიც მსოფლივ ერთი შესვდევით არიან მისი მსგავსნი; ნაღმია მეისრის ფილოსოფიაში, წყურვილის აბებით მოვაჭრე ადამიანის „სიბრძნეში“, ნაღმია უდაბნოში ჭის პოვნის ეპიზოდში. მძაფრსოუვეტიანი მნატვრული ტექსტის მსგავსად იკითხება ეს ფეთქებადი პასაჟები.

„გვრძნობ, რომ ამ ჩამოთვლილ ეპიზოდებში მთელი თქვენი მწერლური შესაძლებლობები და ოსტატობაა მობილიზებული. ეს ყველამ თვითონ უნდა იგრძნოს და თან „ცნოვნების სხვადასხვა ეტაპზე!.. ამიტომ ყველაზე მძაფრად გიღებზე არაფერს ვამბობ. არ მინდა შეგქმნა ილუზია, რომ ნაწარმოებზე ყველაფერი ითქვამს. უფრო პირიქით – მთავარ რაობებზე არაფერი თქმულა!..

ვერ ვუძლებ ცთუნებას, ორიოდვე სიტყვა მაინც არა ვთქვა სულ ბოლო ნაღმზე: რაღაც იღუმალ, მოუხელთებელ თუ უცნაურად ბურუსიან განცდას აჩენს იღუმალი საჩუქრების „ფილოსოფია“. უფლისწულმა განშორების წინ გადაიკისკისა და ასე აუნსნა პილოტს თავისი არამატერიალური საჩუქრის იღუმალება: ღამიანობით ყველა ვარსკვლავი ურიცხვი პაწია ექვნის წკრიალით ანშიანდებოდა პილოტისთვის, ხოლო თვითონ, რაკი უდაბნოს ჭის პეშვი წყალი ჩათვალა იღუმალ საჩუქრად, ყველა ვარსკვლავი ჭრიალა გორგოლაჭიან ჭად იქცეოდა და წყალს მიაწვდიდა ციდან.

აქ სცილდება თვალის ტექსტს და ცრემლის გამჭვირვალე ფარდიდან ამოცურდება ასე მძაფრად დიდებული იღუმალი საჩუქრები... უკვე პირადი ცნოვნებიდან... მართო ჩვენი, განუმეორებელი თავიანთი ერთადერთობით... ..და ეს სილაპაჟეც ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ გაცნობიერდება უკეთ.

თქვენ კი საოცრად პოეტური ნაწარმოები გვაჩუქეთ. ესეც თქვენი იღუმალი საჩუქარი!!!

ზეინაბ სარი

23.03.2012

ამას წინათ, ფეისბუქზე, ჩემს სტატუსში მოვიხსენიეთ. ცოტა ხანში კი ერთ-ერთი რადიოს ეთერში გახსენეთ. საქმე ისაა, რომ ერთ ჩვენებურ მწერალს თავს დაეხსნენ და სცემეს. მიზეზი მისი მოთხოვნის პერსონაჟის უმართებულო გრძნობები იყო საკუთარი დედის მიმართ. ხალხმა ეს თავად მწერლის დამოკიდებულებად აღიქვა და მისი, შეიძლება ითქვას, ჩაქოლვა მოინდომა. ცხადია, პირველ რიგში თქვენ და თქვენი „ლოლიტა“ გამახსენდით. სხვა ვაზ არ იყო, ჩვენი საზოგადოებისთვის უნდა შეემხსენებინა ელემენტარული რამ: „მწერალი — ეს პერსონაჟი არ არის... ისე, რამდენადაც ვიცო, არც „ლოლიტას“ გამოქვეყნებას ჩაუვლია უკვალოდ. 50-იანი წლების პარიზში სკანდალს ვერ ასცდით. ნანობდით კიდევ, რომ რომანი ფსევდონიმით არ გამოაქვეყნეთ... თუმცა კი, ცხადია, თავს არავინ დაგხსმიათ და არ უცემინართ მოტივით — 12 წლის გოგონებთან რატომ ფიქრობთ...

ანუ შუა მეოცე საუკუნეში მკითხველს შეიძლებოდა, პროტესტი გასჩენოდა თემატიკის მიმართ. ასეთი რამ მინდა გკითხოთ...

ვთქვით, მართლაც თავის საკუთარ ისტორიას აღწერს მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში... და ეს ისტორია საზოგადოებისთვის, მისი მორალისთვის, ეთიკისთვის მიუღებელია, უფრო მეტიც, შემზარავია... ასეთ შემთხვევაში რამდენად სწორია საზოგადოების უარყოფითი რეაქცია ამგვარი ნაწარმოების არსებობის გამო?

ერთ მაგალითს მოვიტან... თქვენზე ბევრად გვიან, ჩვენს თანამედროვეობაში, ამერიკაში გაჩნდა მწერალი ჩაკ პალანიკი, რომლის რომანი, „მებრძოლთა კლუბი“, თანამედროვეთა კერპად იქცა. ხოლო რომანში აღწერილი ორიგინალური სულიანობანი — მისაბამ მოქმედებდა... როგორ ფიქრობთ, არის საფრთხე, დიდი მწერლის მიერ დახატული ნეგატიური სამყარო საზოგადოების ნაწილისთვის სწორედ ასეთ — მისაბამ სამყაროდ იქცეს, როგორც ეს ჩაკ პალანიკის შემთხვევაში მოხდა? როგორ

ფიქრობთ, თქვენნაირი რესპექტაბელური, მაღალაკადემიური მწერლის შემთხვევაშიც, არსებობს საფრთხე, ლოლიტებს გამოუჩნდნენ თავიანთი გუმბერტები სწორედ იმიტომ, რომ მათი საქციელი თქვენ მაღალმხატვრულ ნაწარმოებში მათი აზრით ერთგვარად დააკანონეთ? და სწორედ ამიტომაც, რომ საზოგადოების მეორე ნაწილი პროტესტს გამოთქვამს ამგვარი ტექსტების მიმართ?

ნამ არ არის საფრთხე, ნიჭიერი მწერლის მიერ მოწვედილი ნეგატიური სამყარო თავის პატარა ან დიდ რევერბერაციას იწვევდეს ადამიანთა ნაწილის გულებში და მათში კანონად გარდაისახებოდეს?

თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მე ვფიქრობ, რომ მწერალი მაღალწესობრივი მონაღლისტი არ არის. ისიც ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი, მოიცავს ნეგატივს და პოზიტივს. ის ამბობს აღსარებას, რომელსაც მკითხველს უზიარებს. და მკითხველი ისევე ენება მწერლის მიერ მოწვედილ სამყაროს, როგორც გარშემო, ყოფაში არსებულს. და მისი გადასაწყვეტია, რა მიიღოს, რას მიბაძოს, ან პირიქით – რა არ მიიღოს და რას არ მიბაძოს.

ისე, საინტერესოა, რატომ შეშინდით „ლოლიტას“ პირველი გამოქვეყნებისას და რატომ ვინდოდით, გვარის მაგივრად, ფსევდონიმი მოგეწერათ?

ანუ თქვენც დაფრთხით, რადგან ყოველთვის ყველა ქვეყანაში არსებობს საზოგადოების გაუთვითცნობიერებელი, დაუნდობელი ნაწილი, რომელიც თვლის, რომ ყველას აღწრდის უფლება აქვს.

არ ვიცი, თქვენ რას მომწერდით ყოველივე ამასზე, იქნებ სულაც პასუხად ერთ მოწრდილ პეპელას დამინატავდით იმის ნიშნად, რომ ეს საკითხი არც კი გაფიქრებთ...

ლელა კოდალაშვილი

„დღლით შორიდან თეთრ ქვაზე ამოკვეთილი ჩანდა. ამასაც უშოგეს წამალი. თქროსფერი ლაქით შეღებეს ამოჭრილი ანბანი და საქმეც გაიჩარნა, მიდიოდი თუ მოდიოდი, ღრუბლიანი იყო თუ მზიანი, ადვილად შეგეძლო გაგერჩია კაცს ერთი სიტყვა.

დიას! მსოლოდ ერთადერთი სიტყვა: სერაფიონი“ .

ასე მთავრდება შენი შექმნილი ისტორია ერთი მშრომელი და მოსიყვარულე ადამიანისა, რომელსაც უზარმაზარი სიყვარულისა და სიკეთის სანაცვლოდ, მადლიერმა სამეზობლო-საახლოებლომ, საფლავი მოუწყო და იმის ნიშნად, რომ მუდამ ემანსოვრებათ მისი კეთილი საქმე და სახელი, ეპიტაფიად „სერაფიონი“ ამოუტვიფრეს თქროს ასოებით. შენი-მეთქი, მომიტყევე კადნიერება, მაგრამ იმდენად ძვირფასი და მშობლიური სარჩემთვის, თქვენობით მომართვა ყალბიც იქნებოდა და ფუჭიც.

ბოგშის შემრჩაო გულიც, სულიც და გულუბრყვილობაც, ოთხმოცდაერთი წლის კაცსო... ბავშვივით წრფელი და სუფთა იყო სინანული „გული მწყდება აქოურობაზე... ვითომ ბევრი ვაჯაკეთე, მარა ორი იმდენი დარჩა გასაკეთებელი და დასაწერიო“ ორიც დარჩა და ორჯერ ორასიც, მაგრამ მუნანათიაო წუთისოფელი... რამდენჯერაც დავაბირე ჩამოსვლა და მონანულება, იმდენჯერ რაღაც გამოტყვრა და ხელი შემიშალა, სახვალიოდ გადავდე ხოლმე, მეგონა სიკვდილი მსოლოდ უბრალო მოკვდავთა სვედრია, ბუმბერაზს კი ვერაფერს დაგაკლებდა. საოცარია, საგულდაგულოდ ვემზადებოდი, ვაჟა-ფშაველასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღე უნდა აღგვენიშნა მეგობრებს იმ დღეს. გარდაიცვალათ... როგორც ჭირისუფალს, ტკივილით საგსე ხმით შემომამარეს ამბავი. შენი სიტყვებია: „სამოთხეში არც პური ჭირს, არც წყალი და არც სიყვარულის დეფიციტიაო“. ალბათ, ამ სიყვარულმა მიგიყვანა გოლიათი ორი თანამომის იუბილეზე და თუ პური და წყალი საძებნი არაა იმ ქვეყნად, ღვინოც გამოულეკვად გექნებოდათ ქართველებს და დარწმუნებული ვარ, სადღეგრძელოსაც კარგს იტყოდით იმ მიწისას, რომელიც ასე ძალიან გიყვართ

სამივეს. ვაგლავს, რომ ისევე იმ ტკივილით ვაგვისტუმრეთ იმ ქვეყნად, რაც აგრერიგად აწუნებდათ ვაჟასაც და ქაქუცასაც, აკი თქვი კიდევ – გული მწყდება, რომ ვაკვდები და წადმა მოტრიალებულ საქართველოს ვერ მოვესწარი – ისევე ამერიკელის და რუსის ხელის და ნების შემყურეები ვართო“. „თავს სინანული სჯობია, ბოლო უამს დანანებასა“ – არც თავში ვინანეთ და არც ბოლოსკენ უჩანს სინანულის პირი იმას, რომ ოქროს ფასად ღირებული სიტყვა და გამოცდილება, შენიცა და სხვისაც ისე ჩარეცხეს და მიაჩუმათეს, ერთიც არ დაუკუნესია არავის. მაგრამ არ იციან უმეცრებმა, რომ მთელ მათ სიბეჯითეს საფლავის ქვაზე ებიტაფიად დატანილი ერთადერთი სიტყვა გადასწონის. დიხს! მხოლოდ ერთადერთი სიტყვა „ოტია“.

ალექს ჩაჩანიძე



მოკითხვამდე

გერ გადაგწვყვიტე, როგორ მოგმართო — ძვირფასო ბორის, მისიე ბორის, თუ უბრალოდ, ბოდის — ფრანგული პრინსისით. ამიტომ პირდაპირ დავიწყებ:

აქ ასეთი ამბავია — წერილებს სწერენ საყვარელ მწერლებს. ერთი-ორ ჩემს საყვარელ მწერალს უკვე მისწერეს. მე კი მგონია, სააქაოდან საიქაოში ერთი ადრესატისთვის ერთბაშად რამდენიმე წერილის მოსვლა რთული საქმე უნდა იყოს. ამიტომ შენ ამოგიჩიე. თანაც, სწორედ ახლა ვკითხულობ შენს წიგნს და კითხვის ყოველი „სეანსის“ დასრულებისას ვბუტბუტებ: აჰ, ეს ჩემი ნაწერი იყოს. ჰო, ჰო, შენს ნაწერს „ხელს მოვაწვრი“.

კარგი, თავიდანვე გეტყვი, რომ შენი ბევრი არაფერი წამიკითხავს. სულ ახლა ვიწყებ შენს გაცნობას და თავს ისე ვგრძნობ, როგორც მეტად საინტერესო კაცის წინ. მოკლედ, „გულისაგლეჯს“ ვკითხულობ. მინდა ვითხრა, ამ წიგნს ბარემ ერთი წელია, გვერდს ვუვლი. სათაური და ყდა არ მომეწონა. რაღაც ძალიან მწვალებლურად აღვიქვი. ქართულ ენაზე გამოცემულ შენს წიგნს გრძელცხვირა, ჩაჩიანი, მოსუცი კაცი ახატია, ქოლგით, ქუდით და ვილინსითი რომ დაუხუნძლავს ხელები და მაცდურად უღიმის პიანისოსთან მორცხვად ჩამომდგარ გოგოს, რომელსაც ნოტები უჭირავს. ფედერიკო ანდრეოტის ნახატია. რაღაც მსგავს მდგომარეობაში ვარ ახლა: თუ მასწავლებლის ადგილზე წარმოვიდგენ — ვიღებ გაკვეთილს და ვკარგავ გულს, რომელსაც ასე უმტიყნეულოდ და შეუმჩნევლად მაცლი შენი მდიდარი კოლექციისთვის. გამოდის, ყდის დიზაინი სწორედ (ჩემთვის) შეურჩევია მავანს.

წიგნის უკანა მხარეს შენი პორტრეტია — ისე გულიანად იცინი, მაგარი ტიპი უნდა ყოფილიყავი, ასე მგონია. მხიარული, ქკვიანი, აი, რაღაცნაირი ანცი; და მაინც მუდამ სევდიანი თვალებით. თან ყურში მუსიკა გქონდა სულ. საყვირზე რომ უკრავდი, გენიალურია, ვგიჟდები საყვირის ჟღერადობაზე. მართლა, შენს სიმღერებსაც მოგუსმინე იუთუბზე. აჰ, არ იცო იუთუბის შესახებ. ეგ არაფერი. მოკლედ, შენი პოვნა ადვილია დღევანდელ სამყაროში — ერთი ხელის გაწვდენა და მუსიკა თუ ტექსტები ჩემს წინ გაჩნდება. ზუსტად ამას ვაპირებ დროთა განმავლობაში — კარგად ვაგინო.

ამ წერილს ისე სწრაფად ვწერ, წყალივით. უცებ მომინდა, მომეწერა. როგორც ჩანს, მსოფლიოდ ის ბუტბუტი არ მეყო დამოკიდებულების გამოსახ-
ატავად და ამდენი სიტყვაც ამიტომ მცვივა.

მოდო, ცოტას „გულსაგლეჯზე“ გეტყვი. რაც წაგიკითხე, იმაზე. თავი-
დანვე მომეწონე. პირველი თავიდან. რაღაც ისე აღწერდი გარემოს, ეგრევე
დავიძაბე: გამიჩნდა სურვილი, არც ერთი სიტყვა არ გამომპარვოდა. თითქოს
აბლიკაციებით აწყო ბეიზაჟებს. უფრო ზუსტად, ხატავ. შენ თუ არა, ვინ
წარმოიდგენდა, რომ ფუტკრები შეიძლება დაბნეულები და უსაქმოები იყვნენ,
თნებმა კი ავტოსტოპით იმგზავრონ. არც მე ვიცოდი ეს. ჰო, კლემანტინი და
მისი წარაკუები. ასე თარგმნეს ქართულად. სულ მეცინება. ნეტა ფრანგუ-
ლად რას უწოდებ ტყუილებს. წითელმა ნაკადულმა დამამძიმა. სასტიკად
აღწერ. მისი წარმოდგენისას მეკონა, ცოტაც და ჩავიძირებოდი, მაგრამ მერე,
შარავანდის ამბავი რომ წაგიკითხე, მადლობელი დაგრჩი — ფეხი არ ჩამიც-
და. მოხუცების ბაზრობა, შეგირდის სიკვდილი და ეკლესიის სცენა ძალიან
შთამბეჭდავია. მღვდელთან ერთად ვყვიროდი: არ იწვიმებს-მეთქი, არააა...
და მერე ვჩურჩულებდი: „ის არც არავის მომხრეა და არც მოწინააღმდეგე!“
ნუ, გულში, რა თქმა უნდა. ეს რაც შეეხება საერთო სცენებს. ყველა სიტყვას
რომ გულისყურით ვკრეფ, სომ გითხარი. ახლა სიტროენმა სიარული ისწავ-
ლა და საინტერესოა, საით წავა.

იცო, როცა შენი კითხვა დაგიწყე, ჩემს ბლოგზე დაგწერე, ვნახოთ, რას
მეტყვის-მეთქი ვიანი. ბლოგი რა არის? ისეთივე რაღაც, რაც იუთუბი — ამ
სამყაროს პროდუქტია. ჰოდა, ისე გამოვიდა, თითქოს გამოვიწვიე და ახლა
ვზივარ განიარაღებული. შენ კი, ალბათ გულისიანი სიცილით იცინი მანდ,
სადაც ხარ — კიდევ ერთი გული ჩაიგდე ხელთ.

საღამოს რამდენიმე სიმღერას ამოვირჩევ და მოვუსმენ. კარგად უნდა
დავაკვირდე, როგორი ნმა ვაქვს, რომ მორიგი ვაკვითილის ბოლოს შენი სი-
ცილი წარმოვიდგინო, მეტლ.

მივხვდი, როგორ მოგმართო.

ქეთი გზირიშვილი

6 სექტემბერი, 2011

.....
Maitre (ფრ.) – მასწავლებელი, მოძღვარი

აღამიანთა სისასტიკისაგან დამფრთხალმა ლიტერატურის საოცარ სამყაროს შევაფარე თავი. ხან რობინზონ კრუზოსთან ერთად ვაშენებდი ქოსს, ველოდებოდი სორბლის მოსავალს და პარასკევას ლაპარაკს ვასწავლიდი; ხანაც გრამფონის-კრისტოსთან ერთად ვტკებოდი შურისძიებით; კიდევ – ჯულიეტასავით შეყვარებული ვეძებდი ჩემს რომეოს. როცა ამ ყველაფრის დრო დამთავრდა, ვიგრძენი, რომ რაღაც განსაკუთრებულს ველოდი. მერე შენ ვიპოვე და მივხვდი, ვინც მჭირდებოდა. შენ ხომ ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი მხარში მიდგანარ და მამხნევებ, მძიმე წუთებში ლოცვასავით ვიმეორებ შენს სიტყვებს: ნუ გეგონებთ, დაგლანჩრდი, ჯერ ისევა ვარ ფინიანად! არც ის გეცოდინება, რომ ტაო-კლარჯეთსა და საინგილოს, აფხაზეთი და სამაჩაბლოც მივყავოლეო. ახლა ყველამ ერთად უნდა ვიმეოროთ განუწყვეტლივ, ძიღშიც და ღვიძილშიც: ღმერთო, სამშობლო მიცოცნლე! შენ ხომ ყველაზე კარგად იცოდი, რომ ადამიანად ყოფნა სასჯელი იყო. სწორედ ამან გათქმევინა: რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოგველ წვიმება. დროის მანქანა რომ მქონდეს, მაშინვე შენთან ჩამოვირბენდი, ჩუმად შეგავლებდი თვალს, ახლოს მოსვლას ვერ გაგებდავდი, შორიდან შევხედავდი იმ ხელებს, ერთდროულად „გველისმჭამელსაც“ რომ წერდა და გუთანსაც ეკიდებოდა. გული ნურაფერზე დაგწყდება და ნუ იფიქრებ, სხვა დროს რომ დაბადებულიყავი, სხვანაირად იქნებოდი. ახლაც ზუსტად ისეა, როგორც შენს დროს: გენიოსები ჩრდილში დგანან, მედროვეები ზვაობენ, ჯერ არ ქცეულან ნაცარმტვრად, როგორც შენ გინდოდა. ისევ და ისევ შენი სიტყვების იმედით ვცოცნლობ:

კიდევაც ვნახავ, ცა სჭექდეს,
 თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
 ანოყივრებდეს მიწასა,
 მდინარეები ხვიოდეს,
 აღარვინ იტანჯებოდეს
 და აღარცვისა შიოდეს;
 სიმართლის გამარჯვებასა
 მთაზე არწივი ჰყიოდეს;
 მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
 გული აღარა მტკიოდეს.

პირიძე

2011 წელი, 3 სექტემბერი.

შუაღამე შეშლილივით იწვის, ივლისისფერი ღამე დნება... ჩემი არსი ვამოდის არსებობიდან და ამიტომაც ვკადნიერდები... ბარათს გწერ, უფრო გეთვისები, შენი სიმაღლის ჰაერში ვადმოვდივარ, ამაოების ფიზიკურ არსს ვეცნაურები! ხმა რომ მოგაწვდინო და მოგაგნო, მგონი ახალ განზომილებას ვეფეთები! საკვირველი უფრო ის არის, რომ მომწონს აქ და არც ვცდილობ თავი დავაღწიო ამ გამთანგველ სამყაროს... მხოლოდ ესაა, სული მეკსება უცხო შუქით და საკუთარი ფიზიკური არსის სირთულისაგან ოდნავ თავბრუ მესხმის... სხვადასხვა მხრიდან ირგვლივითი სრულიად განსხვავებული სიღარბისლით აღიქმება და მგონი გვედავ... აქ სუფევს შენი არსი, აქ ხარ!... და გარკვევით ვგრძნობ, მწვანე ფერის სურნელი დომინირებს დანარჩენ სურნლზე... მწვანე ფერის სურნელი იფრქვევა ჩემს ანლოს! არასაიდუმლო თრთოლვა კი ხსოვნაში მიმაგრებს უფლებამოსილ აზრებს და მათობს დედამიწაზე დაბრუნების ჩუმი აღერსი...

ირგვლივ ფეთქავენ უღამაზეხი აზრები, ფიქრები, რითმები, ფანტასტიკები, სერპანტინები, ასონანსები, კონსონანსები, პალინდრომები, მუსიკალური მანიფესტები, სილაფუარდიზმები... აქ ყველაზე უკეთ ხარ, აქ ყველაზე უკეთ იმალები, სსვებს რომ ჰგონიათ, ის არ ხარ, აქ სხვა მოჩვენებაა, აქ იგრძნობა დამტყრეული სიფერადის სულით შემოთერთება, აქ ისხნება ოცნება ნახაზი საგანთა უარით, აქ არის სიშორის შენის სიანლოვე...

აქ არაფერი ემთხვევა ნამდვილს, მაგრამ ლოგიკურია ყველაფერი... სუნთქვა საესება სიფითრით, ჟანგბადის ალოტროპიას, რომელიღაც სახეცვლილებას ვსუნთქავ... და ვაკვირდები ჰაერის ქცევას... აქვე არიან ულტრაამოკლე ბედნიერებები, ამაყად იმზირებიან არშემდგარი, სენტიმენტალური სიამოვნებანი, ანდენილი სიზმრების გვერდით თავს იწონებენ ჯერდაუსიზმრებელი სიზმრებიც, მოუთმენლად ელიან თავიანთ შემოფარფატებას გაფითრებული სიმარტოვეები, დუმილს ამჯობინებენ მოთმინებადალეული სიჩუმიები, თვალებს ნაბავენ ამპარტაზანი სისულელებები, მარადიული მშვენიერებები თავიანთ სრულყოფილებას გვაგრძობინენ კვლავ, ყველაფრით აღტაცებული დედრი ალიაქოთები კი ძლივს იკავებენ თავს... დედამიწე-

ლო! — თითქოს მამშვიდებენ მინიატურულ ტასტრეკანზე დიდებულად მისვენებული ნუგეშის თვალები და ვგრძნობ, ამ თვალებს როგორ ნებიერად ემორჩილებიან სასწაული შენი სიტყვები: მოსასწაულე, უზეცისშვილდო, დაქანდაკება, ეფემერიადი. ზმნებიც ესხვანაირება ამ თვალებს... ააზამბახებს, ულოლიავენს, ააქარცივენს, გადევნივენს, გაგიდარისდარებს, აქ სხვა ნიბლია, სხვა ექსპრესია...

აქ ახლა შენი ლექსების სახემოსილების ჩვენება გაიმართება, გამო-რონინდებიან შენი ლექსები... განცვიფრებული ჩემი საზრისი ესალმება თითოეულ მათგანს... აგერ მთაწმინდის მთვარე გამოეყო სხვენს, ახლოს მოვიდა და საუბარი დამიწყო... მე მინდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ეს შეხვედრა, ეს საუბარი, ლექსი ძლივს იდგა ფეხზე, დაღლილი ჩანდა, თრთოდა, კანკალებდა და სასვენნი ნიშნები რომ არა, ალბათ უფრო გაუჭირდებოდა დგომა. აკრძალვის მიუხედავად, მე მომინდა თითოეულ ლექსთან მისვლა, მომინდა მათი მოფერება და ამ უღამაზესი წუთების სამუდამოდ დამახსოვრება... აგერ ლურჯა ცხენებმა თავიანთი გამოჩენით ააფორიაქეს ლექსთა დასები, ამაყად მოაბიჯებდა სილაში ვარდი-სილაჟვარდე და საოცარ სიმშვიდეს ასნივებდა გაფითრებული მერი... რა თქმა უნდა, მისი შეცნობაც არ იყო ძნელი. იგი მაკვირდებოდა და თითქოს რაღაცის თქმას ლამობდა. მე კი თვალები სხვა ლექსებისკენ გამიბოლოდა, ვცდილობდი, არაფერი გამომპარვოდა, არაფერი გამომჩინოდა სეირნობის მონაწილეთაგან.

ერთად მოსეირნობდნენ ეფემერული ბლონდებით შემოსილი ლექსები: როგორი ნატყფი იყო მათი მიხვრა-მოსვრა, ხანდახან ყურთახმენას სწვდებოდა ნერვული ნაბიჯების ხმა, მოირწეოდნენ სხვადასხვა სიმაღლისა და ხანიათის ლექსები... მე ვცნობდი თითოეულ მათგანს სახეზე და ისინიც არამიწიერი სისალუქით მესალმებოდნენ. ჩემს თვალწინ ჩამოისეირნეს არტისტულმა ყვაკვილებმა და მე ვინიღე ოთხმოცივე ლექსი... შემდეგ კი, მათთან შეხვედრით უღამაზესად დასჯილს, მესმოდა ჩემი ცრემლების ტირილის ხმა... ლექსები კი მეგობრულად მამშვიდებდნენ და ყველგან-მყოფლობის სურვილს მიწონებდნენ. ჩემს დედამიწაზე კი ალბათ, დედამიწისეული მშვიდი დაჰე ლუსუნფუსუნით მიიჩქაროდა თავის საგათენებოზე... მეც აგჩქარდი. ამ დროს გასაღებების აცმა მომავლოდა დროის ფაქტორიალმა, ზუსტად ჩემს წინ ხელის უზუსტესი მოძრაობით ჰაერი გამოკვავდა და დედამიწაზე გადმოვვდი ... ისევ ისეთი და თავდაპირველი, ისევ ის თამარელა, შენს უჩვეულო პოეტურ სამეფოში ნამყოფობით სახსე, შენს ლექსებთან შეხვედრით განებივრებული... ამიტომ მოგწერეთ ეს ბარათიც, ამიტომ გაგიბედეთ, ამიტომ გმადლობთ!!!

თამარელა წოწორია

როგორ მიყვარხარ, გურამ რჩეულიშვილო!... არა, სიყვარულით ბევრი მიყვარს, მაგრამ წერილს, რატომღაც, მხოლოდ შენ გწერ! რაღაცნაირად ახლოს ხარ ჩემთან!.. თუმცა, ალბათ, ყველა ასე ფიქრობს, გურამ, შენზე; ყველას ახლობლად მიაჩნის — შენზე უფროსსაც და უმცროსსაც — შენ ხომ ყველასთვის 26 წლის, „უცნაურ“, დასვეწილ, განათლებულ ბიჭად დარჩი!.. მეც ამიტომ გწერ! ვზივარ და ვფიქრობ, თუ როგორ გცნობლავ დღესაც შენი გარეგნობით, ნიჭით, ორიგინალობით, სითბოთი და საოცარი სიფაქიზით ახლობლებთან ურთიერთობაში... რამდენი რამ ვიცი შენზე, გურამ!.. და ვიცი შენი მითხრობებიდან, ვიცი შენი ახლობლების მონაყოლიდან, მაგრამ ისეთი რამეებიც გავიგე, წარმოდგენა რომ არა გაქვს, არც იცოდი, თუ განმარტობდა; მაგალითად, როგორ ესმარებოდი დედის ფარდების დაკიდებაში (ქალბატონმა ლალი ბადურაშვილმა გავთქვა; ჩვენი მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომელი როგორ მოგწონებია და შემდეგ, როგორც ვაჟკაცს შეეფერება, დიდსულოვნად რატომაც დაგისევია უკან!... მე კიდევ თავად ქალბატონი ტატიანა თიკანაძისგან (გურამ თიკანაძის დედისგან) მომისმენია, როგორ ნანობდა, თავის დროზე რომ ვერ შენიშნა შენში ის არაჩვეულებრივი ნიჭიერება, რომელიც, სამწუხაროდ, შენი დაღუპვის შემდეგ გახდა ყველასთვის ცნობილი — როგორ ვიფიქრებდი, ასე დიდი პიროვნება თუ იყო, — გულწრფელად წუხდა! გურამ, გწერ წერილს და არ ვფიქრობ, რომ შენ 26 წლის არ ხარ! ვერ წარმომიდგენინარ ბებერი გურამი, მაგრამ ისეთი იყავი, ალბათ სიბერეც სსკანარი გექნებოდა — გამოჩეული! აი, ისეთი, სულით ახალგაზრდები რომ არიან, დაბერებას რომ ვერ შეატყობ — არც სული უბერდებათ და არც სხეული!.. მჯერა, ნებისმიერ ასაკში შეძლებდი თრთვილას ზურგს მოკლებოდი და მარადიული ჭენებისთვის თავი გაგეწირა, ან ალავერდის უღამაზესი ტაძრის გუმბათზე დაგედგა ფენი წუთისოფლის სიამეში ჩაკარგული ადამიანების წამიერად მაინც გონს მოსასვლელად; როგორ გვჭირდება დღესაც დიდი თვალისამხელი, დიდი გამოძაფნილებელი,

გურამ! როგორი ძლიერი იყავი, როგორი ამაყი ქინჭარაულების ნაშვირე-ბივით, როგორი შემართული და, ამავე დროს, რა საოცრად გულჩვილი და სევდიანი! ყველა შენს ნაწარმოებში იგრძნობა ეს წინააღმდეგობა... რაღაც-ნაირად საშიში და მოსაფრთხილებელი! აკი, ასეც აღმოჩნდა – თითქოს წინასწარ გიგრძენია ყველაფერი, გურამ!.. სიამოვნებით მოვივლიდი მთელ ქვეყანას შენნაირთან ერთად; აღარც ცხვარში წასვლაზე ვიტყვოდი უარს, აღარც თუშ-ფშავ-ხესურეთში, ბაკურიანში, ზღვაზე... არა, ზღვაზე არ წაგყვებოდი და არც ვაგიშვებდი, გურამ! ამ წერილსაც იმიტომ გწერ, იქნებ აგაცდინო ბედისწერა... ვერ მეძებები ზღვისთვის! რა ბედნიერება იქნებოდა, ეს მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში რომ არ ხდებოდა და მართლ-ლა შექმედლოს იმ დიდი გულისტკივილის აცილება, უშენობა რომ ჰქვია! სხათა შორის, ანალოგიურად ტატო ბარათაშვილზეც მიფიქრია – მართობისა და სევდის დიდებულ რაინდზე – მასაც როგორ სჭირდებოდა მოფრთხილება და თანაგრძნობა!.. რა ცოტა იყო საჭირო იმისთვის, რომ შენ შენს არაჩვეულებრივ ოჯახს დაბრუნებოდი, ჩვენც შენი თანამედროვეები ვყოფილიყავით; მაგრამ შენ ისეთი იყავი, ისეთად განასიათებენ და გიცნობთ, სიბერით დაუძლურებული გურამი მაინც ვერ წარმომიდგენინარ!.. შენ მაინც 26 წლის გამორჩეულ თბილისელ ინტელიგენტ ბიჭად დარჩი!.. აკი, „კირჩხიბები“ ძალიან ფრთხილები არიანო, გამიგია?! რატომ ვერ გიშველა გუმანმა?!.. როგორ მენანები, გურამ! შენმა სტიქიამ – ზღვამ უმოწყალოდ შეგიწირა! მუნჯი ახმედის მარჩენალმა ზღვამ შეგიწირა ცოლ-შვილის სიცოცხლის გადასარჩენად დაღუპულ ივანესავით! ზღვა სიცოცხლე იყო მუნჯისთვის, შენ კი თავად წაგართვა სიცოცხლე... მოგერია ზღვა, გურამ!.. ძალიან, ძალიან მენანები!..

გურამ, ისევე „უკრავს ვიღაც გიტარას“ და „ტანგოს“ ისევე ვცეკვავთ, როგორც შენს დროს! შენი მეგობრები, შენი თაობა ისევე გინსვენებს, ძველებურად „სტკივათ“ შენი სახელი, ახალ თაობას კი თავად შენი მოთხრობები აცნობს, თუ როგორი იყო გურამ რჩეულიშვილი და მისწრაფი, რომ ჩემს მოსწავლეებს, ამ სულ სხვა თაობისა და ეპოქის ახალგაზრდებს, ძალიან მოსწონნარ!.. შენი სურათი რომ ვაჩვენე, რა ვაჟკაცურიათ, მითხრეს და გული სწყდებოდა, რომ შენ დღესაც 26 წლისა ხარ!.. გურამ, იცი, როცა გამახსენდება, ზუსტად ისეთი განცდა მიჩნდება... აი, ისეთი, შენს პატარა მოთხრობაში რომ გიწერია: ტკივილი? – არა!.. რაღაც!..

ლელა ნიკურაძე

20. 03. 2012

არ ვიცი, რამდენად მაქვს უფლება თქვენი საყვარელ მწერლად დასახელების და, მით უმეტეს, წერილის მოწერის. ჩვენი ნაცნობობა ხომ ჯერ მხოლოდ ერთი წიგნით შემიფარგლება, მაგრამ მე ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნები, პირველი შთაბეჭდილების უტყუარობაში რომ არიან დარწმუნებული. ჩემს პირველ შთაბეჭდილებას სამდღიანი გაოგნება მოჰყვა. ასეთი რამ კი იშვიათად მემართება.

ბავშვობაში სწირად მითამაშია თასმებით და რეზინებით, თითებზე რომ ისევე სხვადასხვაგვარად და ათასნაირი სღართი და კომბინაცია გამოგყავს. თქვენ ეს უაზრო, არაფრისმოქმედი თამაში ერთი სელის მოსმით გადააქციეთ დიდ ალგორითად. ჩვენი ცნოვრება სწორედ ამ აკვანს ჰგავს – გამუდმებით ვსლართავთ ილუზიებს და წარმატებით ვიტყუებთ თავს...

ადამიანები გაუთავებლად საუბრობენ მასშტაბურ კატაკლიზმებზე, სამყაროს დასასრულზე. სწირად ეს მასების დაშინება-დაწომების საშუალებადაც იქცევა ხოლმე. არადა, არავის ახსოვს, რომ ეს ყველაფერი მეორენაირისსოვანია. აღსასრული აუცილებელი არაა თვალთ დასანახი გლობალური ნგრევა-წარღვნა და ასეთები იყოს. ბოკონონიზმის მიხედვით, ღმერთმა ადამიანი ცნოვრების აზრის აღმოსაჩენად შექმნა და მიუშვა თავის ნებაზე. მან კი ვერ იბოვია... ბოვნას ვინ ჩივის, რაც ჰქონდა, ისიც დაკარგა: სიყვარულის, თანაგრძნობის უნარი, თავისუფლების სურვილი... ამიტომაც ძალიან მომწონს და მელოგიკურება, თქვენეული ვერსია სამყაროს აღსასრულის ყინულს რომ უკავშირდება.

თქვენთან გაცნობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ტყუილი ადამიანების ცნოვრების აუცილებელი ატრიბუტია. ხან თვითონ იტყუებენ თავს, ხან სხვას ატყუებენ, ხან ეს სხვა ატყუებს და ბოლოს ისე ეჩვენებიან, რომ უამისოდ წარმოუდგენელი ეჩვენებათ არსებობა. რელიგიაც ერთი ამ ტყუილთაგანია...

არ ვიცი, რამდენად ემთხვევა ჩემეული აღქმა თქვენს ჩანაფიქრს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მიზნად სწორედ ურთიერთსაპირისპირო, განსხვავებული აზრების გაჩენა გქონდათ მკითხველის ფიქრებში. ამიტომაც გწერთ ასე თამამად. თქვენ კიდევ ერთხელ დამარწმუნეთ სამწუნარო რეალობაში – დიქტატურა არ კვდება, ის სწავდასწავ სახით იჩენს თავს, სწავდასწავ მეთოდით აზომბებს ხალხს და ამას სშირად შესმატკბილებული აკეთებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და სულიერების მამამთავრები. რომ სშირად მათი ურთიერთდაპირისპირება ისეც და ისეც დიდი ტყუილია ისეც და ისეც ხალხის დასამონებლად. სინამდვილეში კი ისინი ურთიერთთანამშრომლობენ... სწორედ მათნაირებს, მათნაირ დამონებულებს მოჰყავთ სამყაროს დასასრული...

გამოსავალი ალბათ ერთია – ყველამ თვითონ უნდა მოიგონოს საკუთარი ბოკონონიზმი, როგორც გზა თავის გადარჩენის.

მგონი, ძალიან უთავბოლო წერილი გამოვიდა, მაგრამ ეს თქვენთან ღამეული საუბრების შედეგია, ემოციური, შთაბეჭდილებებით სავსე ღამეული შეხვედრების შედეგია... წამები, რომლებიც არასდროს დამავიწყდება.

მოუთმენლად ველი ახალ შეხვედრებს.

ქეთი მორჩილაძე

14.08.2012



ბოლო ღერი სიგარეტი და ბოლო მუსიკა, 15 წუთი თავისუფალი დრო, მაინც მოსაწყენი ვარ, არ ვიქნები მოკრძალებული, თქვენობით მაინც მართო მათ მივმართავ, ვისაც აბუნად ვივლებ, მაგალითად, სალონის მეპატრონეს, რომელსაც ძალიან მოსწონს, როდესაც უშნოდ მჭრის თმას და მე მივმართავ: შეუდარებელია, ბატონო არტურ. ის კმაყოფილებისგან მუცელზე ისვამს ხელს და სავიზიტო ბარათს მჩუქნის, გუშინ მითხრა ერთმა ფსიქოლოგმა – ცინიზმი არასრულფასოვნებააო, გადმოითარგმნე რა... მაინც ვერ ვუძლებ, ცოცხალი რომ იყო, დაჩქარებით გავივლიდი თოეფლის კურსებს, მერე მანდაც მოვანერხებდი ჩამოსვლას, შენს ცისფერ სახლში. თუთას ცისფერი არ უყვარს და ამიტომ თქვა, ლურჯიაო, იცის ფერების ამოჩემება, მაგრამ გპატიობს. აქ ყველაფერი სსჯანაირადაა. შეიძლება ვინმე შეგიყვარდეს, მაგრამ შემოსდენიან მწკერვალებზე და იქიდან გიღიმიან, აბა, იქ როგორ უნდა მივწვდე? ამასწინათ ერთი პოეტი გავიცანი, რომ მომწონდა ისეთი, ვუთხარი ნივთები დავმარხოთ-მეთქი, აი, ის მძაფრი ნივთები, რომ მერე ნამაძლა დავიტვირთო-მეთქი, და მაგას ჯობია გაყვიდოთო, ღირსი იყო თქვენობით მიმერთა. ახლა ცოცხლებს დასანანად აღარ ვიკარებ, სორცის სუნი სდით, და ისწავლეს, როგორ მომივონ. ყველაზე მცირე მგრძობიარობასაც არ ვპატიობენ, ხან რას გამომიჩნრიკავენ, ხან რას, ამაწებებენ რაღაცას და ეს განსწავვებული საღნის ბრბო შიგნიდან მიჭამს ნერვებს. მერე ერთი ბარი ავიჩემე, ძალიან მოგეწონებოდა, ზუსტადაც კი ვიცო, რომ მოგეწონებოდა, განსაკუთრებით მაშინ, ჩრდილებიანი როცა არის სეები. ჩრდილებს აბა რას გამოიჭერ – ხან სად არიან, ხან სად. მათაც ხასიათი უნდა ურჩიო, საკმარისია ნათელი ღამე და 7 ჩრდილი ერთად მოგყვება, განსაკუთრებით თუ მოვრალი ხარ. ზოგმა როგორ იცის, ჯერ კედელზე აცოცდება და ისე ჩუმად გადავირბენს, სულ გული ვისკდება შიშისგან. ზუსტად ორი წუთი დამრჩა სამსახურში წასასვლელად, იქ წასვლა კი სხვისი სათჯანო ფოტოების თვალიერებაზე მეტად მძულს, სომ წარმოვიდგენია, როგორც...

მარი ჩხაიძე

შემიძლია მესიჯიც კი გაუგებზავნო ჰომეროსს... ახლა... და სულ უბრალოდ ვკითხო, როგორ ხართ?

ჩემ ძიას ჰქვია ასე...

ხო, სინამდვილეში ჰქვია „ჰომეროსა“.

მე დაგარქვი და ძალიანაც მომწონს.

შემიძლია დაგურეკო კიდევ?

მივიდე, დავჯდე და ველაქლაქოზო სულ არაფერზე, ვუსმინო იმის ლაქლაქოზობასაც და ყველა წინადადება ვისმინო, როგორც „დასასწრებელი“, რომ უნდა დაესწრო, არა მხოლოდ სასწაულებს, იმის სიტყვებსაც...

არ გჯერათ? არა?!

გგონიათ ვშაყირობ? მე საბჭოსაც ვემესიჯები ხანდახან...

საფო მხეცია, აბა, ღვთაებად ვინ შერაცხავდა? მერე რა, რომ ლეგენდა მეტი დარჩა სინამდვილეზე... და რაც დარჩა, ღირდა დარჩენად... ათას ამბებს უგონებენ, არ დაიჯეროთ. მაგის ერთმა გოგონამ, 25 საუკუნის მერე რომ ჩამოინჩო თავი, ასე თქვა: „სიცოცხლე დიდი გმირობაა“ — განა საბჭოზე გეუბნებით, მამიდაჩემ საფოზე ვამბობ...

მამიდაჩემია, საბჭო, ხო... არ ვშაყირობ, აბა, ნახე ჩემი პორტრეტი, უფრო სწორად მისი ნახე და მერე ჩემი, როგორი ერთნაირი თვალები გვაქვს... ვამოსედევა, მტყუნის თითები... ო, რაღა ცნვირს მიხსტი?!

და მეორე ბიძა ხომ იცით, ვინცაა?

ვისიც არ ითქმის სახელი... ის ბერია და ვერაფერს ვკითხავ. ერთი კითხვა, ჰა და, ჰა და, ჰა, გაგუბედო: ხელნაწერები ჰქონდა ოდესმე? შავი ნაწერი, თუ ეგრევე ის დაწერა? თუ დამწეების ნაჯღაბნებიც ეყარა სადმე? მეტს ვერც შევბედავ...

ეგრევეო, ამბობს და მოდი და ნუ დაიჯერებ! ეგრევეო და თავისი მშვიდი ხმით იწეებს: „რომელმან შექმნა სამყარო“...

და კიდევ მყავს ერთი „უნცრუაი ბიძა“, მარა წასულია, მეზღვაურია, აი, მთებს, ზღვებს და ოკეანეებს სერავს მისი ნაბდის გემები... ცალი თვალი მეკობრეებმა გაუფუჭეს, ჰოდა მეორეთი ისედება ორთავე თვალი-

სას და იცი, რასა ხედავს სოლმე? და თან სულ იმ ბერ ბიძას ემუნათება, რაღაც გაბრაზებას გატყობ და რა ვქნა რომ ყველაფერი ისე ვერაა, შენ რომ გაგინარდებოდაო...

სტუმარ-მასპინძლის ფინალს

ერთი ლოთი ბიძაც მყავს, ლოთიც არ ჰქვია, უბრალოდ ხშირად სვამს: დაიჩემა „მე და შენ, ალბათ, ჩემო ლიხვო, სამშობლოს გარეთ გადაგვრეკავენო“ და ისე თქვა, რომ აჰა, გადარეკილები არიან. მესიჯსაც ვერ ვუგზავნი. თვითონაც გულმა თუ ინსულტმა თუ რაღაცამ გლიჯა და ქუჩაში ეგდო საწყალი კაი ხანს... როგორც ძველი ფენსაცმელი...

ქალებს არ სცალიათ სალაპარაკოდ, ისინი სულ ლობიოს ხარშავენ და „ვიკლიკიკლებს“ აგროვებენ ფესტამლის ჯიბეებში შეუმჩნევლად... „ჰაერზე წერენ საუკეთესო ბარათებს“ და ზედაც ჩიბუხებს აკვნიებივით ანანავებენ...

ეს ფესტამალი რაა და, ჰომეროსი მაგას „ფართოეს“ ეძახის ძველ შუმერულ ენაზე, მეგრულად წინსაფარიო...

შენ კი ავიჩემებია, ერთს მისწერეო... ერთი მე ღმერთი ვიცი! და იმასაც მისწერა უკვე ერთმა პოეტმა და ვერიდები, რომ არ თქვან, გადაიწერა...

ცოცხალი რომ იყოს ერთ ავტორ-მწერალს ვესტუმრებოდი, განა მივწერდი, მაგრამ სად განისვენებს იცი, ეი, მთებში, ევროპის მაღალ მთებში. ქსოვით დაღლილ ხელებში კი წიგნი უჭირავს... საიქიოს მითები და ლეგენდები – „ასკილის ტოტი“ და ტავტნ სიმონე კვილი უდევს „ცოდვის სიმძიმე“ ...

რამდენ რამეს მივედ-მოვედე, მაგრამ გადავწყვიტე: არავის მივწერო, ყველაზე ნაწყენი ვარ, რადგან, მათ გამოიგონეს ყველაზე დიდი ტყუილი ქვეყნად, დიდი სიმართლე რომ დაარქვეს. კონსტიტუცია! სინიდისი! სულის მოწმობა! უნივერსიტეტებში და კოლეჯებში, ბიბლიოთეკებსა და კლუბებშიც ლიტერატურის კოდური სახელითაა ცნობილი, და ჩვენც ამ ჯადო წრიდან ვეღარ გაგვიღწევია, ღმერთია თუ ადამიანი, სულ ამ ტყუილ-მართლის აბურდულობაში ვინთქმებით და ყველაფერს ამას ვატოლ-ვადარებთ... მოაფათურებ ხელებს სინამდვილეში და ვერაფერს პოულობ, რაც აი, ამ წამს ცხვირწინ გქონდა მაგათ ტყუილში. არადა, მინდა მე სიმართლე და საიდანღაც დაბრუნებაც მინდა ძალიან. გადაყართ ეგებ სიტყვები... დედამიწავ, დაიფერთხე შენი კალთები... ეგებ ყველაფერი თავიდან გამოვიგონოთ, თავიდან ვთქვათ, ჰა? თავიდან დავარქვათ სახელი აქაურობას.

უიმე, ეს კაცი ეტყობა ნასვამია, როგორ ხვრინავს, ეი, ჰომეროს, ჰომეროს, ევეეეეე,

უნდა მეკითხა, ჩემი საყვარელი მწერალი ვინაა-მეთქი და შენ უნდა გეპასუხა ის, ვინც „გილგამეში“ დაწერაო... რატომ არ მეთამაშები? რადროს ძილია, ჩვენ სომ მარადისობანა უნდა გვეთამაშა, სომ შემპირდი სელახლა გამოგიგონებ ჩემი თავივითო? ძია, ძია, გაიღვიძე რა, გამომიგონე რა... ყველაფერი უკვე გამოგონილიაო და მე ისეთს გამოგიგონებ, ჯერ რომ არ გამოუგონიათო „ზღაპარიყო, ზღაპარიყო, იყო და არა იყო... მარკა, კონკერტი, ხელნოვა, წერილი... ეს სიტყვები დიდი ხნის წინათ გადაშენდნენ და მოვიდნენ დინოზავრები... მამიდაჩემი მთელი ხმით გაჰკიოდა, მაგრამ ჰომეროსს არ უნდოდა სიზმრის კარი გაეღო და შიგ შესულიყო უცხო ვინმე, თუნდაც წინასწარმეტყველის შვილი და რქით ზეთი მიეტანა ძღვნად და საცხებად... მას ერჩივნა მდუმარებაში სიტყვასავით ჩაკარგულიყო... კოჭებამდე ვერ მისწვდა ლეტე, მაგრამ მაინც იქით გავიდა და გაიყოლა ნახევარი ხსოვნა, ნახევარი იმედი, ნახევარი სინამდვილისა... მას ერჩივნა მიემართა ერთადერთი კითხვით ღმერთისთვის: როცა გვქმნიდი, შავი პირი რა უყავი, არ შეინახე?.. სად მოისროლე ბებიაჩემის ძველი არგანი? სადაა სიტყვა?..

ბათ



